სამეგრელოს მაზეთი

№15 (565) • 20 მაისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

არ ყოფილხართ თქვენ ციხეში ჯდომის ღირსი და იბორიალეთ ახლა „სვაბოდაზე“

შეწყალების აქტი, როგორც ძალლისთვის მიგდებული გახრული ძვალი

რამაზ საყვარელიძე:

რა ჰქვია იმ დროს, როცა ზარბაზნები არ ქუხან, მაგრამ მუზები მაინც დუმან?



კობა არაბული:

კორონას დრო და ქაჯებთან ომის მითი

მიხეილ სააკაშვილს უკრაინის პრეზიდენტობა უნდა?

ჩვენ ახლაც მარტო ვართ... არაუშავს, მარტოობის ოც საუკუნეს გავუძელით და ამასაც გავუძლებთ!

დიდი შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ

ნიკიტა მიხალკოვი ამხელს!!!

სკანდალური გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა

ნიკა ბერიძე: „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა ტერორისტული ორგანიზაციაა, „ქართული ალქაიდაა“

„ნაციონალებმა“ ლაფანყურში საერთაშორისო ტერორისტების 9-კაციანი ჯგუფი შემოიყვანეს. მათ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინათ...

გაზეთი გაზეთში!

სხვა დრო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის გაზეთი

N2 (7). 20 მაისი, 2020 წ.

არ ყოფილხართ თქვენ ციხეში ჯდომის ღირსი და იბორიალეთ ახლა „სვაბოდაზე“

შეწყალების აქტი, როგორც ძაღლისთვის მიგდებული გახრული ძვალი

ორი ქართველი „ვაჟკაცის“ ქართული პოლიტიკის მრავალჯერ ჩასვენებული და ისევ ამოსვენებული ორი „ვარსკვლავის“ — გიგილოს და „ოქროს“ შეწყალების ამბავმა ჟურნალისტი თამარ ტალიკაძე გამახსენა, რომელიც, თუ არ ვცდები, უკვე თერთმეტი წელია ციხეში ზის, მაგრამ კატეგორიულ უარს აცხადებს შეწყალებაზე — მე უდანაშაულო ვარ და შესაწყალებელი არაფერი მჭირს. ერთადერთი თხოვნა მაქვს: დაიწყონ ხელახლა „ნაცების“ მიერ შეთითხნილი ჩემი საქმის გამოძიებაო.

შიგნით, ციხეში, ციხის ადმინისტრაცია ეხვეწება: რამდენი ხანი უნდა იჯდე აქ, დაწერე განცხადება შეწყალებაზე და გაგიშვებენო, გარედან ნაცნობ-მეგობრები ეხვეწებიან იგივეს, მაგრამ ქალბატონ თამარს არაფრის გაგონება არ უნდა — სანამ ჩემ სიმართლეს არ დავამტკიცებ, შეწყალებაზე სიტყვა არავინ ჩამომიგდოსო.

ერთი კაფანდარა ქალია თამარი, რომ დაიჭირეს 50 კილო თუ იქნებოდა, ახლა მთლად გახდა და დაილია, მაგრამ სულით მაინც არ დაეცა, არ გატყდა, არ დანებდა და შეწყალების თხოვნა იუკადრისა, რადგან მიაჩნია, რომ მართალია.

ეს ორი „ვაჟკაცი“ კი, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა როგორც კი შეწყალების აქტი გამოსცა, ეგრევე ციხის ჭიშკარს ეცა, რომ როგორმე ჩქარა გამოსულიყვნენ „სვაბოდაზე“.

ორივე მათგანმა მადლიერებით მიიღო პრეზიდენტის მიერ გადმოგდებული წყალობა და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამთ იმის შესახებ, რომ უდანაშაულონი არიან და შესაწყალებელი არაფერი სჭირთ.

შეწყალების აქტის მორჩილად მიღებით, მათ, ფაქტობრივად, აღიარეს, რომ დამნაშავეები არიან და სასამართლოს მიერ მათი მისამართით გამოტანილი განაჩენი სწორი და კანონიერი იყო, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხენ და თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერი არ მომხდარა.

არადა, როგორ არ მომხდარა — ამ ორმა არსებამ და მათმა მხარდამჭერებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს საზოგადოებას, როგორი უთავმოყვარეონი არიან, როგორი უსირცხვილოები, როგორი უტიფრები და როგორი არარაობები.

ერთი თამარ ტალიკაძე გადასწონის მთელ თქვენს პოლიტიკურ ჯოგს, თქვე მართლა სამარცხვინოებო.

— ოღონდ გამოუშვით, ოღონდ შეიწყალეთ და კი, ბატონო, ნუ დაარქმევთ პოლიტპატიმრებს, როგორც ჩვეულებრივი პატიმრები ისე გამოუშვითო, — ესეც კი თქვეს, ესეც კი იკადრეს.

ღირსების გრძნობა მთლად ასე რამ დაგიკარგათ, თქვე მართლა მათხოვრებო?

ზოგიერთებმა ეს შეწყალების აქტი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სისუსტედ და უპრინციპობად მონათლეს.

ჯერ ერთი „ქართულ ოცნებას“ არ შეუწყალებია ეს ავაზაკები, პრეზიდენტმა შეიწყალა, რითაც ბოლომდე გააშიშვლა და ბოლომდე ამხილა მათი უბადრუკობა, მათი ამორალური და უზნეო ბუნება.

ორის გათავისუფლება არ კმარა, გიორგი რურუა უნდა გაათავისუფლოთო, — ყაყანებენ გულმოცემული „ნაცები“ და „ევრონაცები“.

გიორგი რურუაც პოლიტპატიმარი ყოფილა თურმე და თუ ასეა, უნდა გათავისუფლდეს, აბა, რა?!...

ერთი თორაძეების დედაბუდიანად ამოწყვეტილი ოჯახის ცოცხლად გადარჩენილ წევრებს ჰკითხეთ, ვინ

არის და როგორი პოლიტპატიმარიც არის გიორგი, იგივე ჟორიკა რურუა, თუმცა გათავისუფლებით, სჯობია, ისიც გავათავისუფლოთ და ამით ბოლო მოტივიც გამოვაცალოთ ხელიდან ამ მოძალადე ფსევდოოპოზიციას.

ერთ უცნაურ რამეს ვიტყვი — ამ გაერთიანებულმა ოპოზიციამ, პოლიტექნოლოგიებისა და პიარტექნოლოგიების ანაბანა რომ იცოდეს, პოლიტიკური თამაშების ინჩიბინჩი რომ ესმოდეს, ამ სამი პატიმრის გათავისუფლებას კი არ მოითხოვდნენ ასე თავგამოდებით, ამ სამ პატიმარს არჩევნების ბოლომდე „შეინარჩუნებდნენ“ ციხეში, როგორც მათთვის პოლიტიკურად უაღრესად მომგებიან თემას.

თამარ ტალიკაძემ 11 წელი თუ გაძლო ციხეში, ესენი ხუთ თვეს ვერ გაძლებდნენ? მით უმეტეს, თუ გიგი უგულავას დავუჯერებთ, ციხეში შესანიშნავი პირობები ჰქონდათ, რისთვისაც უგულავამ და სხვებმაც ციხის ადმინისტრაციას გულთბილი მადლობა გადაუხადეს.

ბარემ აქვე ისიც ვიკითხოთ: თქვენ როგორ ექცეოდით, ნაცებო, თქვენს პოლიტიკურ ოპონენტებს საპატიმროებში? ისეთივე კომფორტში, მზრუნველობასა და ხაზგასმულ პატივისცემაში გყავდათ, როგორც თქვენ ჰყავდით „ქართულ ოცნებას“, თუ პირიქით, „დუბინკებით“ აუპატიურებდით, აწამებდით, ამცირებდით, კლავდით?

მახსოვს, **ოქრუაშვილმა ერთი ღამე ვერ გაუძლო თავისიანების ციხეში ჯდომას და მეორე დღესვე მიტკალივით გადათეთრებული, წაშლილი და გაუბედურებული მონანიებით წარსდგა „თანამებრძოლების“ წინაშე და პატიება ითხოვა.**

ოქრუაშვილმა იცოდა, სინამდვილეში, რა დონის ჯალათები და არამზადები იყვნენ მისიანები და ისიც იცოდა, რასაც უზამდნენ, თუ გაჯიუტდებოდა და მათ მხილებას გააგრძელებდა.

„ვაჟკაცმა“ ირაკლიმ, როგორც ვთქვით, ერთი ღამე ვერ გაძლო თავისიანების ციხეში, „ქართული ოცნების“ ციხეში კი მთელი ნახევარი წელი მორჭმით იჯდა და ბიძინა ივანიშვილის სალანძღავ წერილებს ჯღაბნიდა.

გაგიმართლათ თქვენ, ნაცებო, თორემ, სადაც სამართალია, თქვენ თქვენნაირებს უნდა გაესამართლებინეთ, თქვენნაირების ციხეში უნდა ჩაესვით და ზუსტად იმ მეთოდებით უნდა გაგსწორებოდნენ, როგორც თქვენ უსწორდებოდით სხვებს.

იქნებ მაშინ მაინც მიხვედრილიყავით, რა საშინელებებს ჩადიოდით და როგორ გაქციათ ძალაუფლებამ ურჩხულებად.

თქვენ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოთ რომელიმე კონგრესმენი ან რომელიმე ევროპარლამენტარი, მოგქრთამოთ ცალკეული პერსონები, როგორც ეს არაერთხელ გაგიკეთებიათ, მოისყიდოთ ესა თუ ის გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები და ათასნაირი სიცრუე და სისულელე ალაპარაკოთ, მაგრამ ეს მაინც ვერ გიშველით, რადგან არსებობს **მთავარი მოწმე, მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი**, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია „ნაცმოძრაობის“ მმართველობის წარმოუდგენელი სისასტიკე და საოზმი.

ვინც „ნაცმოძრაობას“ და მის განაყოფებს დღემდე მფარველობს, ვინც ოქრუაშვილებს, უგულავებს და მათნაირ და მათზე უარეს დამნაშავეებს პოლიტპატიმრებად, პოლიტდევნილებად მოიხსენიებს, ვინც საკაშვილს და მის ბანდას უკრაინაში თუ სხვა ქვეყნებში ასაქმებს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი, პირველ რიგში, საქართველოს და ქართველ ხალხს აყენებენ უდიდეს შეურაცხყოფას, აბუჩად იგდებენ და თვალში ნაცარს აყრიან მილიონობით ადამიანს, რომლებსაც საკუთარი თვალებით აქვთ ნანახი „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის მთელი სისასტიკე.

კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: რაც უფრო დიდი იქნება ფსიქოლოგიური ზეწოლა ქართველ ხალხზე, მით უფრო მკვეთრი და ხისტი იქნება ქართველი ხალხის პასუხი და მით უფრო ნაკლებ ხმას მიიღებენ ნაცები, ევრონაცები თუ მათ შეხიზნული

პოლიტიკური ვიგინდარები და ფარისევლები არჩევნებზე...

რაც შეეხება შეწყალების აქტით გათავისუფლებულებს, არ ყოფილხართ, თქვენ, პოლიტიკოსები, არ ყოფილხართ, თქვენ, ციხეში ჯდომის ღირსი და იბორიალეთ ახლა „სვაბოდაზე“, რომელიც ისე მოგიგდეს, როგორც მშიერ ძაღლს მიუგდებენ ხოლმე გახრულ ძვალს...

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

არაკაცი

კახა ძაგანია: ბადრი პატარკაციშვილმა შალვა ნათელაშვილს მისცა ნახევარი მილიონი დოლარი, საიდანაც შალვამ 400 000 მოტეხა და პარტიაში მხოლოდ ასი ათასი დოლარი მოიტანა

შალვა ნათელაშვილი არ ჩერდება. ის იმდენადაა გადასული მიხეილ სააკაშვილის რელსებზე, თავს ვეღარ აკონტროლებს და ხშირად არაადექვატური ხდება. მას შემდეგ, რაც კორონას შემოტანა ბიძინა ივანიშვილს გადააბრალა და ათასნაირი სისულელე წამოროშა, იმის მტკიცებაც კი დაიწყო, მეო, აი, რო მიყურებთო, კოსმოსური სამართლის სპეციალისტი გახლავართო. თქვენი არ ვიცი და... მე ცოტა დავიბენი, თუ ნათელაშვილი კოსმოსური სამართლის სპეციალისტია, ანუ მარსიანელთა საქმეებს განიხილავს, მაშინ რატომ მუშაობდა გენპროკურატურაში გაგანია სოციალიზმისას, რომელი ობსერვატორია ეგ იყო?

ისე, ჩვენში დარჩეს, არის შალვაში რაღაც კოსმიური... აი, მაგალითად, ის აცხადებს, რომ ამერიკული პოლიტიკის ამომავალმა ვარსკვლავმა, მისმა მეგობარმა სენატორმა ტედ კრუზმა შეასრულა დაპირება, ყველაზე კრიტიკულ მომენტში დადგა ქართველი ხალხის გვერდით და ბიძინა ივანიშვილის თავზე აღმართა ფინანსურ სანქციათა გილიოტინა. ჩვენი სახელით უდიდეს მადლობას უხდის მას. ჯერ ერთი, რა ჩემი ფეხების ამომავალი ვარსკვლავია სენატორი, რომელიც 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უსახელოდ ჩაიფეხვა და ამას წინებზე კორონაც აიკიდა, მეორეც – არავის გადაუღუნოს ტეხასელმა კორუმპირებულმა, რომელიც საერთაშორისო სასამართლოში მიჩუხანებული „ფრონტერასგან“ ფინანსდება. რაის ამომავალი ვარსკვლავი, რა ფინანსური სანქცია, რომელი ქართველი ხალხი და სადაური თანადგომა? ავოიეეეე!!!

მოდით, ვნახოთ, როგორ ახასიათებს ნათელაშვილი ნიკა ჩაჯვისთან სტუმრობისას კრუზს („მთავარი საკანალიზაციო არხი“):

„სენატორი კრუზი გახლავთ ყველაზე თვალსაჩინო ქარიზმატული ამერიკული ლიდერი დღევანდელ რეალობაში. ეროვნული მასშტაბით ამერიკისა, სამეულში შედის – ტრამპი, ბაიდენი და კრუზი. მაკკეინიც ქარიზმატული იყო, მაგრამ ეს უფრო სავსეა და ასხივებს ქარიზმას. ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს 2011 წლიდან, გვქონდა შვიდი-რვა შეხვედრა. საქმე იმაშია, რომ ამერიკელი მემარჯვენეები სამეგობროდ უფრო რეალურები არიან. თუ ჩემს პროგნოზს რამე დაეჯერება და ალბათ დაეჯერება, უახლოეს წლებში კრუზი აუცილებლად გახდება პრეზიდენტი“.

აქ ჩაჯვი ვეღარ ითმენს და „რეპლიკობს“: იმედია, საქართველოში ისევ ბიძინა ივანიშვილი არ დახვდება!

არაო, კაცო, ბიძინა ივანიშვილი რაღა მოსატანი იქნება იმ დროსო? ბოლო შეხვედრისას კრუზმა დამბარა საქართველოსთან და ქართველ ხალხთან, რომ ჩვენს გვერდით დადგებოდაო. მოკლედ, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე: „კაროჩე, ბლიად“, რა�ა!

სანამ კრუზი აშშ-ის პრეზიდენტი გახდება (მეორე ცხოვრებაში) და ნათელაშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშნავს, მანამდე იმაზე მოგახსენებთ, თუ როგორ მისდგა ის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს და ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებს:

(სტილი დაცულია):

„სწორი ნათქვამია... საკმარისია ადამიანმა დაკარგოს სინდისი და მისთვის ცხოვრება ხდება მშვენიერი და საამური. ამ სტადიაშია, ოღონდ კოლექტიურად ტელეკომპანია იმედი რომლის გადარჩენასაც 2007 წელს კინაღამ ფიზიკურად შეეწირე. სწორედ ეს ტელევიზიაა მთავარი ბუდე უზნეობის ეტალონი შალვა რამიშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილისა, სწორედ ამ არხზე გაიგებთ ყოველგვარ სიბინძურეს, ცილისწამებას ოლიგარქის პოლიტიკურ ოპოზიციაზე, სწორედ ეს არხია რომელზეც 8 წელია ლეიბორისტული პარტიისა და ჩემი ხსენება არ ყოფილა, თუ რა თქმა უნდა რაიმე სიბინძურე არ გადმოანთხიეს.მოკლედ ასეთი ტელევიზია – ზონდერი მომავალ საქართველოში არ უნდა არსებობდეს“.

აჰა, აეგრე მოსრა და გააპარტახა შალვამ ხელის ერთი მოსმით ბადრის ოჯახიც, ტელეკომპანია „იმედიც“. თუმცა, როგორც ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი **კახა ძაგანია** ამბობს „საერთო გაზეთთან“ საუბარში, ამ ადამიანს არ აქვს უფლება, პატარკაციშვილების ოჯახი და „იმედის“ ჟურნალისტები აუგად მოიხსენიოს:

– კახა, ადამიანი ასე გამალებით ითხრიდეს პოლიტიკურ სამარეს საკუთარი ხელით, აქამდე არსად მინახავს და არც გამიგონია. რა ხდება, რა უბედურებასთან გვაქვს საქმე?

– ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ უზნეობასთან. გეფიცები, გაკოტრებულ ნათელა შალიკიაზე საუბარს მართლა არ ვაპირებდი, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? 50წლის ვხდები, მსგავსი რამ ბევრჯერ მინახავს პოლიტიკაში, მაგრამ ამ ადამიანის საქციელმა კიდევ ერთხელ გამაოცა. ჯერ ერთი, დაუწერელი და დაწერილი კანონია, რომ არ შეიძლება, ჟურნალისტებს ასე ხელაღებით მიაყენო შეურაცხყოფა. მეორეც – ეს უნამუსო, ეს ნაძირალა ბადრის ოჯახს როგორ ეხება? ჩვენ, პარტიის ყოფილმა ლიდერებმა მაინც ხომ კარგად ვიცით, 2007 წელს რაც ჩაიდინა?

– რამე არს კიდევ დაფარული?

– დიახ, არის... ბადრი პატარკაციშვილმა მას მისცა ნახევარი მილიონი დოლარი და პარტიაში მოიტანა მხოლოდ 100 ათასი. თან იცი, როგორ მოიტანა? სამ ნაწილად გაყო, ბიჭებს დაურიგა და უთხრა, პარტიაში შემოწირულობის სახით შემოიტანეთო. ამ ბიჭებს მერე პრობლემები შეექმნათ, მიშამ დაიჭირა, საშინელ დღეში ჩაყარა და ამათაც არ უპატრონა ამ არაკაცმა.

– კი, მაგრამ ნახევარი მილიონი დოლარი რაში გადაუხადა ბადრიმ ნათელაშვილს?

– მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის აქციების დროს მაგრად გაგვისწორდნენ – გვცემეს, გვაწამეს, დაგვხოცეს, მაგრამ რაღაც შედეგი მაინც დადგა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. მაშინ ოპოზიციაში საუბარი იყო ერთიან კანდიდატზე, ან პატარკაციშვილისთვის უნდა დაგვეჭირა მხარი, ან ლევან გაჩეჩილაძისთვის. ამ დოს ნათელაშვილმა გადაიჭრა ვენები, ჩემი კანდიდატურაც უნდა დავაყენო, თორემ სააკაშვილი დამიჭერსო. გვეუბნებოდნენ, რას აკეთებთ, არ გრცხვენიათო? შიგნით გვქონდა ლაპარაკი, ნუ დავშლით ოპოზიციურ ერთიანობას, როგორმე ეს ადამიანი მოვიშოროთ, შედეგი თითქმის არის... არაო, ჩაიხვია, მიშა დამიჭერსო. რის დამჭერი იყო სააკაშვილი, თურმე მისი უშიშროების თანამშრომელი ყოფილა ჩვენი შალიკო. მაგას დავალება ჰქონდა, რომ ოპოზიცია უნდა დაეშალა, ანუ ბევრი კანდიდატი უნდა ყოფილიყო, რათა ხმები დაფანტულიყო. შალვამ ფული აიღო ბადრისგანაც, სააკაშვილისგანაც და გააკეთა „ნაციონალების“ საქმე, ეს კაციჭამიები ისევ დატოვა ხელისუფლებაში.

– ანუ რა გამოდის, პატარკაციშვილი გადააგდო?

– გარედან ისე ჩანდა, თითქოს სააკაშვილი მისი დაუძინებელი მტერი იყო, თითქოს დაჭერას უპირებდა, მერე პარტიის წევრები დაიჭირა შემოწირულობის გამო, ეჭვს ვინ აიღებდა? როდესაც ვეუბნებოდით, შალვა, ოპოზიციურ ერთიანობას ნუ გახათქავო, გვპასუხობდა, ხომ იცით, ბიზნესმენები რა ხალხია, ბადრი მაინც წააგებს, ჩემი როგორ არ გჯერათ, მხარი რატომ არ უნდა დამიჭიროთო? მაინც თავისი გაიტანა, მაინც დააყენა თავისი კანდიდატურა და წაიღო ის, რაც ლევან გაჩეჩილაძეს დააკლდა. რომ არა გაყალბება და ნათელაშვილის ხუშტურები, ოპოზიცია სააკაშვილის რეჟიმს გადატეხავდა. აი, ასეთი არაკაცია ჩვენი შალიკო, იმასაც ართმევს ფულს, ამასაც ართმევს და ბოლოს აკეთებს სააკაშვილის საქმეს. როდესაც ამან გულის ოპერაცია გაიკეთა, 100 ათასი ბადრიმ აჩუქა, ახლა კი მის ოჯახს მიადგა და ლანძღავს, რისი ღირსია ეს არარაობა? ჯიბიდან გავარდნილი ჯიბგირია, გეუბნები, ორივე მხრიდან ფული აიღო და მერე დაშალა ოპოზიციური ერთობა. დღემდე სააკაშვილის დავალებების შემსრულებელია, დღემდე დოტაციაზე ჰყავს. ამჟამად „ნაცმოძრაობა“ კობა ნაყოფიას ჯიბეზეა ჩამოკიდებული და შალიკოსაც ამ „ობშიაკიდან“ მისდის ფული. აგერ, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში შალიკომ, ღარიბების პარტიის „ღარიბმა“ ლიდერმა მაშინდელ „რუსთავი 2“-ს გადაურიცხა 100 ათასი ლარი.

– ეს ვიცი, ოფიციალური ინფორმაციაა.

– დიახ, ოფიციალურად მოხდა. საიდან უნდა ჰქონდეს შალვა ნათელაშვილს გვარამიასთვის მისაცემი 100 ათასი ლარი? „ლეიბორისტულ პარტიას“ ბიუჯეტიდან იმდენად მცირე დაფინანსება აქვს, ოფისის შესანახადაც არ ჰყოფნით.

– ეგ ოფისი პარტიისაა თუ კერძო საკუთრებაა?

– კერძო საკუთრებაა, შალვასია, თავის დროზე პარტიას უყიდა ასლან აბაშიძემ. ერთხელ კრება ჩაატარა და გვეუბნება, აბაშიძე ჩვენთვის ოფისს ყიდულობს, მაგრამ შევარდნაძემ და სააკაშვილმა რომ არ წაგვართვან, ჩემ სახელზე გავაფორმებო. გაგვეცინა და ვუთხარით, გაიფორმეო.

– არადა, პირიქით უფრო საიმედო იქნებოდა, პარტიას უფრო ვერ წაართმევდნენ.

– გეუბნები, ჯიბიდან გავარდნილია, რა თქმა უნდა, პარტიას უფრო ვერ წაართმევდნენ. მაშინ გავუტარეთ, ჯერ კიდევ არ იყო მიშას იღლიაში ასე გარჭობილი.

– მიშას დროს უკეთესად ინიღბებოდა, ახლა ნიღაბი შემოხეული აქვს.

– კიიი, მაშინ ისე მოქმედებდა, ბევრ რამეს შიგნითაც ვერ ვიგებდით. აი, ასეთების გამო ეძახიან პოლიტიკას ბინძურს, ასეთები აფუჭებენ საქმეს. როდესაც „ნაციონალები“ ხელისუფლებაში იყვნენ, ძალიან კარგად ნიღბავდნენ შალიკოსნაირ პოლიტიკოსებს, ჩვენც ვფიქრობდით, როგორ იკადრებს შალვა ფულის აღებას, როცა მისი პარტიის წევრებს იჭერენ, სდევნიან, აუბედურებენ. თურმე რეალობა სულ სხვანაირია.

P.S. სხვათა შორის... სიმართლეს ამბობს შალვა ნათელაშვილი: „საკმარისია ადამიანმა დაკარგოს სინდისი და მისთვის ცხოვრება ხდება მშვენიერი და საამური“. დიახ, საკმარისია, ადამიანს გაუწყდეს შუბლის ძარღვი, მერე ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს – უნდა, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს აგინებს (რომელმაც სიცოცხლე გაჩუქა), უნდა – „იმედის“ ჟურნალისტებს მისდგება, უნდა – ივანიშვილს დააბრალებს კორონას შემოტანა-გავრცელებას, უნდა – პავლეს წამოჰკიდებს თავისსავე ცოდვებს. საერთოდ, შუბლძარღვგაწყვეტილი ადამიანი ცდილობს, თვითონ უმწიკვლო გამოჩნდეს და თავი ისე მოგაჩვენოს, გეგონება არც ფული აუღია ქრთამად, არც პოლიტიკაში ჩაუფურთხებია, რათა სარგებელი მიეღო. არაუშავს, ახლა საქართველოში სწორედ ის დროა, როცა წიწილების დათვლას აპირებენ.

დავითვლით რამდენიმე თვეში და თანაც ისე, რომ ყველაფერს გავიხსენებთ – ვინ რა გაიღო, ვინ რა თქვა, ვინ როგორ მოიქცა ჟამიანობის პერიოდში.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ჩვენ ახლაც მარტო ვართ... არაუშავს, მარტოობის ოც საუკუნეს გავუძელით და ამასაც გავუძლებთ!

გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დამფუძნებელი ბესო მიქავა:

— შიდა დაპირისპირებებს რომ თავი დავანებოთ, ძალიან აირია ჩვენს გარშემო სიტუაცია. დააკვირდით: ზესახელმწიფოების მმართველ სტრუქტურებში ერთი ქართველი არ არის...

— საქართველოს იგნორირება და ქართველების განდევნა გლობალური პოლიტიკიდან გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან დაიწყო. ერთადერთი, ვინაც გაარღვია ეს წრე, იყო შევარდნაძე. დღეს პოლიტიკურ დაფაზე ქარ-



თველის ჭაჭანება აღარაა. ქართველთა დიასპორას რომ ხელმძღვანელობს რუსეთში, ვლადიმერ ხომერიკი, როგორც ვიცი, ეროვნებით არაქართველია.

ეშინიათ ქართველების, რადგან ორმა ქართველმა თავის დროზე მთელი მსოფლიო შეაზანზარა. მშვენივრად ესმით მსოფლიოში ქართველებს რა ძალაც აქვთ და არ აკარებენ გლობალურ პოლიტიკას.

— მიხეილ სააკაშვილი, მარადიული პოლიტიკური შულერი, ქართველი არააო და ამიტომაც ხან უბიძგებენ, ხან თვითონ მიძვრება მაღალი პოლიტიკური პოსტებისკენ? ეს როგორ ხდება?

— პოლიტიკაში ყველა მოთამაშეს თავისი ადგილი აქვს. ასეა სააკაშვილიც. პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე ის დააყენეს გარკვეული მიზნებისთვის.

მაგალითად, რა იყო 2008 წლის ომის მიზანი?

პირველ რიგში, ის რომ გაუარესებულიყო ქართულ-რუსული ურთიერთობები.

— დავაკონკრეტოთ: თქვენი აზრით, ვისი მიზანი იყო ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესება?

— რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ პუტინის მიზანი იყოო, არ იქნება სწორი.

ვლადიმერ პუტინი თითქმის 30 წელიწადია რუსეთს ხელმძღვანელობს და თითქოსდა აშშ-ის მტერია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით, თმის ღერი არ შერხევია.

2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის მაშინდელმა პრემიერმა მედვედევმა სააკაშვილი კი არ მოიხსენია აუგად, არამედ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზვიად გამსახურდიაზე თქვა აუგი.

დღემდე არც მედვედევს და არც პუტინს სააკაშვილზე ცუდი სიტყვა არ აქვთ ნათქვამი, იმის მიუხედავად, რასაც აკეთებს სააკაშვილი და როგორც ლაპარაკობს. ყველას გვახსოვს, მისი მოქმედებები — განმუხურში რუს სამხედროებს რომ წამოეჭიმა და მათ ხმაც არ გაუციათ სააკაშვილისთვის. რაც ნიშნავს, რომ ხდებოდა მისი რუსეთის მოწინააღმდეგე გმირის სახის შექმნა.

ახლა, როცა სააკაშვილი უკრაინის რეფორმებს ჩაუდგა სათავეში, საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა — უნდა გავწყვიტოთ თუ არა ამის გამო ურთიერთობა უკრაინასთანო.

საქართველოს მტრებს სურთ, რომ საქართველო აღმოჩნდეს ერთგვარ ბლოკადაში, იზოლირებული.

სააკაშვილის როლი ამ პოლიტიკურ თამაშში არის ერთა შორის დაპირისპირება.

სხვათა შორის, როცა სააკაშვილის დანიშვნაზე მიდიოდა საუბარი უკრაინაში, ჩვენმა მხარემ საპროტესტო პოზიცია დაიკავა და წერილებიც გაგზავნა. პასუხი კი დააბრუნა კრავჩუკმა, უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელმაც თქვა: რა თქვენი საქმეა, სად დავნიშნავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქესო, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, ვინ არის თავად ლეონიდ კრავჩუკი.

მისი პრეზიდენტობის პერიოდში, აფხაზურ-ქართული ურთიერთობები მწვავე ფაზაში იყო და როცა ედვარდ შევარდნაძე აფხაზეთში იმყოფებოდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ექვსმა ლიდერმა დაურეკა არძინბას, აფხაზეთის ლიდერს, შევარდნაძეს ერთი ღერი თმა არ ჩამოუვარდეს, ისე გაუშვით აფხაზეთიდანო. მერე, როცა ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა, დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მიზნით მიტინგებით სვლა თბილისისკენ და წინაღობები ამ ერთსულოვნების წინაშე ნაცარივით იფანტებოდა, ელცინს დაურეკა ბილ კლინტონმა: შევარდნაძეს, ჩვენს ძმას, მივეხმაროთო. რუსეთის ჯარი მაშინ საქართველოში აღარ იყო. რუსეთის სამხედრო ნაწილები უკრაინაში იმყოფებოდა, თუმცა, რაც უნდა მომხდარიყო, რუსეთის ჯარს უკრაინის დატოვება ამ ქვეყნის პრეზიდენტის თანხმობის გარეშე არ შეეძლო. მაშინ ლეონიდ კრავჩუკმა ბრძანება გასცა, კლინტონის ბრძანების შესაბამისად, ელცინის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დასამხობად რუსული ჯარი გამოეგზავნა უკრაინიდან.

მე ხელთ მაქვს ვიდეო-მასალა, სადაც უკრაინის ნაციონალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის „უნა-უნსოს“ წარმომადგენლები ებრძვიან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებს.

— რატომ? რა მიზანი ჰქონდათ?

— ეს მათ უნდა ჰკითხოთ. უკრაინელი ნაციონალისტების თავმჯდომარე და რუსი სამხედროები ერთად იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ.

სააკაშვილს კი, როგორც უკვე გითხარით, აქვს მისია, საქართველო იყოს იზოლირებული. დაიჩაგროს უფრო და უფრო მეტად. სრულად დაივიწყოს რელიგია და ტრადიციები, გადაჯიშდეს, გადაგვარდეს და მოისპოს.

რაც შეეხება იმათ, ვინც „ქართული ოცნებიდან“ ე.წ. საპროტესტო ნოტები გააგზავნეს უკრაინაში და აყაყანდნენ ტყუილუბრალოდ. ეს ადამიანები არიან ადრე ნაცებთან ნაგორავები, ახლაც გულით ნაცების მომხრეები, რომლებსაც ხელისუფლებაში კვლავ დარჩენის მოტივით, სურთ შეინარჩუნონ სააკაშვილი, როგორც შავი ბუა. თუ ასე არ არის, სატელევიზიო ეთერებში რომ კოკროჭინობდა ქვეყნის წინაშე დანაშაულებში ბრალდებული პირი — სააკაშვილი, რატომ აძლევდა ხელისუფლება მედიას ამის უფლებას? ყველა ტელევიზია, რომლებმაც ჩართეს პირდაპირ ეთერში გასამართლებული და ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი, წესით, იყო დასახური და გასაუქმებელი.

ეს არ არის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. სახელმწიფო დამნაშავეს, ტელევიზიით კვირაში ორჯერ თავის პოლიტიკურ გეგმებზე არ უნდა ალაპარაკებდნენ!

რაც ეხება „ოცნებას“, მას უნდა უხაროდეს, რომ სააკაშვილის გარეშე უფრო სუსტი პრეტენდენტი ეყოლება არჩევნებში, მაგრამ

ვინც კულუარებიდან მართავს პროცესებს მსოფლიოში, როგორც ჩანს, მას სხვაგვარად აქვს აქ სცენარი დაწერილი.

წარმოიდგინეთ, რომ სტალინის მერე რუსეთს არ ჰყოლია რუსეთის გულშემატკივარი პოლიტიკოსი. რუსეთიც გარედან იმართება. შესაბამისად, არც 1992 წლის პუტჩი იყო რუსეთის ინტერესებში და არც 2008 წლის აგვისტოს ომი, კავკასიაში მის, ანუ რუსეთის ერთადერთ ნამდვილ მოკავშირეს საქართველოს უცხადებს ომს რუსეთი შევარდნაძის ანდა სააკაშვილის გამო? ეს ხომ აბსურდია.

საქართველოს ოკუპაცია-ანექსია პუტინმა და მედვედევმა კი არ მოახდინეს, არამედ „დემოკრატმა“ ელცინმა. ყველაფერს თავი დავანებოთ, ბალტინი ვინ იყო? მომიყვანეთ ერთი გამონათქვამი, როცა აშშ-ი ან დასავლეთი აცხადებდეს: რუსეთმა ბალტინის ჯარით საქართველოს ოკუპაცია მოახდინაო?!

ვერ დამისახელებთ ასეთ განცხადებას. თუ მსოფლიო დაფაზე რუსულ პოლიტიკას ებრძვის დასავლეთი, მაშინ 1992–93 წლების მოვლენებს არც ერთი პროამერიკული და პროდასავლური ძალა, პოლიტიკოსი ან არასამთავრობო ორგანიზაცია რატომ არ ახსენებს, 2008 წლიდან რომ იწყებენ ლაპარაკს? ეს იმიტომ ხდება, რომ მაშინ ყველა მხარე შეთანხმებული იყო საქართველოს დაჩოქებით. 2008-ში სააკაშვილს გარანტია რომ არ ჰქონოდა, ფეხებით ჩამოკიდებდნენ იმ ომის გამო და არც ის გამიკვირდება, უკრაინის მერე რუსეთში რომ მიიწვიონ სააკაშვილი რეფორმების ჩასატარებლად.

— რუსეთმა შეიძლება ეს გააკეთოს?

— გითხარით უკვე — რუსეთში რუსული პოლიტიკა უკვე აღარ არსებობს.

რუსეთის „გოსბანკის“ 40% აშშ-ს ეკუთვნის, 30% — ინგლისს, 30% რუსეთს. დასკვნები თავად გააკეთეთ.

გეოპოლიტიკურად პირველ ადგილზე დგას ინგლისი, მეორეზე — ისრაელი.

ეკონომიკურ ნიადაგზე დაიწყო ეს ვირუსოლოგიური ომიც.

ტრამპმა ერთადერთმა მსოფლიოს ბოლოდროინდელ ისტორიაში, იერუსალმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა გაეროს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.

ტრამპი მხარს უჭერს სოლომონის ტაძრის მესამედ აღდგენას.

— ბატონო ბესო, თქვენ თქვით, რომ სააკაშვილი ორი ერის უკრაინის და საქართველოს დასაპირისპირებლად არის მივლენილი, ამჟამად, უკრაინაშიო. მიაღწევს ამ მიზანს?

— თქვენი კითხვის პასუხად გავამახნევებ ჩვენს მოსახლეობას და გეტყვით: საქართველო არ დაიღუპება. მას ღვთისმშობელი ფარავს. ეს ფაქტია და ასე იქნება ქვეყნიერების აღსასრულამდე. იმის მიუხედავად, რომ მარტო ვართ. მარტოობის ოც საუკუნეს გავუძელით და ამასაც გავუძლებთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

კორონავირუსი - დაშორიშორების ტრაგედია

უცნაური მოვლენა აღმოჩნდა დაავადება, რომელსაც „ახალი კორონა-ვირუსი — COVID-19“ ჰქვია. მაგალითად, აშშ-ში, იტალიასა და ესპანეთში მასობრივად ჟლეტს მოსახლეობას, ამათთან შედარებით, თითქოსდა, ნაკლებად, რუსეთში, ისრაელში, აფრიკის კონტინენტზე და თვით საქართველოშიც ვირუსი არაა ისეთი მძვინვარე.

დაავადება ჯერ შესწავლილი არ არის, რის გამოც, მისი მკურნალობის მეთოდებიც უცნობია. ჯერჯერობით ცნობილია, ის, რომ ახალი კორონა ვირუსი ფილტვის დაავადებას იწვევს და სულის ხუთვით გუდავს ადამიანს, თუმცა, ამბობენ, რომ ვირუსი იმდენად მოუხელთებელია, რომ მისი კლინიკური გამოვლინებანი სხვადასხვაგვარია. შეიძლება გამოიწვიოს: თავის ტკივილი, ცრემლდენა, ალერგიული სიმპტომები,

ხველა, ასთმური მოვლენები, როგორც ცხელება, ისე შემცივნება, დიარეა და გამონაყარიც კი.

ხელისუფლებები ადამიანებს მოუწოდებენ დარჩნენ სახლში და მაქსიმალურად ერიდონ კომუნიკაციას თვით ოჯახის წევრებთანაც.

იმის მაგივრად, რომ ტექნიკის ფანტასტიკურმა განვითარებამ მსოფლიო თითქმის ხელის გულზე დაატია და მაგალითად, ხაშურიდან ამსტერდამში დაკავშირებას ერთი წუთი უნდა, ხოლო ქუთაისიდან ვაშინგტონში სულ რაღაც ოთხ საათში ჩახვალთ, ადამიანები სივრცის დამოკლების მიუხედავად, ერთმანეთს მაინც ძალიან დაშორდნენ. ისედაც გაცივებული ურთიერთობები კორონა ვირუსმა სულ მთლად მოსპო. თითქოსდა ყველაფერი ჩაფიქრებული იყოსო, ისე ხდება. ეტაპობრივად კი არა, მოულოდნელად, ერთ დღეს, მსოფლიომ ახალ რეალობაში გაიღვიძა, სადაც ყველა საინფორმაციო საშუალებიდან ისმოდა მოწოდება თვითიზოლაციისკენ.

გლობალისტები და ნეოლიბერალისტები მსოფლიოს კორპორატოკრატიული ეკონომიკით, რესურსების ძარცვით, ტოქსიკური მასალებით, ომებით და არასტაბილურობით, გენმოდიფიცირებული და საშიში დანამატების უხარისხო საკვებით, ეროვნული კულტურის, რელიგიის, მასმედიის და განათლების დეგრადაციით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენეტიკური მრავალფეროვნების განადგურებით, ახალი წესრიგისკენ — მსოფლიო მთავრობის შექმნისკენ, ციფრული კონცლაგერისკენ და დემონიზაციისკენ მიაქანებენ.

კორონა ვირუსმა, რომელიც, როგორც ამბობენ, ლაბორატორიულად შექმნილი ვირუსია, იმდენად შეცვალა ადამიანის ცხოვრების სტილი და წესი, რომ დაიკარგა ერთმანეთს შორის ნდობა და გაჩნდა აქამდე არგანცდილი შიში — არავინ იცის — ვინ არის ვირუსის მატარებელი და ვინ — არა.

ფაქტობრივად, შინაურ ტყვეობაში აღმოჩნდნენ ადამიანები. დამწყვდეულები, როგორც ვირთხები კასრში და იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს დაახლოებოდნენ, ყოველ დღე, ერთი და იგივე სახეების ყურება იმდენად მოსაწყენი გახდა, რომ, როგორც ამბობენ, ისედაც არამყარი ოჯახური კავშირები, ახლა უფრო სწრაფად იშლება და ირღვევა.

თუ ადრე ოჯახებს იმით ებრძოდნენ, რომ ცოლს და ქმარს ერთმანეთს აშორებდნენ ეკონომიკური საჭიროების მოტივით — ქმარს საფრანგეთში „უშვებდნენ“ სამუშაოდ, ცოლს კი, ვთქვათ, იტალიაში, ახლა კვირეებით და თვეობით ერთი და იგივე სახეების ყურება თვალმოუშორებლად, ფაქტობრივად, ციხედ აქცევს ოჯახს.

სოციალური ქსელი, ტელევიზია, კიდევ უფრო უწყობს ამას ხელს. ტელევიზიები აჩვენებენ სერიალებს და ფილმებს, სადაც ყველაფერი იმდენად ლამაზადაა აღწერილი, ისე პროპაგანდისტულად არის შერჩეული სიუჟეტები და ისტორიები, რომ სახლში ჩაკეტილი ადამიანი, გარკვეულწილად, სერიალის ცხოვრებით ცხოვრობს და ქვეცნობიერად ღიზიანდება, რადგან, ვითომდა, თითქოს, სადღაც არის კარგი და ლამაზი ცხოვრება, მოვლილი, პატივცემული ადამიანები, ხოლო თვითონ ზის სახლში და უფუნქციო ოჯახის წევრებს უყურებს.

თუ ადრე ამ ოჯახის წევრებს იმდენი საქმე ჰქონდათ, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, ამ მოულოდნელმა შემჭიდროებულმა „კავშირმა“ გააუცხოვა ოჯახის წევრები ერთმანეთთან. ადამიანმა კი ნელ-ნელა დაკარგა თავისი დანიშნულება საზოგადოებაში და ზოგადად, სამყაროში, ის, როგორც მოაზროვნე არსება თავის როლს როცა ვერ ხედავს, როცა ის, როგორც ღირებულება, საჭირო არ არის, როცა ვერ ქმნის ვერაფერს სასარგებლოს ვერც სამყაროსთვის, ვერც ქვეყნისთვის, ვერც გარშემომყოფებისთვის, ზედმეტი ხდება და პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი პატივისცემას კარგავს, რასაც მერე სხვებისადმი პატივისცემის დაკარგვის განცდა მოჰყვება, თავისთავად.

კარგა ხნის წინ ცნობილი ამერიკელი მსახიობი ჯუდი გარლანდი გარდაიცვალა. მისი ცხედარი სამი წელი ესვენა მორგში იმის გამო, რომ შვილებმა მისი დაკრძალვისთვის ხარჯები არ გაიღეს. სახელმწიფოსაც ვერ გაუმეტებია მცირე თანხა ამერიკული სცენის მეგავარსკვლავის დასაკრძალად. სამი წლის მერე მის მეგობარს ფრენკ სინატრას დაუსაფლავებია მეგობრის „მოძველებული“ გვამი. აქეთკენ მივყავართ, ამის გაკეთებას გვიპირებენ და გვაიძულებენ ვიღაცები, აქეთკენ გვიბიძგებს უჩინარი ხელი არსაიდან.

საქართველოში კი ზიან ადამიანები სახლებში იზოლირებულად და სოციალურ ქსელში წერენ, რომ მოენატრათ მეგობრები, ახლობლები და თანამშრომლები.

გასაოცარი განცდაა მონატრება.

სადღაც ამომიკითხავს ადრე: განშორება, მონატრება და სიკვდილი ყველაზე მძიმე განცდებიაო.

ადამიანი უძლებს ამ განცდებს, მაგრამ საბოლოოდ ხდება ის, რომ განშორება დროის მონაკვეთი ხდება, სიკვდილს ვღებულობთ, როგორც რეალობას, ხოლო მონატრება საყვარელი მეგობრის, ნათესავის, ისე ცვდება და ილევა, რომ მის ადგილას საშინელი ჯურღმული და ცივი და უგულო სიცარიელე ისადგურებს.

როცა ადამიანი საკუთარ პრობლემებში იკეტება და მაქსიმალურად იზოლირდება გარემოსგან, მონატრების სენტიმენტალური განცდა მისთვის ზედმეტ ბარგად იქცევა, მით უმეტეს, თუ მეგობარს, თანამშრომელს, თანაქალაქელს და წარმოიდგინეთ, თვით მეზობელსაც კი მხოლოდ ტელეფონით ან ინტერნეტით უკავშირდება. ტელეფონი და ინტერნეტი კი ყოველ წუთს შეიძლება გაითიშოს...

მოკლედ, კორონა ვირუსმა რა ჰქმნა და ის ჰქმნა, რომ ადამიანებს ერთმანეთი დააკარგვინა, თუმცა, ჯერჯერობით, ნაწილობრივ, მაგრამ ეს არის პირველი ნაბიჯები ადამიანების დაცალკევებისა და გათითოკაცებისკენ, რომ მერე უფრო ადვილი იყოს მისი მართვა.

ეკონომიკური სისტემები ახალ ფორმებს იძენს, სადაც უბრალო მოსახლეობა მუშადაც კი არავის დასჭირდება, რადგან ის, ვინც ამ ამღვრეულ წყალში მსუქან თევზს დაიჭერს, შეეცდება ცოცხალი მუშა-ხელი რობოტებით ჩაანაცვლოს, იმ რობოტებით, რომლებიც ანაზღაურებას არ მოითხოვენ.

ადამიანისთვის დედამიწა, მისი გარემომცველი სამყარო თანდათან უცხო ხდება. რობოტები იპყრობენ ყველაფერს, არადა ადამიანს თავისი ხელით მოხნული მიწა უყვარს, თავისი ხელით აშენებული კორპუსი უფრო ელამაზება, საკუთარი მარჯვენით მოწეული საკვები უფრო გემრიელია...

ახალი წესრიგი კი გვეუბნება — იყავი იზოლაციაში, რადგან ვირუსის გადამტანი და მატარებელი ხარ და ინფიცირების წყაროს წარმოადგენო.

სოციალურ ქსელში არის ჯგუფი სახელად, „თბილისი იყო ურთიერთობა“. ურთიერთობა ქმნიდა ქალაქს, ქმნის საზოგადოებებს, ხალხებს და თვითონ ერებსაც კი. ახლა სადაა ეს ურთიერთობები? იმან, ვინაც ეს ურთიერთობები კიდევ უფრო შეაჯანჯღარა და შეარყია, რასაც ჩვენ დღეს კორონა ვირუსს ვეძახით, სინამდვილეში, არავინ იცის ზუსტად რა სახელი ჰქვია. ორთვენახევრიანი იზოლაციიდან გამოსული ადამიანი კი სულ სხვანაირია უკვე. პოსტკორონული ურთიერთობები ჩამოყალიბდა უკვე. ადამიანი ქუჩაში უკვე ნიღბით გადის, ანუ არ აჩვენებს სახეს, როგორც მომდურავი, შორს დგება მეორე ადამიანისგან, 2-მეტრიანი დისტანციით, ეშინია ყველასი და ყველაფრის...

ვინმე იტყვის: ასეთი რამეები რა მოსატანია, როცა ეკონომიკა დაინგრაო.

ეკონომიკას სწორედ ადამიანები და მათი ურთიერთობები ქმნიან, თუ ადამიანები არ იურთიერთებენ, ეკონომიკა ჰაერში თავისით არ წარმოიშობა.

ამბობენ, რომ დედამიწას კიდევ ახალი ვირუსები და ეპიდემიები დაესხმება თავს, თუ ასე მოხდა, მაშინ ადამიანები თავიანთი თავის გადასარჩენად ყოველგვარ ეკონომიკურ წესრიგს გადააბიჯებენ.

სულ უფრო უკანა პლანზე გადადის სულიერება, ადამიანი „ხორცის“ გადარჩენისთვის იძულებული ხდება ყველაფერზე წავიდეს. ამაზე წერდნენ წმინდა მამები საუკუნეების წინ. მაგალითად, ბერი, წმიდა მამა გაბრიელი (ურგებაძე) სულ ახლახან ამბობდა:

„დემოკრატია ემსახურება მიზანს: საბოლოოდ შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ერთიანი მსოფლიო მოქალაქე, ყოველგვარი ტერიტორიის, ტრადიციისა და ეროვნების გარეშე. ეკუმენიზმი კი ემსახურება ყველა ქვეყნისა და რწმენის ადამიანების ერთ სალოცავში გაერთიანებას. არავინ იტყვის მაშინ, მხოლოდ მართლმადიდებლობაა ჭეშმარიტი სარწმუნოება და გავერთიანდეთ მასშიო. არამედ ყველა არსებული რწმენის ლოცვიდან შეიკრიბება და აღევლინება საერთო ლოცვა, რაც ჭეშმარიტი ღმერთისა და რწმენის დიდ ღალატს ნიშნავს... დღეს მსოფლიო შეთქმულების მასონური ბოროტი ძალები წინასწარ დაგეგმილად აწარმოებენ სხვადასხვა ქვეყანას შორის ომებს, ჰქმნიან ხელოვნურ შიმშილობებს, არეულობებს და სხვადასხვა სახის დიდ გაჭირვებას. უკიდურესად გაჭირვებული ადამიანებისგან დღესაც ხშირად ისმის: რა გვეშველება, ვინ გვიხსნის, რა გვიხსნის. სწორედ, ასეთ დროს, როცა ყოველგვარი არეულობა და გაჭირვება კულმინაციას მიაღწევს და მსოფლიო თითქოს გამოუვალ ჩიხში მოექცევა, ანტიქრისტე მოევლინება ქვეყნიერებას, როგორც მხსნელი“.

ესაა მომავლის პესიმისტური წინასწარმეტყველება და რა მოგველის, ჯერ არავინ იცის...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ერთი თეატრი ორი არტისტისთვის

მიხეილ სააკაშვილს უკრაინის პრეზიდენტობა უნდა?

უკრაინის პოლიტიკური თეატრის სცენაზე ორი არტისტის, ორი მსახიობის მონაწილეობით საინტერესო ტრაგი-კომედია დაიდგა.

მართალია, ოფიციალური სტატუსით ერთსაც პრეზიდენტი ჰქვია და მეორესაც პრეზიდენტი ერქვა ცოტა ხნის წინათ, თუმცა მოწოდებით ორივე არტისტია, ოღონდ ერთი გრძელი, მეორე — მოკლე.

ერთმა პირდაპირ გადასაღები მოედნიდან ისკუპა საპრეზიდენტო სავარძელში, მეორე ვარდებით ხელში შეიჭრა პარლამენტის სხდომაზე, უკვე ასაკში შესული ძველი პრეზიდენტი გააქცია, მოგვიანებით კი მისი შეჭრა-შევარდნებით აღტაცებული ხალხისა და ნინო ბიცოლას დახმარებით, თვითონ გახდა პრეზიდენტი.

ადამიანთა ერთ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი აზროვნების უნარი, სკეპტიკურად უყურებდა ამ გაუწონასწორებელი და ძალზე ექსცენტრიკული ჯეელის გაპრეზიდენტებას, თუმცა თავის იმით ინუგეშებდნენ და იმშვიდებდნენ, რომ ცოტა ხანი ვაცალოთ თუ არ ივარგა, ისევე გადავაყენებთ, როგორც მოვიყვანეთო.

იცით, ხალხი როდის უშვებს ყველაზე საბედისწერო შეცდომას?

როდის უშვებს და იმ დროს, როცა იჯერებს, რომ სწორედ მან მოიყვანა ვიღაც და მისი წაყვანაც და გაშვებაც მის ნებაზეა დამოკიდებული.

უკრაინაში მთლად დაუჯერებელი ამბავი მოხდა — უკრაინელ ხალხს მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი დაუდგეს, სახელწოდებით — „სლუგა ნაროდა“ და ნაროდმაც სლუგას როლის შემსრულებელი კომიკოსი მსახიობი აირჩია პრეზიდენტად.

ფილმის ხიბლში ჩავარდნილ ჭკვიან და გონიერ უკრაინელ ხალხს რაღაც მომენტში დაავიწყდა, რომ პოლიტიკა კინო არ არის და კინოში რომ ვიღაცა რაღაცას თამაშობს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ვიღაც ცხოვრებაშიც იგივეს გაკეთებას შეძლებს რასაც კინოში თამაშობდა.

ბატონმა ზელენსკიმ, რომელსაც დადებითად ახასიათებენ, როგორც ადამიანს და ნიჭიერ მსახიობადაც თვლიან, სამწუხაროდ, პოლიტიკაში ჯერჯერობით ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია და მიახლოებითაც კი ვერ შესძლო იმ პერსონაჟის ცხოვრებაში განმეორება და გადმოტანა, რასაც კინოში ასე ოსტატურად თამაშობდა.

სწორედ ამიტომ უხმო საშველად მიხეილ სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, თუმცა, ზელენსკიმ, როგორც ჩანს, არ იცის, რომ სააკაშვილიც მსახიობია, ოღონდ თვითნასწავლი მსახიობი.

ასე რომ, ბატონი ვოლდემარი და ბატონი მიხეილი, ფაქტობრივად, კოლეგები, ანუ მსახიობები არიან, ოღონდ სხვადასხვა სამსახიობო სკოლებიდან.

ქართული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ მიხეილს, სკოლაში სწავლის პერიოდში, უფრო ზუსტად, დამამთავრებელ კლასებში, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მსახიობი და კინორეჟისორი გამხდარიყო.

მის კლასელებს და სკოლელებს კარგად ახსოვთ მიხეილის მიერ დადგმული სპექტაკლები, სადაც მთავარ როლებს, როგორც წესი, თვითონ ასრულებდა.

იმასაც ამბობენ, რომ ეს „სპექტაკლები“ ეროტიულ-სექსუალური შეფერილობისა იყო, რაც ყმაწვილი მიხეილის მოჭარბებული სექსუალური ენერგიით უნდა აიხსნას.

ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლი კინაღამ დიდი სკანდალით დამთავრდა, მაგრამ აღშფოთებული მშობლების დამშვიდება და დაწყნარება როგორღაც მოხერხდა, თუმცა მიხეილს სამსახიობო და სარეჟისორო კარიერაზე ოცნება მაინც არ შეუწყვეტია და ამ საწადელს შეისრულებდა კიდევაც, რომ არა ბიძის, თემურ ალასანიას ჩარევა, რომელმაც ცუდად ატროკებული მიხოს ოცნებებს ფრთები შეაკვეცა.

— რა არტისტობა და კინორეჟისორობა აგიტყდა? წადი პოლიტიკაში და რამდენიც გინდა იარტისტე, რამდენიც გაგიხარდება, იმდენი ირეჟისორე, რაც გინდა ის დადგი, ვინ გიშლის? — უთქვამს თურმე კაგებეშნიკ ბიძას დისშვილისთვის და იმანაც დაუჯერა.

დაგვღუპა და დაგვაქცია თემურ ალასანიამ, თორემ მიხეილი მართლაც კარგი მსახიობი დადგებოდა, კარგ სპექტაკლებსაც დადგამდა, კარგ ფილმებსაც გადაიღებდა და ადამიანებს ამდენ ტკივილს და უბედურებას არ დაატეხდა თავს.

პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მიხეილში ახალი მასშტაბებით იფეთქა მსახიობისა და რეჟისორის ტალანტმა და მან ისეთი როლები ითამაშა ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე და ისეთი სპექტაკლები დადგა, ნუ ეწყინება მის აღმატებულება ზელენსკის, მიუხედავად იმისა, რომ ვოლდემარი პროფესიონალია და მიშა კიდევ „სამაუჩკა“, მსახიობი ვოლდემარი მსახიობ მიშას წელამდეც კი ვერ შემოსწვდება.

გარდასახვის საოცარი ნიჭი და უნარი აქვს მსახიობ მიხეილს — მას შეუძლია დურაჩოკის“ როლიდან უცებ გადაერთოს მრისხანე და მკაცრი დესპოტის როლზე, დესპოტის როლიდან მომენტალურად გამოვიდეს და გულჩივილი და გულუბრყვილო „დაბრიაკის“ ნიღაბი მოირგოს.

მას შეუძლია სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდის მანტია მოისხას, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს კორუფციას და ამ დროს თავისთვის, პირადი მოხმარებისთვის, თვითონვე შექმნას კორუფციული სისტემა, ელიტარული, ჩაკეტილი სისტემა, სადაც მოქმედების და ფულის კეთების უფლება მხოლოდ მის რჩეულებს აქვთ.

მას შეუძლია სასტიკი ომი გამოუცხადოს კრიმინალურ სამყაროს, „კანონიერ ქურდებს“ და ამ დროს თვითონვე შექმნას საკუთარი კრიმინალური ბანდა, ჰყავდეს მის ნებას დამორჩილებული „კანონიერი ქურდები“, ადამიანებს მიუსიოს ავაზაკები, მკვლელები, სადისტები და ეს გააკეთოს კანონიერების უზენაესობის სახელით.

მიხეილ სააკაშვილი უდაოდ ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ კიდევ უფრო ნიჭიერია იგი, როგორც რეჟისორი.

მის მიერ დადგმული სპექტაკლები „ვარდების რევოლუცია“ „აჭარის გათავისუფლება“, „ჯაშუშები“, „2007 წელი“, „7 ნოემბერი“. „2011 წ. 26 მაისი“, „ციხის ბუნტი“ „მუხროვანის ამბოხება“, „ლაფანყურის სპეცოპერაცია“, „2008 წლის აგვისტოს ომი“, წაგებული ომის მოგებულად გამოცხადება“ (საერთაშორისო მასშტაბის უცხოელი „მსახიობების“ მონაწილეობით), „ქართული დემოკრატია და დემოკრატიის შუქურა“, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სპექტაკლებისა თუ მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ფილმებისა, რომლებიც სააკაშვილმა დადგა.

სამსახიობო და სარეჟისორო საქმიანობა მიხაილოს არც უკრაინაში მოღვაწეობისას შეუწყეტია.

მისი სპექტაკლები „უკრაინაში შეჭრა“ და „კაცი სახურავზე“ დღესაც ცუდი სიზმარივით ახსოვს უკრაინელ და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის მაყურებელს.

თავმდაბალი მიხეილი უარობს, მაგრამ პოლიტიკური განხრის „თეატრმცოდნეები“ დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სააკაშვილი თანაავტორია სისხლიანი დრამისა, სახელად „მაიდანი“.

აი, ასეთი შემოქმედებითი ბიოგრაფიის კაცი მიიწვია ბატონმა ზელენსკიმ თანამებრძოლად და პარტნიორად.

ძალიან ცდება ზელენსკი, თუ ჰგონია, რომ სააკაშვილი დაიფასებს და მადლიერებით მიიღებს იმ ამაგს, რაც მას ქართველ კოლეგაზე აქვს. (მოქალაქეობის დაბრუნება. საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა და ა.შ.)

როგორც ჩანს, ზელენსკი არავინ გააფრთხილა, რომ სააკაშვილი როგორც კი დროს იხელთებს, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, პირველ რიგში, იმ ადამიანებს უსწორდება, ვისაც კი სიკეთე გაუკეთებია მისთვის.

ასე მოექცა ის შევარდნაძეს, ასე მოექცა ჟვანიას, ასე მოექცა ნინო ბურჯანაძეს, მოგვიანებით მტრად მოეკიდა პოროშენკოსაც...

ეს მისი დემონური ბუნების მთავარი მახასიათებელია — ჯერ გამოიყენოს, შემდეგ კი გაანადგუროს ყველა, ვისაც მის წარმატებაში რაღაც წვლილი მიუძღვის.

რა ქნას, ასეთი ზნე და ხასიათი აქვს, მორიელისა არ იყოს, ასე ეუბნება, ასე კარნახობს რჯული.

ცხადია, ზელენსკის დროც ძალიან მალე დადგება და სააკაშვილი სრულად აზღვევინებს იმ ყველაფრისთვის, რაც მან უმადურ მიხეილს გაუკეთა.

ცდება ზელენკიც, ცდებიან ის უკრაინელებიც, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სააკაშვილს „ჩისტილშიკად“ გამოიყენებენ, მერე კი გამოწურული ლიმონივით მიაგდებენ.

სააკაშვილს, არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინის პრეზიდენტობის ამბიცია აქვს და, როგორც ამბობენ, თავის უახლოეს გარემოცვასთან კონფიდენციალურ საუბრებში ის ამას არც მალავს.

იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ რაღაც დაუჯერებელ და უტოპიურ ამბავს ვყვები.

დაუჯერებელ და უტოპიურ ვერსიად მიაჩნდათ თავის დროზე საქართველოშიც, რომ ეს ჭკუამხიარული ახალგაზრდა საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა, მაგრამ გახდა და ცხრა წელი იპრეზიდენტა კიდევაც.

თუ ასე გაგრძელდა და მსოფლიოს მართვის სადავეები კვლავ იმ ჯგუფების ხელში დარჩა, რომლებიც სააკაშვილს და მის ბანდას მფარველობენ, სააკაშვილი აუცილებლად გახდება უკრაინის პრეზიდენტი, რადგან, მოცემულ ვითარებაში, სააკაშვილის ფიგურა ყველაზე მისაღები ფიგურაა იმ საერთაშორისო ფინანსური წრეებისთვისაც, რომლებსაც უკრაინაზე სრული კონტროლის დაწესება სურთ და, რაც მთავარია, მისაღები ფიგურაა ის რუსეთისთვისაც, რომელსაც სააკაშვილთან სარფიანი ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს.

როდესაც შენს თეატრში სხვა თეატრიდან იწვევ მსახიობს და რეჟისორს, იმაზეც ხომ უნდა იფიქრო, ვიღაც-ვიღაცებმა კულისებში არ მიგახრჩონ, რომ შენთვის განკუთვნილი აპლოდისმენტები და ოვაციები თვითონ დაისაკუთრონ და გამარჯვების გვირგვინი შენს ნაცვლად სხვას დაადგან თავზე, რადგან შენ თავად არაფრის თავი არ გაქვს თურმე.

ვახტანგ ხარჩილავა

სხვა დრო

საქართველოს
მწერალთა ეროვნული
აკადემიის
გაზეთი

N2 (7). 20 მაისი, 2020 წ.

რა ჰქვია იმ დროს, როცა ზარბაზნები არ ქუხან, მაგრამ მუზები მაინც დუმან?

„სხვა დროს“ სტუმარია პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

– ბატონო რამაზ, აშკარაა, რომ ახალი ეპოქა დგება. ეს ეხება როგორც მწერლობას, ხელოვნებას, ისე პოლიტიკას, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. ცვლილებებმა რამაც ბოლო პერიოდში ასახვა ჰპოვა, თქვენი თაობის თვალწინ ჩაიარა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სრულიად სხვა რეალობა მივიღეთ. ადრე, ადამიანი კინოთი, თეატრით, წიგნებით ცხოვრობდა, დღეს კი ეს სფეროები გაფურჩქვნის, აღორძინების ნაცვლად დეგრადირდა. რით შეიძლება ყოველივე აიხსნას?

– მართალი ხართ, ამ ცვლილებებმა ჩემი თაობის თვალწინ ჩაიარა. მე, 1950 წელს დავიბადე, 40 წელი ცხოვრება საბჭოთა პერიოდში მომიწია. მე და ჩემი მეგობარი რომელიც ასევე ფსიქოლოგია, მიტინგებს დანაფეხული ვიყავით. საბჭოთა სინამდვილეში ძნელად თუ წარმოგვედგინა, რომ ასეთი ქარტეხილების მოწმე გავხდებოდით. როგორც ვულკანმა პროცესებმა ისე ამოხეთქა და ყველა თავქუდმოგლეჯილი მისკენ გაიქცა. მერე, თანდათანობოთ, მიტინგებსაც შევეჩვიეთ. საზოგადოებაში განწყობილებების ძალიან დიდი აღზევება იყო. ის სიტუაციაც კარგად მახსოვს, როცა ეროვნული თემა მიტინგების ძირითადი სათქმელი იყო. ბუნებრივია, წესით უაღრესად ამაღლებული გრძნობა უნდა გაჩენილიყო მაშინ, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო. საინტერესო ფაქტია: ამდენი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა მივიღეთ და არცერთი ლექსი ან მეტ-ნაკლებად საყურადღებო ნაწარმოები ამ მოვლენასთან დაკავშირებით არ შექმნილა არც იმ პერიოდში და არც შემდგომ. ეს უდაოდ, დამაფიქრებელია. ჩემს მეგობარს ვკითხე: მართლა სიცარიელეა ხელოვნების ხაზით თუ მეჩვენება-მეთქი. მანაც დამიდასტურა: მეც შევნიშნე, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა, თავისუფლება მოვიპოვეთ და ხელოვნებაში სრული ვაკუუმიაო. ერთ-ერთი პარამეტრი ჩვენი დამოუკიდებლად არსებობისა შეიძლება გამხდარიყო ლექსი, სიმღერა, რაც ადამიანის განწყობილების გამომხატველია. მას ხომ სულ ემღერება და სულში ზეიმი აქვს. შემდგომ, ეს ზეიმი გადადის ან ფურცელზე, ან ხმად იქცევა, ადამიანს სურვილი უჩნდება თავისი განწყობილების გამოხატვის, მაგრამ ეს გამოხატული ემოციები არსად ჩანდა. გარკვეული წარწერები მხოლოდ კედლებზე იყო. დიახ, თუ გახსოვთ, კედლებზე რაღაც ტექსტებს აკრავდნენ იმიტომ, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი ქუჩაში მიდიოდა. „ფეისბუქი“ არ არსებობდა, სამაგიეროდ, კედლები წარწერებით იყო გადაჭრელებული. ამ წარწერებში კი იყო რაღაც, მაგრამ არა ისეთი დონისა და ხასიათის, გეფიქრა: აქ, სერიოზული პოეტური მუზები არიან ჩარეულნიო. პრაქტიკულად, ეს ის ლექსები იყო, რასაც ყოველგვარი პოეტური ნიჭის, მისწრაფებისა და პროფესიონალიზმის გარეშე გაიგონებთ-ხოლმე ამა თუ იმ ქუჩის მოსახვევში. რატომ ან სად გაქრა ხელოვნება? – თქვენს დასმულ საკითხს ვეხმაურები დამატებითი კითხვითა და დაზუსტებით: ხელოვნება მხოლოდ დღეს ან მას მერე არ გამქრალა, რაც ხელისუფლებაში ის ადამიანები მოვიდნენ, ვინც ქართულ მწერლობას, კინოს, თეატრს, მხატვრობას პატივს არ სცემდნენ. დღეს, შეიძლება ხელოვნების გარკვეული დეგრადაცია, მათი გაძლიერებით ახსნილიყო, თუმცა საქმე მთლად ასეც არ არის. ხელოვნების დეგრადაცია ამ პოლიტიკოსების გამოჩენით არ დაწყებულა. ეს ბევრად ადრე დაიწყო. პრინციპში თუ ადამიანს აინტერესებს რა ხდება დღეს, მან უნდა დაიწყოს იქედან თუ რა ხდებოდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს იმ პერიოდის საქართველოა, რა დროსაც ბევრი კალმის, მუსიკის ოსტატი ცოცხალია, ენერგიით სავსეა და იმის თქმა, რომ მაშინ საქართველოს ხელოვანები არ ჰყავდა, სწორი არ იქნება. მიუხედავად ამისა, სულიერ ცხოვრებაში მაინც ასეთი ვაკუუმი იყო. არადა ამ დროს წესით, ვაკუუმი კი არა, სულიერ ცხოვრებაში აღმასვლა, გაფურჩქვნა, აღორძინება უნდა მომხდარიყო. ყველამ ვიცით, გალაკტიონის ბრწყინვალე ლექსი „დროშები ჩქარა“. მას ჰქონდა თუ არა ის სულისკვეთება, აღმაფრენა რაც ლექსშია, ძნელი სათქმელია. ამას რატომ მოგახსენებთ: თუკი მაშინ შეიძლებოდა პოეტური მუზის პოვნა, ალბათ, ეს კიდევ უფრო მეტად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მაშინ, როცა საქართველომ საუკუნოვანი ოცნება აიხდინა და დამოუკიდებელი გახდა. ეს ხომ დროებითი მოვლენა არ იყო, მაგრამ მას ხელოვნებაში, არსებითად, არანაირი შედეგი, ანარეკლი არ მოჰყოლია. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ საკითხს მხოლოდ ჟურნალისტები აყენებენ და ისიც ერთეულები. სხვა ჟურნალისტებისგან ამ თემაზე მსჯელობა არასდროს მსმენია. ახლა, თქვენმა გაზეთმა „სხვა დრომ“ გახსნა ეს თემა – რა სჭირს ქართულ სულიერებას დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში და შემდგომ? ამხელა მნიშვნელობის მოვლენა რატომ მოექცა ხელოვნებისგან ჩრდილში? ამაზე არავინ საუბრობს, მეტიც, გამეფებულია ტენდენცია – ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს, სულიერებას არაფერიც არ სჭირს – „ვსიო ხარაშო, პრეკრასნაია მარკიზა“. ვვარაუდობ, რომ ძალიან ბევრი რამ გასარკვევია: თუ რა ხდება ქართულ სულიერებაში, პოეზიასა და ხელოვნებაში. ამ საკითხმა კიდევ ერთი რამ მიკარნახა: ამ პერიოდში ხალხი რელიგიურ სულიერებას დაეწაფა. ეს ერთმანეთისგან დასაყოფი რეალობები არ გახლავთ – სადაც ადამიანს ხელოვნებისეული სულიერება აინტერესებს იქ, წესით, რელიგიური სულიერებაც უნდა აინტერესებდეს. თუმცა, ვხედავთ შემდეგს: რელიგიურ სულიერებაზე დიდი აქცენტი კეთდება, ხოლო ესთეტიკურზე, სახელოვნებოზე, თითქმის, არაფერი ისმის. ბოლო ხანებში გამოჩდნენ ახალგაზრდა პოეტები, რომელთაც გარკვეული სიჩუმე დაარღვიეს. ეს საკითხები, წესით, დაფიქრების საგანი უნდა იყოს. ერთი მომენტიც არის: მე, ლიტერატურის კანონზომიერებებს არ ვიცნობ. შეიძლება ნაწარმოებში მოვლენა უცებ არ აისახება და გარკვეული დრო სჭირდება იმას რომ მან ასე ვთქვათ თავისი მხატვარი იპოვოს. თუმცა, მეორე მხრივ, გავიდა 30 წელი და განვლილი პერიოდიც კი არ გამხდარა სერიოზული სახელოვნებო თემის საგანი.

რაც შეეხება ფილმებს, ქართული ფილმები ქვეყნის გარეთ უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ქართველ მაყურებელში. ნაწარმოები კი, დამოუკიდებლობის თემასთან დაკავშირებით,

8 გვ.



რა ჰქვია იმ დროს, როცა ზარბაზნები არ ქუხან, მაგრამ მუზები მაინც დუმან?

7 გვ.

არ დაწერილა. ნუ, ერთადერთი გოგა ხაინდრავას გროტესკული ფილმი შეიქმნა „ჰეროკრატია“ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდზე, მაგრამ იგი მთლიან პერიოდს არ ეძღვნება, არამედ ერთ ნაწყვეტს. როგორც ჩანს, ქართულ მენტალიტეტში რაღაც პრობლემაა. არათუ ხელოვნებაში, თავად ქართველ ადამიანში იცვლება რაღაც. ჩნდება ეჭვი, რაც კიდევ უფრო გააძლიერეს ამ მოვლენებმა, რომ ხშირ შემთხვევაში შეიძლება არცთუ ისე პოეტურები ვიყავით, როგორც ვიჩემებდით. თან, საბჭოთა პერიოდში სხვა არც არაფერი იყო საჩვენებელი, თავმოსაწონი. ხელოვნების ნიმუშების მიმართ ზიარება, თავმოწონების საშუალებას იძლეოდა. დღეს, უკვე, თავმოწონებად ითვლება დასავლური ტიპის ხელოვნებასთან ზიარება, ისიც, ძირითადად, მუსიკალურ ნაწარმოებებში. სხვა მხრივ, არაფერი საინტერესო მიგნებები არ ჩანს. დასავლეთისკენ სწრაფვა საბჭოთა პერიოდის დროსაც იყო. სწორედ ამან გააჩინა მხატვრების მთელი პლეადა. უაღრესად დასავლური იყო თეატრალური ესთეტიკა. თვალსაჩინოებისთვის რობიკო სტურუაც კმარა. ასევე, ძალიან თვალშისაცემი იყო ქართული კინოს ფენომენი, რომელიც იდეოლოგიურ ბარიერებს ხან გვერდიდან შემოუვლიდა, ხან ზემოდან ახტებოდა, ხან მითოლოგიას ქმნიდა, ხან პირდაპირ შუბლში ახლიდა, მაგრამ იდეოლოგიასთან ჭიდაობა არ იყო მისი ძირითადი დამსახურება, არამედ პროფესიონალიზმის უმაღლესი დონე. ანუ, რობიკო სტურუამ საბჭოთა იდეოლოგიას, სპექტაკლების რაღაც ნაწილში, გადაუარა. მან თავისი „შექსპირიადა“ შექმნა, რომელიც ნებისმიერ დროსა და ეპოქაში იარსებებს და მაყურებელიც ეყოლება. აი, ასეთი ხელოვნება გაქრა. აქ, პოზიციებზე აღარ არის ლაპარაკი. გალაკტიონიც სწორედ ამიტომ გავიხსენე. მისი მუზა რევოლუცია გამოდგა და ეს ლექსი საკმაოდ მაღალი რანგის იყო. გარდა ამისა, ასევე, მაღალი რანგის რეჟისორებმა მარჯანიშვილმა, ახმეტელმა უმაღლესი დონის ნაწარმოებები შექმნეს. იქ, უკვე, იდეოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. იდეოლოგია მებრძოლი, სიუჟეტი რევოლუციური უნდა ყოფილიყო და უკვე შემდეგ მოდიოდა მისი მხატვრული მხარე. აი, ასეთი დონის ნაწარმოებები, პრაქტიკულად, გაქრა მაშინ, როცა იდეოლოგიური მხარე შესანიშნავი, წელგამართული იყო – 200 წლიანი ტყვეობიდან დახსნილი დამოუკიდებელი საქართველო. 90-იან წლებში საქართველოს თავი უნდა დაეხსნა არა მარტო პიროვნებებით ვინც ეროვნულ მოძრაობას სათავეში ედგა, არამედ ხალხით. იქ, ხალხი იდგა. ეს დამოუკიდებლობის მოპოვების მართლაც ეროვნული და არა რამოდენიმე ადამიანის პროცესი იყო, მაგრამ გარედან სრული სიჩუმე, სიღარიბე სუფევდა. მით უმეტეს, ემოციურ საქართველოში, იმ ქვეყანაში, სადაც ერთი სული აქვთ ამოთქვან, სადაც ემოციებს გულში იშვიათად იტოვებენ და ეს ცეცხლი უმეტესწილად პოეზიაში გადმოაქვთ. დამოუკიდებლობის მოპოვების თემა კი მხატვრულ სივრცეებში, არეალში, პრაქტიკულად, არ გადმოტანილა. რატომ? – არ ვიცი, მიჭირს თქმა, თუმცა პასუხზე ნაწილობრივ რაღაცები მაინც მიგვანიშნებს მაშინ, როცა დასავლეთზე ვართ ორიენტირებული. შეიძლება დასავლეთისგან უფრო მეტი რამ ავკრიფეთ, ვიდრე გაცნობიერებული გვაქვს. თანამედროვე დასავლეთი იმითაც გამოირჩევა, რომ იქ, მასიურად ხელოვნებისკენ სწრაფვა შენელებულია. მასიური მკითხველი კლასიკურმა ნაწარმოებებმაც დაკარგა. ასევე, მასიური მსმენელი დაკარგა კლასიკურმა მუსიკამ. სამსახიობო სტილისტიკა, მაღალი რანგის არტისტები შემცირდნენ. დღეს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს და უფრო დიდი შემოსავლები მოაქვს თავგადასავლების პერსონაჟების ტიპაჟებს. სახელები რომლითაც დღეს მაყურებელს იზიდავენ, სწორედ, განათლებული მაყურებლის თავშესაქცევად წარმოდგენილი სახეებია ზემოთნახსენები სიუჟეტებით, ვიდრე დაფიქრებისთვის მოწოდებული მაყურებლის მისაზიდად. ხელოვნებამ დაკარგა ის სტილი, რაც მეტ-ნაკლებად ადრე ჰქონდა. საბჭოთა აქტორი უკვე მოიხსნა. დასავლეთი იდეალურად იქნა მიჩნეული. დასავლეთზე ორიენტაციით ადამიანი უკვე სხვანაირი ხდება ანუ, იმავე ტიპის როგორიც დასავლელი პერსონაჟია. კი ბატონო, დასავლურ სინამდვილეში – კინოშიც, თეატრშიც, ლიტერატურაშიც ძალიან მაღალი დონის ნაწარმოებები იქმნება, მაგრამ მე, ვლაპარაკობ საშუალო ადამიანის ფიქრზე და ტენდენციებზე. საშუალო ადამიანის ტიპი დღეს უფრო განსხვავებულია, ვიდრე ადრე იყო. ადრინდელ პერიოდსაც თუ დავაკვირდებით: ლიტერატურის მიმართ სიყვარულს თან ერთვოდა წიგნების ყდების მიმართ სიყვარული. ძალიან ხშირად ხელოვნებაში წიგნს, მუსიკასა თუ თეატრში გათვითცნობიერებულობა თავმოწონებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილი უფრო იყო, ვიდრე ინდივიდუალური პიროვნების შინაგანი გაზიარების ნაწილი. თუ ეს ვერსია ოდნავ მაინც სწორია, მაშინ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმებში იგი ამ ხელოვნების ადგილს დაიკავებს, ხოლო ეს უკანასკნელი (ხელოვნება) ჩაქრება. დღეს ადამიანი ხელოვნებას აღარ ეწაფება. ზოგადი, საერთო ტენდენცია იმისკენ, რომ ხელოვნება წინ წამოწეული იყოს ნაკლებად იკვეთება, რაც ეტყობა კიდეც გარკვეულ მსჯელობას, რომელმაც ჩასარეცხი თაობის მერე, პრაქტიკულად, იმავე რანგის არაფერი აღარ დადო. ეს ეხება თეატრებსაც და მხატვრობასაც. ბოლო პერიოდში არ მახსენდება რაიმე მნიშვნელოვანი გამოფენა, სადაც საინტერესო მხატვარი აღმოეჩინოთ. ახალგაზრდობაში თითოეული მხატვრის გამოჩენა ახალი აღმოჩენების ტოლფასი იყო.

– ანუ, ფაქტობრივად, მწერლობა ორად დაიყო – საბჭოთა კავშირისა და თავისუფლების მოპოვების შემდგომ პერიოდად. მართალია იყო სამოქალაქო ომი, ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური პრობლემები, მაგრამ ამას მწერლობის ჩავარდნას ვერ დავაბრალებთ. მწერლობამ ლიდერის ფუნქცია ვერ იტვირთა. ეს რით აიხსნება? გარდა ამისა, თქვენ, ახსენეთ კინო, რომელიც სინთეზური ხელოვნებაა. დღევანდელმა ქართულმა კინომ სერიოზული რეგრესი განიცადა. ტაჯიკურ ერებს ჩვენოდენა ისტორია არ ჰქონიათ, მაგრამ კინოს მეშვეობით მსოფლიოს საკუთარ თავს აცნობენ. ჩვენ, დავით აღმაშენებელზეც ვერ გადავიღეთ წესიერი ფილმი. ადრე, თუ გახსოვთ თურქული სერიალი „დიდებული საუკუნე“ გადიოდა, სადაც თავიანთ კულტურას წარმოაჩენდნენ. ჩვენც ხომ გვქონდა ჩვენი დიდებული საუკუნე. რატომ არ გვინდა მსოფლიოს გავაცნოთ რანი ვართ და რანი ვიყავით?

– არ გვინდა თუ არც შეგვიძლია?! არ ვიცი, რა გითხრათ. ზემოთ ვახსენე: ლიტერატურას, შეიძლება, თავისი კანონზომიერებები აქვს-მეთქი. იგივე, დავითის ეპოქის შემდეგ უამრავი წელი გავიდა, სანამ შოთა რუსთაველი დაიბადა. შემდგომ, ევროპასთან ნაზიარებმა „თერგდალეულებმა“ შექმნეს კულტურული ფენომენი, რასაც „თერგდალეულობა“ ჰქვია. მაგრამ იყო კი ეს ფენომენი იმხელა გავრცელების, რომ ქართული კულტურისთვის საყრდენი გამხდარიყო? – ძნელი სათქმელია იმიტომ, რომ ფაქტობრივად, „თერგდალეულების“ თაობას მოჰყვა საბჭოთა პერიოდი. მოგეხსენებათ, ილია ვინც მოკლეს. პროცესები ბუნებრივად რომ განვითარებულიყო, რა მოხდებოდა, ეს კიდევ სხვა საკითხია. თითქოს ამ კულტურულმა მოვლენამ თავი ერთ პერიოდში მოიყარა. ამ დროს „თერგდალეულობის“ წინ არანაირი პირობა არ იყო. რატომ უნდა ამოეხეთქა მე-19 საუკუნეში „თერგდალეულობას“, გაუგებარია. თქვენ დავით აღმაშენებელი ახსენეთ. ამ პერიოდში, დაგვიანებით, მაინც წარმოიშვა მაღალი კულტურა. აღორძინება, ფაქტობრივად, აღმაშენებლის ეპოქის პირმშოა. აქ, კი წინ, ერს არანაირი აღმასვლა არ ჰქონია და უცებ, „თერგდალეულების“ მაღალი კულტურა წარმოიშვა. ანუ, რა პირობები ქმნის-ხოლმე მაღალ კულტურას გინდ ინდივიდების და გინდ მთლიანი ერის სახით, ძნელი სათქმელია. ამ საუბარში გამახსენდა პროზაიკოსი აკა მორჩილაძე. მას წარსულის ამოტივტივების თემებზე უდევს ხელი. აი, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდზე კი იგიც ცდილობს განზე გადგეს. ამიტომ, აქ, რაღაც კანონზომიერებები იმალება. შეიძლება თაობებს სჭირდებათ დისტანცია და მოვლენების პერსპექტივებში დანახვა. შეგახსენებთ, დავით აღმაშენებელზე ქართულ ხალხურ პოეზიაში ლექსი არ შექმნილა თუ არ ჩავთვლით „დავით მეფე ღმერთს უყვარდა..“. როგორც ჩანს, უშუალო პერიოდში ბევრი ისეთი დამოკიდებულება იჩენდა თავს, რაც იმ დიდი შედეგების მიუხედავად აღმაშენებლის ფიგურის ხელოვნებაში გადატანას ხელს უშლიდა. გავიდა საუკუნეები და ეს ეტაპი მერე დაიწყო. შეიძლება ახლაც საუკუნეები უნდა გავიდეს. საერთოდ, ქართველებს აღმაშენებელი არ უყვარდათ. იგი ძალისმიერი მეფე იყო – ქართველები დააჩოქა, მათ აომებდა. შეიძლება ესეც იყოს მიზეზები იმისა, რომ დავით აღმაშენებლის ფიგურის მიმართ ტრფიალი საქართველოში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე იგივე თამარის მიმართ. ასე, რომ კითხვაზე პასუხი შეიძლება ზოგადი კანონზომიერების შესწავლას საჭიროებდეს – მხოლოდ დღევანდელი დღით არ იყოს ახსნადი, რაც დღეს ხდება.

– თქვენ, ილია და „თერგდალეულები“ ახსენეთ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მწერლობა ერთიანია, ყველა საერთო საქმეს ემსახურება. ახლა ეს სულისკვეთება გამქრალია. რა არის ამის მიზეზი?

– დიახ, ალბათ, ეგრეა. იცით რა, არსებობს ბრძოლის, მათ შორის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის და შემდგომ უკვე დამოუკიდებლად არსებობის ეტაპი. მაჰათმა განდიმ უდიდესი როლი შეასრულა, რათა ინდოეთი დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ მერე, არც თავად მოინდომა და არც სხვებმა მიუშვეს აღმასრულებელ მთავრობაში იმიტომ, რომ იქ, პროფესიულად, კარგად გათვლილი პროექტებია საჭირო. მაჰათმა განდის რომანტიკული იდეები ჰქონდა. გასაგებია ერის მამობის ეტაპი, როცა ბრძოლის დროს ხალხს უნდა მოუწოდო: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, მაგრამ თუ ქვეყანა უკვე დამოუკიდებელია, მერე, მისი აშენებაა საჭირო და იქ, არაპროფესიონალიზმი და რომანტიზმი დამღუპველია. ჩვენ, დამოუკიდებლობა ისე უცებ მოვიპოვეთ, რომ ინტელიგენცია დიდად საჭირო აღარც იყო. ფაქტობრივად, ეს ფუნქცია საკუთარ თავზე დისიდენტებმა აიღეს. მალევე დაგვიდგა შემდეგი საჭიროება: აბა, ქვეყნის შენება ვინ იცისო. მერე, უკვე, რომანტიზმს გამოკიდების დრო აღარ იყო. ძაღლის თავი, შეიძლება, სწორედ აქ იყოს დამარხული.

– რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას. თუნდაც ავიღოთ, როგორ შეცვალა კორონამ ცხოვრების წესი. მუდმივად გვესმის, რომ კორონას შემდეგ ცხოვრება აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. შეიცვალა ადამიანთან ურთიერთობები, დაინერგა იგივე, ონლაინ სწავლება და ა.შ.

– რა გითხრათ, კორონამ ბევრი რამ შეცვალა, გააძლიერა, ჩვენი ცხოვრების გარკვეული შტრიხები გარდაქმნა. ეს ცვლილებები კორონამდე ბევრად ადრე იყო დაგეგმილი. იმედი ვიქონიოთ, რომ ცვლილებები ოდესმე დაღვინდება. ყველაფერს მაჭრის ხასიათი აქვს. კომპიუტერზე დამოკიდებულება იქნება თუ ადამიანთა შორის განსხვავებული ურთიერთობები, ჯერჯერობით, ყველაფერი დაუღვინებელია. ასე, რომ დაველოდოთ რა იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

კორონას დრო და ქაჯებთან ომის მითი

კობა არაბული:

დგება კითხვა: რისი გამოცხადება შეიძლება კაცთა მოდგმისთვის "სარწმუნო მითად"– დასაშვებ რეალობად, გნებავთ ჰიპოთეზად? აუცილებელია თუ არა ვირტუალურის შესაძლებლად დანახვა და წარმოდგენა...

არსებობს ცოცხალი მირაჟული ხილვების მოულოდნელი გაჩენის შესაძლებლობა ბუნებაში, ბევრი რამის დაშვება...

ზოგჯერ ჰიპოთეზა უფრო მნიშვნელოვანი და რეალური ხდება, ვიდრე სამარხში ნაპოვნი ბეჭედი, ან თავის ქალა! ჰიპოთეზა შორეული მითოსური (ანდრეზული) სინამდვილის ხედვაა, რომელიც დროისა და სივრცის რომელიღაც „ბაქანზე" იცდის!

თუ ჰიპოტეტური ვერსია მცდარი აღმოჩნდება, ესეც რომელიმე „ალბათობის" გამორიცხვის საშუალებას გვაძლევს და სასარგებლოა სხვა ახალი ჰიპოთეზის გასაჩენად!

ადამიანთა ხედვა და ცოდნა პირობითია, უფალი მათ წინ „ულაგებს" ურიცხვ საგნებს და მოვლენებს, ერთი ერთს ხედავს, და მეორე – მეორეს! ყოველი ახალი ცივილიზაცია მათ თავის სახელს არქმევს...

არც ფილოსოფოსის და, მით უფრო, არც მეცნიერის ნაღვაწს არ უნდა ჰგავდეს ჩემი ეს წერილები, იგი

უნდა ეკუთვნოდეს პოეტური ესთეტიკის, თუ ეგზალტაციის ნაწილს, მის წინასწარ ხედვას, გნებავთ მხატვრის ემოციას, სადაც მოვლენათა „დიფუზია" და სამყაროს „ჰოლოგრამული სურათები" მისი მხატვრულ-ინტუიტური ხედვით გვეცხადება, ანუ: „ვწერ და ვხატავ იმას, რასაც ვხედავ და რაც მეჩვენება!".

●

ხოგაის მინდის ფენომენი არ თავსდება პრაგმატული ხედვის ჩარჩოში: იგი თითქოს არის და არც არის, მაგრამ ანდრეზულ მეხსიერებაში (მითში) არსებობს ეს ფენომენი. ვერ იტყვი „წყალნი ჩერდებიან" თუ-არა, „იძინებენ და იცდიან" თუ – არა, დღე ღამის რომელიმე მონაკვეთში... მაგრამ როდესაც მდინარემ „ვეშაპის ნაჩუქარი" ჯაჭვის პერანგი „მოუტანა" თორღვა ძაგანს – „წყალნი გაჩერდნენ": თორღვა წყალში შევიდა და „ჯაჭვის პერანგი ამოწურა".

მითი გვეუბნება, რომ ერთ ჟამზე „წყალნიც ისვენებენ" და იძინებენ, ფოლკლორის ხედვით, ერთი წამით „ცის კარიც იხსნება", ამას ფოლკლორში „ცისკარ-გახმა" ჰქვია. („შევესწარ ცისკარ-გახმასა, ერთ წამს გაღებას ცისასა", – ფოლკ.).

ჩვენ არ ვიცით მზეს შეუძლია თუ არა „მოცდა ცაზე", თუნდაც ერთი წამით, მაგრამ ფხოველი მისტიკოსი „მოტირალი" ეუბნება მას: „მზეო, დადეგ და დაგვიანდიო!!!" და რაკი სიტყვა უფლისაა და თვით „სიტყვაა უფალი", მზემ შეიძლება უფლის ნებით (ანუ სიტყვის ძალით) მოიცადოს რამდენიმე წამით ცაზე...

ხევსურთა მეანდრეზე ამბობს, რომ როდესაც მზე „ბუდეში შედის" იგი ერთი დღე-ღამე (24 ჟამი) ერთ ადგილს „ტკეპნის", წინ და უკან „წაჯდება და წამოჯდება", ხოლო ერთი ჟამის მერე „თითო კაცის ნაჯდომით" გადაადგილდება ცაზე, „განცხადებიდან" კი „შიშაგის ნახტომით ხტება", მან ე.ი. მეანდრეზემ ეს იმდენად ცხადად იცის, როგორც ჩვენ ვიცით ჩვენი სახლის გზა... დგება ჟამი როდესაც „ვირის ყურნიც" გრძნობენ და იგებენ დღის გადიდებას".

●

ყოველ მდინარეს ჩამოაქვს ის ქვიშა საიდანაც ჩამოდის, ხოლო ყოველ ტომს, თემს თუ რასას მოსდევს და მოაქვს ის ცოდნა და კულტურა, რომელ ისტორიულ გზასაც გადის დროსა და სივრცეში...

((აბრაამის ტომი გავიდა ჩრდილო-მესოპოტამიიდან (XVIII ს.ძ.წ.), განვლო სირია და შევიდა ქალდეველთა ურში, შემდეგ იგივე აბრაამის ტომი აღმოჩნდა ეგვიპტელთა ტყვეობაში.

ოთხასი წლის მერე მოსემ გამოიყვანა ებრაელთა რასა ტყვეობიდან და 40 წელი მიჰყავდა „სიკვდილის უდაბნოში", მათ უამრავ თემთა და ტომთა შორის განვლეს ჯოჯოხეთური გზა, რომ შეეღწიათ აღთქმულ მიწაზე! ხოლო (IX—VII ს.ძ.წ) ებრაელმა „ხუცებმა" შექმნეს „ბიბლიის წიგნები". (ასეთი გახლავთ სწავლულთა დასკვნა ბიბლიაზე).

დააკვირდით, რა გზა გაიარა ამ რასამ და რამდენი „უდაბნოს ქვიშა" ლოკა (აიკრა), რა ჯურის ხალხთა და ცივილიზაციათა ცოდნა და ინფორმაცია „შეიწოვა" და აქცია წიგნად, რომელსაც „ბიბლია" ეწოდება!))

„ბიბლია" გვეუბნება, რომ ქალდეველნი რჯულის კანონთა ქვებს დგამდნენ გზებზე, გამვლელებს რომ წაეკითხათ!

მოსეს ჩამოაქვს წარწერიანი „კანონთა ქვები" და მოხეტიალე რასას ასწავლის რჯულის კანონებს! ასწავლის მორალს, ყოფაქცევას და ცხოვრების წესს. აყალიბებს ქალის და კაცის (მამრის და მდედრის) ზნეობრივ კატეგორიებს, აძლევს მათ კაცობრიულ თვისებებს! ვინც არ ემორჩილება – მოსე ყველას სიკვდილით სჯის და ანადგურებს!

((ებრაულმა „რასამ" „ჩამოიტანა" იმ ტომთა, სახელმწიფოთა ცივილიზაცია და ცოდნა, რომელი გზაც მათ განვლეს დასაბამითგან „ბიბლიამდე"...))

იბერთა უძველეს რასას იმ დროს არ დაუწერია „ბიბლია" (თუმცა არსებობს გილგამეში!), მაგრამ მან „ანდრეზთა" სახით შექმნა სხვა უცნობი „ბიბლია", რომელიც ფხოველთა თემის („საყმოს") მეხსიერებაში დღემდე ინახება, როგორც სინათლის სხივი კოსმოსში, რომელსაც მილიონი წლის მერე შეუძლია მოვიდეს ჩვენამდე და დაგვანახოს „მზე", რომელიც ამ სინათლეს ასხივებდა! ჩვენი „ანდრეზი" ასეთი დაუწერელი მატერიცია ფხოვის ცნობიერებაში დამარხული.

●

ჩვენ ნაწილობრივ ვიცით, თუ რა საიდუმლო ჩამოაქვთ კოლხურ მდინარეებს „ევქსინის პონტში"...

ჩვენ ვიცით, რა ინფორმაცია ჩამოაქვს „ებრაელთა მდინარეს" ბიბლიის შესაკრებელში, ან სამოთხის მდინარეებს ედემის მიწაზე, მაგრამ არ ვიცით, რა ინფორმაცია ჩამოაქვს მდინარე არაგვს, რომელიც მოედინება იმ ქარიზმული სივრციდან და მწვერვალებიდან, რომელსაც ფხოველი ხევისბერნი „დედამიწის შუასამანს" უწოდებენ საკულტო ტექსტებში... მწვერვალებზე აღმართულ მზის და მთვარის ტაძრებში ღვთიური ცეცხლი ღვიოდა და სანთლები თავისით ინთებოდნენ, მიწა იყო თბილი და აქ არ იცოდა ზამთარი!... ამ მწვერვალებს ხადუს, ხადას, ცროლის, კარატეს, ფხიტუს, საჩალის, სანეს, მახანლის მთების სახელით იხსენებენ და ეს მთები განლაგებულია „ევრაზიის ოქროსკვეთზე" (იხ.თ.ალაშვილი), ანუ "დედამიწის შუა სამანზე..." (სახუცო ტექსტი).

პომპონიუს მელასეული კავკასიონის ინტერპრნეტაცია (სახელდება) –„კერაუნია". ხოლო არაგვის ხეობას „პელორის" სახელით იხსენებს სტრაბონი... თუ რა საიდუმლო ჩამოაქვს ამ მდინარეს ქრისტემდელი და ქრისტესშემდგომი, წარღვნამდელი და „ბიბლიამდელი" საუკუნეებიდან, რა ცოდნა და საკრალური (ენერგეტიკული) ინფორმაციებია აქ, ამ ხეობის წიაღში დამარხული,–ჩვენ ეს არ ვიცით!

ბიბლიის მკვლევართა ერთი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას მოსეს რჯულის კანონთა და ხევსურთა საკრალური ცოდნის მსგავსება- იგივეობის შესახებ, და ეს, თითქოს, მართლაც ასეა! მაგრამ, დგება კითხვა: რომელია უწინარესი: ბიბლია, თუ ფხოვის ანდრეული მეხსიერება? ჩემი პასუხი ასეთია: ფხოვი (ფშავ-ხევსურეთი) ბიბლიაზე უძველესი, ბიბლიამდელი თემია! მისი ანდრეზული ცოდნა, სამეურნეო კალენდარი, მკურნალთა და ქადაგთა ინსტიტუტი, ორნამენტთა სისტყემა, რიტუალთა გენეზისი და მითოსური სამყარო უფრო შორეული(შუმერულ-ქალდეურ-ეგვიპტურ, პელაზგურ-ეგეოსურ, კრეტამიკენური) კულტურების ნაწილია(იხ ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, პ.ბერიძე ...)

ანუ, ფხოვის" ბიბლიური ბაღის" უნიკალური ნაყოფი მითია, რომელსაც ყველაფერი ახსოვს: – ადამის აქ ყოფნაც და ნოეს კიდობნის მოსვლაც!..

●

არავინ იცის, ფხოვიდან საომარი ხელოვნების რა ცოდნა ჩამოიტანა ფარნავაზმა (ანდრეზული ინფორმაციით: ერთ-ერთმა ფხოველმა მეომარმა „ნისლის კოტორი" იფარა და „ყორნის გრილოებზე" გადიარა, – ასე



მიუახლოვდა მტერს!! მათ გზა მოუჭრეს ჩრდილოეთის „შავი ხვრელიდან" გამოსულ ხაზაროიდულ ტომებს და არ შემოუშვეს... ხოგაის მინდის „ქაჯების ხელით" „წაღმა-უკუღმა" ნაქსოვი სამოსელი ეცვა, რომელიც უხილავს, ანუ „საფარველდადებულს" ხდიდა მას).

ჩემთვის ერთი რამ ცხადია: იქიდან ჩამოსულმა ფარნავაზმა „მზის ცვარი მოხოცა" მიწაზე ჩამოსულ მზეს(!!) და ჰპოვა „განძი", რამაც მას შეაძლებინა პირველი გაერთიანებული (ქუჯი-ფარნავაზის) სახელმწიფოს შექმნა! ეს „იგავ მიუწვდენელი" მოვლენაა იმ დროისთვის, რომელიც ჩვენ კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული...

ხევსურეთში რძეს „მზის ცვარი" ეწოდება; რძეს მზე იწველის! მზე კი დედაა ჩვენი და ჩვენს სახლებში „შინ შემოდის"!

ფარნავაზს „ფხოვის ხეობიდან" ჩამოჰყვა „მზის ცვარით" შედედებული დვრიტა და რომელიღაც საიდუმლო გაახსნევინა! (მათ შორის ენის და ან-ბანის!), რომელმაც მთლიანად შეცვალა ქართველი ერის ბედი და ცნობიერება!

მან (ფარნავაზმა) მოიყვანა ძურძუკი ქალი და მისმა ძემ, საურმაგმა, საქართველოს რომელიღაც მონაკვეთზე –„ვიდრე სვანეთამდე" დასხნა ძურძუკნი! ფარნავაზის ეს გზაც „ფხოვის კარზე" გადის! ფხოვი „გულის ძარღვით" მიბმულია იბერიის უძველეს დედა-ქალაქ მცხეთას! – ხოლო ლიქოკის, ხადუს, ხახმატის, ანატორის, კარატეს, მუცოს მთებზე „ახლაც ეტყობა ძველი საქარავნე გზები და დიდი დემოგრაფიული აფეთქების კვალი!" (რ. რამიშვილი, ი.წიკლაური).

●

ფხოვურ მითებს ჩამოაქვს არა ერთი, დროში და დროის მიღმა მდგარი მოვლენათა ინფორმაცია („ჩაშლილი ჯაჭვის თვალი") – მითში მდგარი მეორე მითის მირაჟი, რომელიც ქრება და ჩნდება, გვეცხადება და გვეკარგება, ვითარცა მთვარის მანგი!!!

მაგრამ ვინ არის ამ მითთა მთხრობელი და ამხსნელი „მედიუმი", ვინ დარჩა აქ, ამ ქვეყანაზე სატანურ დროთა „სიმურში"?! (წარღვნაში).

პასუხი ერათია:

– აქ დავრჩით ჩვენ, ხატის „კვრივებიდან" და ერის ზნეობრივი სივრციდან გამოდევნილი „უიღბლო" თაობა, რამდენადმე გაოგნებული და სახტად დარჩენილი!... მაგრამ მაინც: მითი, – ჩვენი ერის უნივერსალური საკრალური ცოდნა, ჩვენ უნდა შევიცნოთ და გავაცხადოთ, ჩვენ უნდა გავხსნათ მისი საიდუმლონი!!! ეს უნდა იქცეს ჩვენი „უჟამო ჟამის" მძლეველ მისიად...

●

ჩვენ რელურად მიუახლოვდით იმ დროს და მოვლენებს, რომელიც „ქაჯებთან ომის მითშია" გაცხადებული, ამ საუკუნეში რომელიღაც საუკუნე მეორდება, ანუ „დროში სხვა დრო" შემოდის: გვეცხადება მოვლენა, რომელიც ოდესღაც იყო – ეს არის მითის სიცხადე...

მაგრამ ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს „ქაჯებთან ომის მითზე", ამ საოცარ ცოდნაზე, რომელიც თემის მეხსიერებამ შეინახა...არაფერი ვიცით მითის შუა გულში მდგარ – გახუას-ფენომენზე – მისი „გვამიდან გასვლის" ურთულეს არსზე! ამ მითში მდგარი რამდენიმე მირაჟული სურათის არსებობაზე! აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი ერი ჩათრეულია ჰიბრიდულ-ვირუსულ, სასტიკ სატანურ ომში, როგორც ანდრეზულ დროში და ამ მითშია ასახული...

ანდრეზული ცოდნის (მითის) სიცხადე, გამეორებადობა და აწმყოში „ჩამოდგომა" მითის მთავარი ნიშანია, მაგრამ მითში რამდენიმე მითოსური პლასტის არსებობა – სხვა სახის სირთულეა, რომელიც ინტუიტურ -ანალიტიკურ ხედვას მოითხოვს!

გახუას („ქაჯებთან ომის") ანდრეზში, სულ მცირე, მითის ხუთი შრე ირეკლება, ანუ ხუთი სხვადასხვა დროის, ეპოქის და ომების დანალექი მოჩანს (ე.ი. გახუას მითი მრავალფენოვანი ანდრეზია):

– დრო „ჩაბალ-ხეთს" ჩასვლის, ანუ იბერულ-კავკასიური ხალხის (კოპალა-იახარის და ამირანის) ომები ინდო-ევროპელი ბარბაროსების (ხეთების თუ დევების) წინააღმდეგ... („ჯაჭვმა თქვა ჩაბალ-ხეთურმა...")

– ტროას ომის დრო: ილიონში ცხენის გვამით შესვლა, აქილევსის "ფხოვური დოღის" ანალოგია პატროკლეს ცხედარზე!..

– შუმერთა ეპოქის ანათალი (XIX ს.ძ.წ): სუ-ქალას, სე-ქალას, აშე-ქალას, სეით-ქალას, სამძივარაყელღილანის – ქაჯავეთელი „ტყვე ქალების" მიყვანა – ხახმატის ჯვარის საყმოში, – ქალის უცნობი კულტის: „სწორფრო-

10 გვ.

კორონას დრო და ქაჯებთან ომის მითი

9 გვ.

ბის“ მისტერიის დამკვიდრება, „ცალა რქა“ ხარის („სულეთს ხარი ხნავს ცალა რქა“) და ქურთემულის მოთანა ხახმატის ჯვარის საყმოში, ნაოტი ხვასტაგის მოყვანა...

– „საფარველდადებული“ განძის გაცხადება – გახსნა და მოტანა...

– გახუას გვამიდან გასვლის და კვლავ უკანდაბრუნების პროცესი – რეინკარნაციის უცნობი დრო და მოვლენა!

●

რა არის „ქაჯებთან ომის“ მითი, გახუას ფენომენი ზოგადად და კონკრეტულად? ვინ არიან ქაჯები (?), რა მტერია ეს ფატალური და დაუძლეველი ძალა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა (ქართველი რასა) ვერ იშორებს შორეული პრეისტორიული დროიდან დღემდე?! როდის შეიძლება ყოფილიყო ქაჯებთან ომი?

ამ კითხვაზე ასეთი პასუხი შეიძლება გავცეთ: ქაჯები ყოველთვის იყვნენ და არიან, მათთან ომი გარდუვალია მომავალშიც და „ჩვენ დროშიც“! (ისევე, როგორც წარსულში). ქაჯებთან ომი ჩვენი ერის უწყვეტი პროცესია!

თვით „ქაჯების“ – ქაჯური მტრის

ბუნება (ფენომენი) ამოსაცნობია: იგი მარადიული მტერია ჩვენი ერისთვის, რომელიც არის, იყო და იქნება!

„ქაჯებთან“, მათ სატანურ ენერგიასთან ბრძოლა მეტად სახიფათოა და თითქოს შეუძლებელიც: ისინი აღჭურვილნი არიან ყოველი ტიპის იარაღით: მათ შორის ფსიქოტრონული, მომწამლავი, მაზომბირებელი საშუალებებით...

მონინააღმდეგეს ახვევენ ნისლში, უშვებენ ბოლს...

აყრიან „ობს“ – (?!)

ასხამენ „კატის სისხლს“ და თავზე აყრიან ქვეწარმავლებს!... მათი ქცევა ჯადოქრულია! მათ შეუძლია „საფარველის დადება“ და „უჩინარ ქნა“ და ასე ათასნაირი ვნების მოტანა ადამიანთათვის, როგორც, რომელიმე ვირუსს...(გვიხატავს თუ არა ეს მოვლენა დღევანდელ სურათს?)

მათი „ციხე-სიმაგრე“ (ციხე-ქალაქი) შეუვალია, ძლიერად დაცული, რომელიც მოიცავს და ატარებს „ხთონურ“ ქცევათა და რიტუალთა სატანურ ელემენტებს (მისტერიებს). მათ შეუძლია დაგანახონ შავი-თეთრად, თეთრი-შავად, დიდი-მცირედ და მცირე-დიდად!

ამავე დროს მათ აქვთ მოცემული დროისთვის ახალი ტექნიკა, იარაღი, მეურნეობა, მჭედლობა, კულტურა...

აქვთ ურიცხვი განძი, თვალ-მარგალიტი, რომელსაც „საფარველს სდებენ“ – აძლევენ „გველ-ბაყაყის“ სახეს და ამ ხერხით იცავენ მას!...

ასეთი ტიპის მოდგმა, რეალური და აბსტრაქტული ერთდროულად, მუდმივ ხიფათს უქმნის ღვთიური ნიშნით აღბეჭდილ კაცთა მოდგმას. იგი არის სატანურად ჭკვიანი, პრაგმატული და დაუნდობელი!!!-აქ ჩვენი ახლანდელი მრის ანალოგიაა დახატული.

ასეთი მტერი საქართველოსთვის „ჩამომდგარი იყო“ სხვადასხვა პრეისტორიულ დროში: ქრისტემდელ და ქრისტეს შემდგომ ეპოქებში... მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ დროში”: აქ სამი საკრალური (შეფიცული) მეომარი, 300 მხედრით უტევს ქაჯეთის ციხეს, რომ გველის ტყვეობიდან „მთვარე“ გამოიხსნან...

უფრო ადრე – ფარნავაზის დროს, „ქაჯთა ქალაქად“ წოდებულ „არტანუჯს“ ტეხენ „ქარდუს“ მეომრები, რომელსაც უძველეს დროში– „ური“ (!!!) ერქვა! (იხ.ლ.მროველი).

კოპალა-იახსარი და ამირანი დევ-კერპებს უტევენ – რომელიღაც უცნობ დროში და, თუ რომელი დროა ეს მეტად საგულისხმოა ერის ეთნოგენეზისის განსაზღვრისთვის (მითის მიხედვით, დევების მოდგმა როშკის ხეობაში, აბუდელაურის ტბასთან ნადგურდება!).

ამირანი და ძმანი მისნი „ჩაბალ-ხეთს“ ჩადიან საომრად, უნდრევენ საფუძრებს და სამჭედლოებს!... – „ჩაბალ-ხეთებთან“ ომი ხშირად ფიგურირებს ფხოველთა (ფშავხევსურთა) ანდრეზულ მეხსიერებაში, მათ ფოლკლორში და ჯაჭვიც ჩაბალხეთიდან მოაქვს, რომელიც ქაჯების ნაქსოვია, და მათზე გამარჯვების ნიშანია („ჯაჭვმა თქვა ჩაბალ-ხეთურმა, ქაჯებმ ამასხეს თითითა...“);

●

ფხოვის ანდრეზული ინფორმაციელთ, რომელიღაც პრეისტორულ დროში „ქაჯავეთზე“ საომრად (იერიშზე!) მიდისხვთიშვილთა და ხორციელთა გაერთიანებული ლაშქარი ხახმატის ჯვრის დროშით, ხორციელი გახუას და გიორგი ნაღვარმშვენიერის(ღვთის შვილის) მონაწილეობით... (ეტყობა ეს იბერთა ხვთიური მისია იყო).

გახუა „გვამიდან გასული“ წარემართება ქაჯებთან საომრად, ვინაიდან მხოლოდ „ხორციელი ძალა“ არა კმა არს ქაჯური ძალის დასაძლევად! გახუას „გაუცხოებაში“, ანუ გვამიდან გასვლაში „ხვთის შვილნი“ მონაწილეობენ და შემდეგ უკან, გვამში დაბრუნებასაც მათი მეოხებით ახერხებს...

დიდმა „ხახმატის ჯვარმა“ („რჯულიან-ურჯულოთა სალოცავმა“, სადაც დღემდე შემორჩა „ფალოსის ქვა“ და „მწევრის საფლავი“, მისმა აუხსნელმა ფენომენმა და ენერგიამ შეკრიბა ამ ტიპის ლაშქარი, სადაც ერთად ბრძოლობენ: „ხორციელნი“, გვამიდან გასული „ზეხორციელნი“ და ღვთიშვილნი! – მოქმედება სულის ხელშეუვლებ რანგშია აყვანილი!

...მითის მიხედვით, ქაჯები ათასნაირ ქაჯურ-მაგიურ ჯადოსნურ ხერხს მიმართავენ ხახმატის ჯვარის საკრალური ლაშქრის წინააღმდეგ. როგორც ვთქვით: აყრიან „ობს“ (!!!?), „ასხამენ კატის სისხლს“, უშვებენ შხამიან ისრებს და ფსიქოტრონულ გაზს კვამლის სახით! – ეს თითქოს დღევანდელი ომია!!! და სწორედ იგივე იარაღი, რომელსაც დღევანდელ დღეს იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ!!! ეს მითის (ანდრეზის) საოცარი წინასწარმეტყველება და სიცხადეა „ჩვენს დროში ჩამომდგარი“!

●

მაგრამ ფხოვის საყმოს ლაშქარი მაინც ახერხებს ამ ფატალური მტრის დაძლევას!

მითი, ანუ ანდრეზული ცოდნა ამ ნაწილში გვეუბნება (და გვასწავლის!!!) რომ შესაძლებელია ასეთი ქაჯურ-სატანური ძალით აღჭურვილი მტრის დამარცხებაც: უფალთან კავშირით, რწმენით და საყმოს მთლიანობით, და სულიერი ენერგიებით, რომელიც სხეულის გარეთ მოიაზრება! – ეს სამი სინერგიის მთლიანობაა!

ეს ომი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის!

ხახმატის ჯვარის ერთიანი საკრალური სივრცის მეომართ – „ქაჯავეთიდან ზესაიდუმლო, „საფარველ-დადებული“ განძი გამოაქვთ – ხვთიშვილთა კოდირებული ინფორმაციის მეოხებით(!) და მოაქვთ ფხოვის თემში! –ეს იგივეა, რასც ხოგაის მინდიას სიბრძნე მიღებული გველის სისხლიდან!

უხორცო გახუას ხახმატის ჯვარში მოაქვს რომელიღაც დიდი ცივილიზაციის ნაწილი: „ოქროს ფანდურები“(!), სამჭედლო ქურთემულები და „ცალრქა ხარი“ („სულეთს ხნავს ხარი ცალა რქა“), რომელიც სალუდე ჩხუტად იქცევა... (იქნებ აქ და „შუბანის გველის“ ანდრეზში ლუდის კულტის სიძველე და დასაბამი მოსჩანდეს იბერიის უძველეს მიწაზე, ანუ ფხოვის საყმოში.

ძველი შუმერები და, შემდგომ, ინდოევროპელებიც სვამდნენ ქერის („ემერის“) ნახარშს, შეზავებულს რომელიღაც მცენარეული საკმაზით, მაგრამ თვით სვიის დასაბამი ხევსურთა თემში ძალიან ძველი ანდრეზული ცოდნიდან მოდის – იგი წარღვნის შემდგომ ნოეს ცივილიზაციასთან არის მიბმული!.

●

მაინც, რას გვასწავლის და რაზე მიგვანიშნებს „გახუას ქაჯებთან ომის“ მითი (ანდრეზი), რომელიც ფხოვის თემში ღვივის, როგორც „ენგადი“ ისტორიის უდაბნოში...

– ანდრეზი გვაფრთხილებს ფატალური მტრის არსებობაზე ყოველ დროში, ერის არსებობის ყოველ მონაკვეთში.

– ანდრეზი გვეუბნება: რომ ვერ მოიგებ ასეთ „სატანურ“ მტერთან ომს, რწმენისა და მაღალი სულიერების (ღვთის შვილთა მონაწილეობის) გარეშე!

ვერაფერს გააწყობს „მეპურყველე“, მხოლოდ „ხორციჭამია“ გახუა ასეთ მტერთან ომში, თუ „ხორცის სამოსელს“ არ გამოიცვლი, და არ დადგები სულიერების საკრალურ

ზღვარზე – ღვთისშვილთა (ანგელოზთა) „მოდე-მონილედ“!

„ქაჯებთან ომის“ – მითი (ანდრეზი) ურთულესი, თითქმის შეუცნობი ომის მოგების მაგალითს უტოვებს ერთიან ერს და მის ყოველ საყმოს – სადაც მოქმედებს ასეთივე „შეუცნობი“ მეომარი გახუას სახით...

– გვამიდან „გაყვანა“ გახუასი, ხვთიშვილთა მიერ, ეს არის ურთულესი საკრალური მოვლენა, განპირობებული ერის ბედისწერული გარდუვალობით და მის თავზე ჩამომდგარი მუდმივი ხიფათით! ჩვენ სწორედ ასეთი ხიფაატი გვიდგას დღეს და ამ ტიპის ბრძოლა გვმართებს.

– არც მხოლოდ ღვთიშვილთ შეუძლია ასეთი სატანური ძალის წინააღმდეგ ომი, რადგანაც მისი მოწინააღმდეგის უწმინდურება „ახლოს მისვლის“ საშუალებას არ აძლევს. ამიტომ „შუალედურ მეომრად“ ხორციელის გამოყენებაა საჭირო, ოღონდაც იგი გაწმიდებული („გვამიდან გასული“) უნდა იყოს, მიწიერის გარკვეული წილით, რომ მან შეძლოს ცხენის უწმინდურ გვამში შესვლა და ასე შეღწევა „ქაჯთა ქალაქში“!

აგრეთვე ხორციელმავე უნდა შეძლოს ქაჯთა უწმინდური იარაღით: კატის სისხლით, „უსურმაგის“ თავ-ფეხის ნაწილებით, „ობის დაყრის“ – შემოტევის დაძლევა – ასეთია ამოცანა!

– გარდა ამისა, „ქაჯეთის დაძლევას“ ისეთი მეომრებიც სჭირდება, რომლებიც ფლობენ იარაღის ხმარების ვირტუოძულ ხელოვნებას, ადიან კედელზე, გადიან თოკზე და სინათლის სხივზეც კი...

ხახმატის ჯვარის ლაშქარი (ფხოვის საყმოდან) მართლაც ასეთი საომარი „ბატალიონია“, ერთდროულად აღჭურვილი ხვთიური და მიწიერი ენერგიით (სინერგიით), რის მეოხებითაც ახერხებენ ქაჯთა წინააღმდეგობის დაძლევას, ანუ „ქაჯავეთის გატეხას“!

ეს ბრწყინვალე ანდრეზი იმასაც მიგვანიშნებს, რომ ქართველ ერს, მის მიწა-წყალს კვლავ ჩამოუდგა იგივე დრო და იგივე მტერი ამ ჟამად: „დრო მოვიდა შარშანდელი“ – როგორც რუსთაველი ბრძანებს, და მოვიდა მტერი სწორედ ისეთივე ქაჯური ძალითა და იარაღით აღჭურვილი, როგორც რომელიღაც უწინარეს დროში!

და გვაფრთხილებს ანდრეზი: რომ ჩვენ „ხორციჭამია გახუები“ ვერ მოვიგებთ ამ მრისხანე მტერთან ომს თუ ცხოვრების წესი, სული და ხორცი არ გავიჯანსაღეთ და არ დავდექით ხვთაებრივი სიწმიდის სამანთან!

მითი გვეუბნება იმასაც, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, როგორიც გინდა „ქაჯური“, სატანური მტრის, მისი იდუმალი იარაღის და ხერხების, მომწამლავი, მხუთავი, ფსიქოტრონული აირის, ანუ „ობის დაყრის!!“ მოწამლული ისრების, ანუ რეზინის ტყვიების და რადიაციული ნისლის... ციდან ნიშნის დადგომით, ხვთიშვილებთან კავშირში და უფლის სიყვარულით ვიქცევით ერთიან ძალად: – ათასი ვითარცა – 1, და ერთი ვითარცა–1000!!! ეს გენიალური, ყოვლის მომცველი და მძლეველი „ინტეგრალური“ ფორმულაა და ჩვენ უნდა ჩავჯდეთ ამ „ფორმულაში“!

●

ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს გრძელდებოდა „ქაჯებთან ომი“. ერთი წელი, თუ – 1000, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გახუა დიდი ხნის მერე ბრუნდება თავის სხეულში (და სახლში) – რომელიც გახვრეტილია თაგვის მიერ და აქვს „შავი ხვრელი“... რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ბრძოლა გადარჩენისთვის არ იყო და არ იქნება ხანმოკლე და ადვილი!

არავინ იცის (ვერ ვიტყვით), რამდენ ხანს „იცხოვრა“ ამირანმა ვეშაპის მუცელში – 1 წელი, თუ – 1000?! – მაგრამ მითი გვეუბნება, რომ იქ იყო და გამოვიდა იქიდან – ყრმა, სრულიად სახენაცვალი, ესე იგი დიდი ხნის მერე შეძლო თავის დაღწევა, და ეს მან შესძლო – სიბრძნის მიღებით (ბადრის შეგონებით) და იარაღის ძალით, ანუ უსუპის ისრის მეოხებით! – რომელმაც „კუდი მოაწყვიტა ვეშაპს“ და მან ვერ შეძლო „ამირანის“ მუცელში მონელება! – თუ გავაცნობიერებთ, ეს მნიშვნელოვანი ანდრეზული ინფორმაციაა! მითის ქვეტექსტი იმასაც გვეუბნება,– თუ კიდევ დავბრუნდებით ვეშაპის მუცელში, შეიძლება ვეღარ გამოვიდეთ!

მოკლე რეზიუმეს სახით ვიტყვი:

ჩვენმა ერმა მრავალჯერ ტყორცნა ისარი: მტრის „აქილევსის ქუსლში“, ანუ „ვეშაპის კუდში” და – ურჩხულის ხახაში (თავში), რამაც გვიხსნა, გამოგვიყვანა ცივილიზაციათა წარღვნებიდან და დღემდე მოგვიყვანა!...

ჩვენ ახლაც – XXI საუკუნეში გადაგვარჩენს „გახუას მითის“ სიბრძნე და „უსუპის ისარი“, თუ ჩვენ მას გამოვიყენებთ, როგორც ჯერ არს:

ყველა მტერს აქვს თავისი „აქილევსის ქუსლი“ და „კუდი“, რომელიც უნდა ამოიღო მიზანში... დაძლიო იქ, სადაც სუსტი ადგილია, გახვიდე იქ, სადაც ფონი აქვს „მდინარეს“, თორემ – ვერ გადარჩები! ჩვენთვის ახალი მდინარის ფონი მოსაძებნია...

ჩვენ შევდივართ სხვა, სრულიად უცნობ დროში და „მდინარეში“ არა სწორად, რაც დიდ ხიფათს გვიქადის.

ლექსები

თეიმურ ბაქიჰვილი (1941-1993)

***

ნისლო, მთით გადმომავალო,
რა ამბავ მოგაქვ, ნეტაი?
რასა იქმს ჩემი დაღლილი,
ჩემი მწუხარე დედაი?

ხომ არ ჩაკეტა ნამქერმა
გზა-ვიწროები სავალი?
კვამლი თუ ადის ერდოზე,
ისევ თუ ყივის მამალი?

ნისლო, მთით გადმომავალო,
რა ამბავს მეტყვი,ნეტაი?
რასა იქმს ჩემი მწუხარე,
ჩემი ბეჩავი დედაი?

შრიალებს ჩემი არაგვი

შრიალებს ჩემი არაგვი,
ჩემი ძმა დაუძინარი.
მიდის, სულ მიდის... ნეტა მას,
მიდის და მაინც შინ არი...

ძმა

ვიგონებ სიმშვიდეს.
ვიგონებ სიხარულს.
ბედნიერებასაც ვიგონებ ხანდახან...
ხოლო ტკივილის მოგონება
არა მჭირდება.
იგი არსებობს ბუნებრივად,
მოუგონებლად.
თანამდევს მუდამ
და ჩემს ცხოვრებას -
როგორც ხეობას მდინარის დენა-
ავსებს სიფხიზლით...
ის ძმაა ჩემი.

აღარ თოვს

აღარ თოვს. უკვე იძრა ღრუბელი,
ატყდა კვირტების ჩუმი ფაჩუნი.
დუმხარ, არაფერს არ მეუბნები,
ვისთვის მოვიდა ეს გაზაფხული?!

ან ღივი მაღლა როგორ მიილტვის?
რა სიზმარს ხედავს ვრცელი ნახნავი?
ან გაწეწილი თეთრი ტირიფი
მდინარეს მღერას როგორ ასწავლის?

როგორ ამოდის აღმოსავლიდან
მზე საოცარი და სხივნათელი?
როგორ გადიქცა ტყემლის ყვავილად,
ცად მოფარფატე თოვლის ფანტელი?

ნუთუ არაფერს ნაღვლობს ბუნება?
ნუთუ სულ ტანჯვა იყო წარსული?
დუმხარ, არაფერს არ მეუბნები,
ვისთვის მოვიდა ეს გაზაფხული?!

შატილი

ერბო რა ღირსო ქალაქში,
ცხრა ფურს ვწველიო ღალიანს,
კითხულობს ბებერ ხევსური,
ახრჩოლებს მწარე ყალიონს.

მთვარე ჩამოდის ერდოდან,
მთვარე პირსავსე ქალიო...
აბა რა გითხრა ქალაქის,
დაასხი, კაცო, დავლიოთ!..

ზოოპარკში

აქ ცხოვრება თითქოს ხელისგულზეა,
ყველაფერი ცხადია და მარტივი:
ყვავი ცაზე დაყრანტალებს უშიშრად,
გალიიდან იმზირება არწივი.
გაქუცული ლომი ლოკავს გისოსებს,
შეეჩვია ამ უგემურ სიცოცხლეს...
აი, ვხედავ, ონავრებმა გაბედეს -
ვეფხვს ზედ ცხვირწინ
ულაგებენ კანფეტებს.
არვის უჭირს, ყველას თავის ჭერი აქვს.
მომვლელები საათებს დასცქერიან.
სადილ-ვახშამს განა დაამადლიან,
ერთი სიტყვით არაფერი აკლიათ.
თუმც ცხოვრება უბრალო და მარტივი
კაცმა რომ თქვას,
მთლად მარტივი როდია:
გალიიდან იყურება არწივი -
დიდებული არწივის პაროდია.

ქარის დახატვა

ისევ ავარდნენ ქარები ცივი.
სალამი ქარებს, ზამთრის მაცნეთა.
კვლავ აწკრიალდა ყინვაში სხივი-
გათოშილ მთვარის სასოწარკვეთა...
მე ახლა მინდა დახატვა ქარის,
რომ უძრაობას ხელი დარიოს,
იყოს ცოცხალი და არა მკვდარი,
რომ სტრიქონები არივ-დარიოს.
რომ ნისლი, ლექსში ასე ხილული,
გადაიყოლოს დასაკარგავში,
რომ მდუმარება შემოყინული
კვლავაც დაბზაროს ზარმა განგაშის!...
რომ უკვე ღვიძლი-ეს ძილ-ღვიძლი,
გამოაღვიძოს მისმა ღაღადმა...
როგორ შევიძლო, როგორ შევიძლო,
როგორ შევიძლო ქარის დახატვა?!.

უცხო სტუმარი

ის აჩქარებით ამოჰყვა კიბეს,
ჩამესმის მისთა ნაბიჯთა ჩქამი.
აი, მოვიდა, ხელს ხელზე მკიდებს,
აი, ჩემს გვერდით დაიდგა სკამი.
მიყვება რაღაც უცნაურ ამბავს,
თან მაშტერდება თვალებით ცივით,
სიტყვებს ნაცნობი სინტაქსით ლამბავს,
მაგრამ ხმა იგი – გველივით წივის.
ჯერ ვერ გავიგე სტუმრობის აზრი,
ჯერ ნელა, ნელა მოცოცავს შიში...
მიყურებს, თითქოს ცელი პირბასრი,
მიკეტავს არეს და წასვლას მიშლის.
დგება ოთახში თამბაქოს ბოლი,
წვება ოთახში დუმილი მძაფრი.
მსურს ვითამაშო მასპინძლის როლი,
ის სავსე სასმისს უკანვე მაწვდის.
ვათვალიერებ ღარიბულ ბინას,
რა მივცე? რითი მოვულბო გული?
ღამეა, ახლა მზეობლებს სძინავთ,
აი, რაცა მაქვს, ღმერთი და რჯული.
ის იღიმება და ჩემთა ფერხთით
გორად მიხვავებს შუქნათელ ლითონს...
გონებას ვძაბავ, თანდათან ვხვდები –
რისთვის მოსულა – ის სინდისს ითხოვს!..
და დამცინავი, ქილიკი მზერა
თითქოს ბაგეზე მიყინავს უარს.
ყვირილით ვშველი დაჭიმულ ნერვებს,
მაგრამ ვინ გისმენს... ეტყობა ყრუა...

დალილა ბედიანიძე

დაო, დაო, აბიგაილ!

აჰა, მშვენიერი ხარ, დაო აბიგაილ,
აჰა, მშვენიერი ხარ,
მეფე დავითის გულის გამხარებელი.
ცარიელია ნაბალის სახლი უშენოდ,
როგორც ქარქაში უხმლოდ
და კალაპოტი უმდინაროდ.
აივსო დავითის სასახლე შენით,
როგორც ზღვა სავსეა მოქცევისას.
შენამდე ჰყავდა დავითს ორი სხვა ცოლი
მელქოლი და აქინოამი,
მაგრამ შენსავით მას არავინ ჰყვარებია
და იყავი დედოფალი მისი გულისა,
თუმცა შეწყვეტილ სიმღერას ჰგავს
თქვენი სიყვარული.
აჰა, მშვენიერი ხარ დაო, აბიგაილ!
ყოველი სიკეთით შემკობილი
და ამდენი საუკუნის შემდეგ გესალმები –
ჰოი, რჩეულო დედათა შორის, მშვიდობა
შენდა!

ციკლიდან „წერილები მაკოტოს“

(პანტომიმური ნოველლა ლექსად)

ირგვლივ ყრუ კედლებია
და მე ამაოდ ვეხლები კედლებს,
არ შემიძლია თავის დაღწევა
და როგორც ტყის თავისუფალი ჩიტი,
ტყვეობაში სულს ვღაფავ და ველოდები,
როდის გაიღება ამ საშინელი გალიის კარი.
ვერ ვეგუები კელდებში ყოფნას,
ერთი კედლიდან მეორეს ვაწყდები,
მაგრამ კედლები არ ინგრევიან.
თუმცა ირყევიან.
ნეტავ როდის გადავლახავ ამ მაღალ კედლებს,
სახურავად რომ სავსე მთვარე აქვთ.
ვინ გადააგორებს მთვარის ლოდს,
როგორც გმირმა როსტომმა
გადააგორა ლოდი ბეჟან გმირის ხაროდან?
არავის შეუძლია ჩემამდე მოღწევა,
არც მე შემიძლია შენამდე მოვაღწიო.
გზა გდია, როგორც აწყვეტილი ველური ცხენის საბელი და
ცხენივით ჭიხვინებს მზე ჩემს კედლებს შორის.
სად არის წიქარა, რომ ეს ცხრაკლიტული დაეწიოს!
მესმის ქუჩის ხმაური და მესმის, იგი როგორ მეძახის,
მე კი კედლებს ვაწყდები
და ვიცი, მხოლოდ შენ შეგიძლია გამათავისუფლო.
შენი ხელები კედლებს სინჯავენ გარედან
ნელა და ფრთხილად
და ვგრძნობ, როგორ მიახლოვდები.

* * *

როცა ლექსებს ვწერ,
ვწერ საგარეო და საშინაო ლექსებს,
საშინაო ლექსები – ჩემთვის,
საგარეო ლექსები – სხვებისთვის,
და ჰგავს საგარეო ლექსები
სამეჯლისოდ მორთულ ბრილიანტებიან ქალბატონებს,
ხოლო საშინაო ლექსები – ქალებს,
რომლებიც სატრფოსთან ერთად დასაწოლად ემზადებიან
და სამკაულები მოუხსნიათ.
რითმა საგარეო ლექსების სამკაულია,
ხოლო საშინაო ლექსები
ჰგვანან ადიდებულ მდინარეებს გაზაფხულზე,
ყველა ჯებირს რომ ანგრევენ
და ქუხილით მოედინებიან სიტყვები,
როგორც ტალღები
და ეს მდინარეები გულიდან მოდის,
წყლით არა, ცარიელი სისხლითაა სავსე.
საგარეო ლექსები სასახელოა,
ხოლო საშინაო ლექსები ისეთ სიყვარულს გამოხატავს,
სახელზე მაღლა რომ დგას
და მე ვდგავარ საშინაო და
საგარეო ლექსებს შორის,
როგორც წყალგამყოფი
და ორივე ისე მიყვარს,
როგორც დედას — ურჩი და მორჩილი ორი შვილი.

დიდი შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ

ნიკიტა მიხალკოვი ამხელს!!!

სკანდალური გადაცემა „ვის ჯიბეშია სახელმწიფო?!“, რომელიც ეთერიდან მოიხსნა

გამოჩენილი რუსი რეჟისორისა და მსახიობის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკიტა მიხალკოვის დამოუკიდებელი საავტორო გადაცემის «Бесогон»-ის 178-ე გამოშვების რუსეთის ფედერალურ არხზე ჩვენებას მისი მხრიდან ხმამაღალი განცხადებები მოჰყვა.

ნიკიტა მიხალკოვმა თქვა, რომ წინასწარი შეთანხმებისამებრ ფილმის ჩვენება რეგიონებისთვის უნდა განმეორებულიყო. ფილმი უჩვენეს, მაგრამ ფორმალურად – ეთერში იმ დროს გაუშვეს, როცა მაყურებელს უკვე ეძინა. მიზეზად სატელევიზიო ბადე დასახელდა.

ცნობილი რეჟისორი აცხადებს: „თუ სირცხვილსა და ომს შორის სირცხვილს აირჩევ, საბოლოოდ, სირცხვილნაჭამიც დარჩები და ომში ჩაბმაც მოგიწევს.

ჩვენი გადაცემები სიმართლის მოსმენის იძულებაა ძალადობის გარეშე.

თუ გადაცემას ეთერიდან ხსნიან, ე.ი. არსებობენ ხელშეუხებელი პიროვნებები და სიმართლე საჭირო არ არის“.

გთავაზობთ ნიკიტა მიხალკოვის ამ გადაცემის ავტორიზებულ თარგმანს.

გადაცემის ავტორის თქმით, მისი მიზანი ვინმეს გალანძღვა კი არა, იმაში გარკვევაა, რაც ძალიან ბევრ ადამიანს აინტერესებს.

შემდეგ ნიკიტა მიხალკოვი საუბრობს მედიკოსების და სხვა პროფესიის ადამიანების თავდაუზოგავ მუშაობაზე თითოეული ადამიანის გადასარჩენად. ასევე სხვადასხვა ჰიპოთეზებსა და კონსპიროლოგიებზე, რაც კორონავირუსის წარმოავლობას უკავშირდება.

იცვლება ადამიანების ცხოვრების წესი და სხვადასხვა ტიპის დაწესებულებების მუშაობის სტილი – ბანკებიდან და რესტორნებიდან დაწყებული, სასწავლო დაწესებულებებით დამთავრებული.



„ამ ვირუსის გამოჩენას არავინ ელოდა და მე ვთვლი, რომ უსამართლობაა მთავრობის დადანაშაულება იმაში, რომ ის ყველაფერს არ აკეთებს თავისი ხალხისთვის. ამასთანავე, ჩვენ, ადამიანები უპასუხისმგებლოდ ვეკიდებით ამ ვირუსს; ვთვლით, რომ ის საფრთხეს არ შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ადამიანი ავადდება და იღუპება. ბევრი ადამიანი აწყდება ფინანსურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ პრობლემებს. თუ ადამიანი საფრთხეს არ გრძნობს, ძნელია მისი სახლში გაჩერება – გარეთ მზეა, თავს კარგად გრძნობს, ვირუსიც არ ჩანს, ის ხომ რადიაციასავითაა. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია, ზომები გაამკაცროს.

ჩვენ ჩვენს წინაშე დღეს არსებულ ამოცანებს ვჭრით, მაგრამ იმაზე არ ვფიქრობთ, რა იქნება შემდეგ. ჩვენ არ გაგვაჩნია ღრმა სტრატეგიული აზროვნება. საქმე ხშირად ბოლომდე არ მიგვყავს, ხშირად ვიღებთ გადაწყვეტილებებს და თუ შენ ძალაუფლებაც გაგაჩნია და შენი გადაწყვეტილება ათასობით ადამიანს ეხება, აღმოჩნდება ხოლმე, რომ თურმე არასწორი გზით მიდიხარ. ძალიან მნიშვნელოვანია, წინასწარ განჭვრიტო, რა იქნება შემდეგ და ეს „დიდი რიცხვების თეორია“, როცა მეგაფონით შეგიძლია უბრძანო 15 ადამიანს, დაიცვან ორმეტრიანი დისტანცია, მაგრამ თუ მათი რიცხვი 15 ათასია? ბოლოსდაბოლოს ამ საკითხის გადაჭრაც შესაძლებელია.

ხშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ სტრატეგიულად ვერ ვაზროვნებთ. ეს კონკრეტულ ისტორიას კი არ ეხება, არამედ ჩვენს ისტორიას, საერთოდ“.

შემდეგ კი ავტორი სწორედ სტრატეგიული აზროვნების არქონას ასახელებს იმის მიზეზად, რომ აშშ-ში ფლექსის პროგრამით გამგზავრებული მოზარდები კორონავირუსის პირობებში ქუჩაში აღმოჩნდნენ.

„ყველაფერი იქით მიჰყავთ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიზრდება თაობა, რომელიც დაიჯერებს, რომ ჩვენმა ქვეყანამ არსებობა 90-იან წლებში დაიწყო...“

პრეამბულიდან ავტორი ძირითად თემაზე გადადის.

„მე ერთ ბანკირს ვკითხე, შეიძლება თუ არა, რომ ფული გაქრეს, მან კი მიპასუხა, რომ ფული ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ვიღაცას სულაც არ აწყობს სახლში ჯდომა და კომპიუტერთან მუშაობა, ე. ი არსებობენ ისინიც, ვისაც ეს აწყობს. არსებობს საკითხები, რომლებშიც სიღრმისეულად ვერ ვერკვევი, მაგრამ მე მინდა ჰუმანისტური თვალსაზრისით დავსვა შეკითხვები და მე ამისი უფლება მაქვს.

ბილ გეიტსი, მილიარდერი, ფილანტროპი, „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი, ფარმაკოლოგიით არის დაკავებული. გაზეთ „გარდიანში 10 წლის წინათ გამოქვეყნებული სტატიიდან ვიგებთ, რომ 2010 წელს მან შექმნა კლუბი – გურ-კლუბი, რომლის წევრებიც გახდნენ დევიდ როკფელერი, ტედ ტერნერი, ჯორჯ სოროსი, უორენ ბაფეტი...

დედამიწის რომელი პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტეს ამ კლუბის წევრებმა, რის შესახებაც სახალხოდ განაცხადეს? ეს, რა თქმა უნდა, დედამიწის ჭარბი მოსახლეობაა.“

ნიკიტა მიხალკოვი წარმოგვიდგენს ვიდეოს, სადაც ბილ გეიტსი საუბრობს იმაზე, თუ როგორ უნდა შემცირდეს დედამიწის მოსახლეობის მიერ გამოყოფილი ნახშიროჟანგი (გამოსვლა ჩაწერილია TED2010-ის კონფერენციაზე 2010 წლის 18 თებერვალს). ბილ გეიტსის თქმით, „დღეისათვის (2010 წ) მოსახლეობის რაოდენობა 6,8 მლრდ-ია, ის 9 მლრდ-საც მიაღწევს. თუ დიდ წარმატებებს მივაღწევთ ახალი ვაქცინების წარმოებაში, ჯანდასცვის სფეროში, რეპროდუქტიული ჯანმრთელობის პირობებში დედამიწის მოსახლეობის ზრდის რაოდენობა 12-15%-ით შემცირდება“.

ბილ გეიტსი ასევე ამბობს, რომ დროთა განმავლობაში ვაქცინების წარმოება ისე გაიზრდება, რომ შესაძლებელი გახდება დედამიწის მთელი მოსახლეობის ვაქცინაცია.

ნიკიტა მიხალკოვის თქმით, ამ ვაქცინაციის ამოცანა და მიზანი სულ სხვაა, ვიდრე ადრე, როცა ყვავილზე, პოლიომიელიტზე და ა. შ. ცრიდნენ.

გადაცემაში ბილ გეიტსის მიერ გერმანიის ტელევიზიის პირველ არხზე გადაცემაში „გერმანიის ხმა“ 2020 წლის 17 აპრილს ნათქვამის შესახებ, რომ დედამიწის მთელ მოსახლეობას – 7 მლრდ ადამიანს უნდა გაუკეთდეს ვაქცინაცია, კომენტარს აკეთებს MIT-ისა და სისტემური ბიოლოგიის ინჟინერი, ინდოელი და ამერიკელი ბიოლოგი შივა აიადურაი. იგი არამარტო აკრიტიკებს კორონავირუსის გარშემო შექმნილ პანიკას, არამედ იმასაც, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც ბილ გეიტსის ფონდია, ადამიანებს კარნახობს, როგორი უნდა იყოს მედიცინა.

„ბილ გეიტსი ბიოლოგიაში ვერ ერკვევა. ის მდიდარი ოჯახიდანაა. ის აირჩიეს და თითქოს ერკვევა იმაში, რასაც აკეთებს. მან მოიპარა ფული ბიუჯეტიდან, მის ფონდს გადასახადები უნდა გადაეხადა, ეს ფული კი ბილ და მელინდა გეიტსის ფონდში გადარიცხეს. და ეს ფონდი უნდა გახდეს დედამიწის ყველა ფერადკანიანის გადამრჩენელი. ეს რასიზმია. რასაც გეიტსი აკეთებს, ინსტიტუზლიზებული რასიზმია! მისი მიზანი იძულებითი მეციდინაა. ნახეთ, ვინ არიან მისი აქციონერები – ჰილარი კლინტონი. მარკ ცუკერბერგი, CDC, მსხვილი ფარმაკოლოგიური კონცერნები. მათ უნდათ ზევიდან მოახვიონ ადამიანებს იძულებითი მედიცინა. რატომ? ეს უწყვეტი ფულია. ეს ყოველწლიურად 7 ტრილიონი დოლარია, მუდმივი საბრუნავი თანხაა ფარმაკოლოგიური ინდუსტრიისათვის“, – აცხადებს დოქტორი შივა.

„ეს ვაქცინაცია კი არა, ჩიპის ჩაყენებაა. რას ნიშნავს ეს? ეს უკვე სერიოზულია და ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია“, – ამბობს ნიკიტა მიხალკოვი და წარმოგვიდგენს პატენტს, რომლის ნომერია WO/2020/060606, რეგისტრაციის თარიღი 26.03.2020, განაცხადი გააკეთა Microsoft Technology Licensing, LLC ჯერ კიდევ 20.06.2019 წ. რომელსაც ბილ გეიტსი ხელმძღვანელობს. პატენტმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო 22.04.2020. პატენტის დასახელებაა: „კრიპტოვალუტის სისტემა, რომელიც სხეულის აქტივობის მონაცემებს იყენებს“.

„ვის პირობებს ასრულებს ჩიპირებული ადამიანი? – კითხულობს ნიკიტა მიხალკოვი და თავადვე პასუხობს. – ადამიანი კრიპტოვალურის მისაღებად ყიდის თავის პიროვნებას თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.ე.ი. მათ, ვინც ამ ჩიპებს „მართავს“, შეუძლიათ გააკეთებინონ ყველაფერი, რაც უნდათ, რაც სჭირდებათ, რისთვისაც იხდიან და, ამგვარად, ეს ადამიანები ელიტის წევრები ხდებიან. უარის თქმის შემთხვევაში კი ვერ ჩააბარებთ უნივერსიტეტში, ვერ მიიღებთ მაღალ ხელფასს, ვერ აიღებთ მართვის მოწმობას და თქვენ გარიყული რჩებით. რა საერთო მიზანს ემსახურება ეს? საერთი მიზანი ადამიანების რაოდენობის შემცირებაა; იმათი, ვინც ბევრ ჟანგბადს, საკვებს იყენებს. ეს კაცობრიობის კასტებად დაყოფაა“.

გადაცემის ავტორი სვამს შეკითხვას, ვის აწყობს ეს კრიზისი რუსეთში და პასუხად მოჰყავს რუსი ეკონომისტის მიხაილ ხაზინის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ლიბერალებს ებრძვიან და რუსეთის პრეზიდენტიც აპირებს მათთან გასწორებას. შესაბამისად, ლიბერალები დაინტერესებულები არიან პრობლემის გაგრძელებაში. მათ უამრავი ფული აქვთ დაგროვილი და კრიზისი მათ არ შეეხებათ, პირიქით, ისინი ამ ყველაფერზე „ხელის მოთბობასაც“ შეძლებენ.

„ამ მოვლენების გავლენით ადამიანი სახლში რჩება და სამყაროსთან კავშირი ტელევიზორით და კომპიუტერით აქვს; ის ეჩვევა იმას, რომ მისი ურთიერთობის ერთადერთი გზა ეს არის – კომპიუტერის საშუალებით ხდება სწავლება; ადამიანები იძულებულები არიან, ასე მოიქცნენ, მაგრამ თუ ეს იძულებითი აქცია თანდათან პრინციპად იქცევა კომპიუტერულ სწავლებაზე გადასასვლე-

ლად, ადამიანი დაკარგავს პირდაპირი, რეალური ურთიერთობის საშუალებას. ის კომპიუტერულ სამყაროში იარსებებს, შინაგანად შეიცვლება. დროთა განმავლობაში ასეთ ცხოვრებას მიეჩვევა და ქუჩაში გასვლისა შეეშინდება, რადგან იქ სხვა ცხოვრებაა. ადამიანმა დაკარგა ცოცხალი ურთიერთობის საშუალება. ამგვარად, ჩვენ მთავარ პრობლემასთან მივედით – ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც ციფრულ დამოკიდებულებას ადამიანურ ურთიერთობებზე მაღლა აყენებენ“, – ამბობს ნიკიტა მიხალკოვი და მოჰყავს „სბერბანკის“ პრეზიდენტის გერმან გრეფის ციტატა: „ჩვენ სკოლიდან ვუშვებთ დაინვალიდებულ ადამიანებს, რომლებიც იმის შიშში არიან, რომ ისინი მთელი ცხოვრება უნდა შეაფასონ. ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია – მოვკლა გამოცდები“.

„...მომავლის განათლება ორ ნაწილად გაიყოფა: კომპიუტერულად, რომელიც იაფი იქნება და ადამიანურად, რომელიც ძვირადღირებული იქნება, რადგან ცოდნა ძალიან სწრაფად უფასურდება, სოციალური კავშირები და პირდაპირი სწავლება კი მხოლოდ გაძვირდება“, – ეს სიტყვები დმიტრი პესკოვს ეკუთვნის, რუსეთის ციფრულ და ტექნოლოგიურ განვითარებაში ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენელს.

„საიდან მოდის ეს იდეა? – კითხულობს ნიკიტა მიხალკოვი და განაგრძობს, – ჯერ კიდევ 2006 წელს გაეროს აპარატმა მიიღო დოკუმენტი სათაურით „2030 წლის დღის წესრიგი“, რომელიც დედამიწის მოსახლეობის მდგრადი განვითარების მისაღწევად განათლებას ისახავს მიზნად. მთელი პროგრამის, განსაკუთრებით კი განათლების კომპონენტის გამართლებას ასაბუთებენ მსოფლიოში მდგრადი განვითარების აუცილებლობით, ხოლო გაეროს აზრით, მდგრადობას შეიძლება სერიოზულად შეუშალოს ხელი ზედმეტმა განათლებამ. ზედმეტი განათლება მართლაც საფრთხეს წარმოადგენს მდგრადობისთვის. როგორც წესი, უფრო განათლებული ადამიანები, რომელთაც უფრო მაღალი შემოსავლები აქვთ, უფრო მეტ რესურსებს მოიხმარენ, ვიდრე ის ნაკლებადგანათლებული ადამიანები, რომლებსაც დაბალი შემოსავლების ტენდენცია გააჩნიათ“ (გაეროს დოკუმენტი „რაც მეტია განათლება, მით მეტი საფრთხე ემუქრება მდგრადობას“, 2006 წ.).

„როგორ ესადაგება ეს დოკუმენტი ჩვენს (რუსეთის) სინამდვილეს? – კითხულობს გადაცემის ავტორი და საშუალებას გვაძლევს, თვალი მოვადევნოთ რუსეთის „სბერბანკის“ პრეზიდენტისა და გამგეობის თავმჯდომარის გერმან გრეფის გამოსვლას სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე 2012 წლის 22 ივნისს: „ძალიან მეშინია იმის გამო, რასაც თქვენ ამბობთ. თქვენ გინდათ, ფაქტობრივად, ძალაუფლება ხალხს გადასცეთ. როგორც კი ადამიანები საკუთარ მე-ს შეიცნობენ და თვითიდენტიფიცირებას მოახდენენ, მათი მართვა და მათით მანიპულირება შეუძლებელი იქნება. განათლებულ ადამიანებს არ უნდათ, მათით მანიპულირებდნენ. იუდეური საიდუმლო სწავლება „კაბალა“ – ცხოვრების სწავლება 3 ათასი წელი საიდუმლო სწავლება იყო და მხოლოდ ახლა გახდა ხელმისაწვდომი ყველასთვის. ადამიანებმა იცოდნენ, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანს თვალი აეხილება და თვითკმარი გახდება, მისი მართვა შეუძლებელი ხდება, რადგან მართვა მანიპულაციის ელემენტებსაც შეიცავს. როგორ უნდა მართო ისეთი საზოგადოება, სადაც ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე, სადაც ყველას შეუძლია იმსჯელოს არა „შელამაზებულ“ ინფორმაციაზე, რომელსაც ხელისუფლების მიერ მომზადებული ანალიტიკოსები, პოილიტოლოგები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აწვდიან, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად მაინც სოციალური სტრუქტურის შენარჩუნებაზე ზრუნავენ. როგორ უნდა იცხოვრო ასეთ საზოგადოებაში? თქვენი მსჯელობებისგან შიში მიპყრობს“.

გერმან გრეფის კიდევ ერთი ციტატა: „ჩვენ ჩვენთვის მოვინიშნეთ სამი კომპეტენცია, რომლებიც „მომავლის ადამიანს“ ახასიათებს.

პირველი – ეს არის ადამიანი, რომელსაც მაღალი ხარისხის კრეატიულობა გააჩნია.

მეორე – ამ ადამიანს კარგად აქვს განვითარებული სისტემური აზროვნება. დამეთანხმებით, რომ ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც ძალზე კრეატიულია და თან კარგად აქვს განვითარებული სისტემური აზროვნება.

შვიდი მილიარდი ადამიანიდან ექვსი უნდა განთესო. და მესამე შემადგენელი – ეს რეზულტატების მიღწევის უნარია“.

ნიკიტა მიხალკოვი გერმან გრეფის ამ ღია განცხადებებს ადარებს ჰენრიხ ჰიმლერის გამონათქვამს, რომელიც ამბობდა, რომ დაპყრობილი ხალხებისთვის კითხვის ცოდნა საჭირო არ იყო. მესამეს ეთანხმებოდა რაიხსლაიტერი და ჰიტლერის პირადი მდივანი მარტინ ბორმანიც: „სლავებმა ჩვენთვის უნდა იმუშაონ. თუ ჩვენ არ გამოგვადგებიან, შეუძლიათ დაიხოცონ კიდეც. განათლება საშიშია. საკმარისია, თუ ასამდე დათვლა შეუძლიათ. უკეთეს შემთხვევაში, მათთვის მისაღებია ის განათლება, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო მარიონეტებს მოამზადებს“.

„ბესოგონის“ წამყვანი აგრძელებს: „და კიდევ ერთი კითხვა: თუ ადამიანი ღიად საუბრობს იმაზე, რომ შვიდი მილიარდიდან ექვსი უნდა განთესო, ის ხომ საკუთარ თავს იმ ექვსი მილიარდის ნარმომადგენლად არ თვლის? ის ხომ იმ ერთ, „ელიტურ“ მილიარდში მოიაზრებს თავს?

ეს იმდენად მოქმედებს ადამიანურად, რომ გინდა კიდევ მეტი გაიგო, გაიგო, სად არის სიმართლე.

როდესაც სახელმწიფომ „სბერბანკის“ 50+1% აქციები შეიძინა, გრეფმა შემდეგი ფრაზა თქვა: „ფაქტობრივად, ნაციონალური კეთილდღეობის ფონდის სახით საჯარო სააქციო საზოგადოება „სბერბანკის“ აქციონერი და მისი მოღვაწეობის მთავარი სარგებლის მომხმარებელი ხდება მთელი რუსეთის ხალხი“.

ნიკიტა მიხალკოვი გვთავაზობს ეკონომისტისა და პოლიტიკოსის სერგეი გლაზევის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ბანკირებს ბანკების მიმართ განხორციელებული კი არა, ამერიკის მხრიდან პირადად მათ მიმართ განხორციელებული აქციები უფრო აშინებთ.

„რატომ არის ეს ასე? – კითხულობს ნიკიტა მიხალკოვი და განაგრძობს, – „სბერბანკის“ თავისუფალი აქციების“ წილებიდან 40% ეკუთვნის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო 29,5% – დიდ ბრიტანეთს.

ხომ შეიძლება ხვალ გვითხრან, რომ არ შეიძლება ფულის ჩადება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვიტარებაში, ან არ შეიძლება სოფლის მეურნეობის, ან მედიცინის ინვესტირება, თორემ ამას ყველაფერს სანქციები მოჰყვებაო? მაშინ რა უნდა ვქნათ?

თქვენ მკითხავთ, რა კავშირშია ბილ გეიტსი და გერმან გრეფი?“

ამის პასუხად ნიკიტა მიხალკოვს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ოლგა ჩეტვერიაკოვას გამოსვლიდან ფრაგმენტი მოჰყავს: „თითოეული ადამიანის ყველა მონეცემი ერთ ციფრულ პლატფორმაზე აღმოჩნდება. ყველა მონაცემი ცნობილი იქნება და თითოეული ადამიანი ისე გამოჩნდება, როგორც ხელისგულზე. ასეთი სისტემის შესაქმნელად საჭიროა მძლავრი ციფრული ტექნოლოგიების ქონა. „სბერბანკს“ ეს არ გააჩნია და მან ხელშეკრულება გააფორმა 2017 წელს „მაიკროსოფტთან“, ამერიკულ ტრანსნაციონალურ კორპორაციასთან, რომელიც თანამშრომლობს აშშ-ის უისაფრთხოების სამსახურთან და გასაგებია, ამერიკის სამხედრო მრეწველობას რა პროდუქტსაც აწვდის. ამჟამად მათი მიზანია, მოამზადონ, შექმნან დიდი ფენა ცნობიერებაშეცვლილი ახალგაზრდებისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იმ ადამიანებს, ვინც უკვე მუსაობს ამ სტრუქტურებში, უკვე შეცვლილი ცნობოერება აქვთ. რბილად რომ ვთქვათ, ამ ადამიანებს ცნობიერებაში არა აქვთ ჰუმანიტარული შემადგენელი, ეს ადამიანები მანქანის ალგორითმივით აზროვნებენ. ამ ციფრული სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეცვლიან ადამიანის ცხნობიერებას. გრეფი ჩვენი ბავშვებით დაინტერესდა და ჩვენი პატარები საბავშვო ბაღიდან და სკოლიდან ისინი ციფრულ სკოლაზე გადაჰყავთ“.

„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრეფი არა მარტო ბავშვების განათლებით არის დაკავებული, არამედ ქვეყნის აღმდენებლობითაც, – აცხადებს ნიკიტა მიხალკოვი და კვლავ გერმან გრეფის ციტატა მოჰყავს: „სახელმწიფო იერსახეს იცვლის, ის ძალიან მოხერხებული ხდება მოქალაქეებისთვის, ის მათთვის უხილავი ხდება. სახელმწიფო შეიძლება ჯიბეში იყოს და ის ჯიბეში იქნება“.

„და ვის ჯიბეში იქნება სახელმწიფო? – კითხულობს გადაცემის წამყვანი, – რა დგას სრულყოფის, ცხოვრების შემსუბუქების, ციფრული სისტემების განვითარების, ერთი ღილაკით პრობლემების გადაჭრის უკან? რის ფასად ვიძენთ ამ კომფორტს? რას ვცლით მასში – თავისუფლებას? ინდივიდუალობას? ჩვენს ნაცვლად გადაწყვეტენ, ვინ ისწავლის და ვინ არა? ჩვენ დაგვაცალკევებენ? მსოფლიო კასტინგი იქნება? ვინ ჩაატარებს ამ კასტინგს? და იმ ჩიპირებულ რობოტებს შორის სად იქნება პოეტების, მხატვრების, მოაზროვნეების ადგილი?“

ნიკიტა მიხალკოვი იქვე აღნიშნავს, რომ ინტერნეტ-იმპერიის შემქმნელები თავიანთ შვილებს მკაცრად იცავენ ამ მსოფლიო ქსელის მოხმარებისგან.

„და იქნებ ეს პანდემია შემთხვევითი სულაც არ არის? იქნებ, ვიღაცას აწყობს, რომ ის გაგრძელდეს რამდენიმე თქვე ან წელი? მაშინ ხომ, რამდენიმე წელი კომპიუტერთან ჯდომის შემდეგ უკვე ახალი ადამიანები იქნებიან, ახალი ქვეყანა... იქნებ, დავფიქრებულიყავით...

ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრია დამოკიდებული იმ ადამიანებზე, ვინც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს წყვეტენ.

წარმოიდგინეთ, ეს მოსაზრებები, ზემოთ რომ გავახმიანეთ, ნაკლებად ავტორიტეტულ ადამიანებს რომ ეთქვათ, რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა? არავითარი, რადგან მათ უკან, ვინც ამ მოსაზრებებს ახმიანებს, დიდი ფულია – ჩვენი ფული. ჩვენ საჩუქრად ვიღებთ საკუთარი ცნობიერების შეცვლას ჩვენივე ფულით.

მე მინდა, მოგიწოდოთ, იფიქრეთ, გააანალიზეთ, მომავალში გაიხედეთ არა სხვისი, არამედ საკუთარი თვალებით, გაუფრთხილდით საკუთარ თავს და იყავით ძალიან ყურადღებით და ფრთხილად!“ – ამ სიტყვებით ასრულებს თავის გადაცემას ნიკიტა მიხალკოვი.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

შაქრო ჰაჰა

რა არხეინათა სხედხართ, რა ყური მოგიდვრენიათ, ნინა ბაბოი საფლავზე არ მივდივართო? იკითხა ოთხმოცს გადაცილებულმა შაქრომ და ოჯახის წევრებს მიაჩერდა.

– არ შეიძლებაო! – ჩაიბუზღუნა უმცროსმა ბიჭმა.

– რაო?! – ვერ გაერკვა სიტუაციაში შაქრო.

– აკრძალულიაო! – აუწია ხმას უფროსმა ბიჭმა.

– მამასხარავებთ?! – აუწია ხმას შაქრომაც.

– არა, ქააა, სამასხარაოთ სადა გვცალიან? – მიუგო ცოლმა.

– მა რატო არ მივდივართ? – აიჩეჩა მხრები შაქრომ.

– არ შეიძლებაო, კაცო, არა, აკრძალულიაო, რათა ხარ შენი ნათქვამა?! – ჩაჰყვირა ყურში შვილიშვილმა.

– ააა, ჩემი წაყვანა არ გინდათ, ხო? ბებრი თრევა არ გეპიტნავებათ, ხო? თქვენც დაბერდებით და მეგეტყვნებათ კეთილები, ასი წლი მემრე! – აღმუვლდა შაქრო.

– ქააა, კორონააო, ვერ გაიგე?! – აკივლდა ცოლი.

– ეგ რაღაა?!

– ვირუსია, ხალხსა ჰხოცამსო!

– ჰხოცამს არა, ისა!

– ჰოოო, ჰხოცამსო... აგე, ნახევარი იტალია ლამის გაჟუჟულა! – დაადასტურა უმცროსმა ბიჭმა.

– იტალია? – იკითხა იჭვნეულად შაქრომ.

– ჰო, იტალიაც, გერმანიაც, საფრანგეთიც და ამერიკაც! – მიუგო უფროსმა ბიჭმა.

– მემრე ჩვენ რა შუაში ვართ?! – გაშალა ხელები შაქრომ.

– აქაც არი, შეიძლება მაიმატოსო!

– მაიცა, რააა, ეგ ხო აჯმობაა?

– ვითომ რათ არი აჯმობა? – შეუბრუნა სიტყვა ცოლმა და ცხვირი აიბზუა.

– ჩემ ბალღობაში დაჭაობებული ალაზნი ველიდან მალარია რო გაჩნდა, აი, ეგ იყო მაგარი სეირი, ხალხი პანტა-პუნტით იხოცებოდა! – ჩაიქირქილა შაქრომ.

– ჰოდა, ეხლაც ეგრეა, ოღონდ ევროპაში! – ჩასძახა ყურში უმცროსმა ბიჭმა.

– მიდი, მიდი, ამოქოქე შენი დრანგალეტკა, ნინა ბაბო გველოდება, ორიოდე კვერცხი გაუგოროთ საფლავზე! – გასცა ბრძანება შაქრომ.

– ვერა-მეთქი! – აყვირდა უფროსი ბიჭი.

– მაშინ ფეხით წავალ და სირცხვილი თქვენა!

– ვერ წახვალ!

– მაშ არა და მოსკოვ დეევეკითხები, აი!

– სამი ათასლარიან ჯარიმაი რომ აგაკრავენ, მე არ გადავიხდი, შენი ძღინკიანი პენსია კიდე არ ეყოფა!

– რა სამი ათასი, რას ატრაკებთ?!

– ჰოოო, ეგეთი ბრძანებაა მთავრობიდან! – ისევ ჩაჰყვირა ყურში უმცროსმა ბიჭმა.

– მა ნინა ბაბო რო გველოდება?!

– გველოდება არა, ისა! – ჩაიცინა ცოლმა.

შაქრო „ტაბურეტკაზე“ ჩამოჯდა. ერთი ხანობა მიწას ჩააშტერდა. მერე ვაზის განასხლავი ჩხირი აიღო და წრე შემოხაზა. კარგახანს ხმა აღარ ამოუღია. მაინც ეგონა, საკუთარი ოჯახის წევრები ატყუებდნენ. მაგათა ჰგონიათ, შაქროსა ნინა ბაბოი სული საერთოდ არ აინტერესებს, მარტო ღვინი დალევა უნდა, მარტო ჭიქი წაქცევა უნდა. ეგ უკვე აჯმობაა. ჰმ, არ გველოდებაო... შენი ყველაყისამ!

– ესე იგი, არა ჰქოქამ, არა? – ასწია თავი შაქრომ.

– არა ვქოქამ კი არა, ვერა ვქოქამ, გაიგე?! – ჩაიქნია ხელი უფროსმა ბიჭმა.

– ეეეჰ, მე რო ამოვქოქამდი ხოლმე, ბაქო-ბალაჯაი ვუვლიდი, რათ მინდოდა თქვენი ამოქოქილი?

– აჰა, ეგე, დაიწყო! – შეხტა უმცროსი ბიჭი.

– მე ვიცი, სადაცა ჰქოქამდი, ბოზებში! – გაუწყრა ცოლი.

– ეხლა იგრე ვარ გაბრაზებული, ჩემი თავისა მეც კი მეშინიან, რეებსა ჰბოდავ, ქალო?! – წამოდგა შაქრო.

– ეიიმეეე, რამდენჯერ წაგადექი თავზე? – გადგა ფეხები მხრების სიგანეზე ცოლმა.

– დადექ-მეთქი!

ცოლი დადგა, ხმა ჩაიწყვიტა, დარჩა დოინჯშემოყრილი. მარტო თავის გადაქნევ-გადმოქნევაღა მოახერხა. შაქრო ისევ წავიდა ფიქრებში, გეგონება დროის მანქანა ამუშავდა და გადაისროლა წარსულში. კარგი დრო იყო, როცა მოეხოშებოდა, დაჯდებოდა თავის „გრუზავიკსა“ და გაჰქუსლავდა ნებისმიერი მიმართულებით. არც „პუწიოვკები“ აკლდა კოლმეურნეობიდან და არც პირადი რეისები. ეეჰ, რას არ გადაჰყრია, რა არ უნახავს, რა არ გაუგონია... ერთხელ იყო, მოსაღამოებულზე ქერა ქალი რო დაინახა ტრასის პირას, იმან ხელი აუწია, ამან კიდე პირდაპირ ფეხებთან „წაუტორმუზა“. იფიქრა, იმნაირია, ხუთ მანეთში გავჟიმავო. არადა, არ ჰგავდა იმნაირს, ცოტა არ იყოს, კლასიკურათ იყო ჩაცმული, ბაილონის ქვედა კაბითა და ნეილონის „ბლუზკით“. ჩაჯდა თუ არა ქალი „კაბინკაში“, ამან ეგრევე დაუწყო ვაჭრობა, რამდენი გინდაო? უიმეეე, რა რამდენი უნდა მინდოდესო, რეებსა ჰბლანდავო? ჰო, რა იყო, თუ გინდა სამ მანეთ მოგცემ, მითხარი, სად გადავაყენოო. ქალმა ეგრევე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, ჯერ არ გადაყენო, იარეო... თანაც სამი მანეთი ძაან იაფია, ჩემთან ოცი ღირსო. არაო, ათზე მეტი არ იქნებაო, მიაწვა შაქრო. ჰო, კარგი, იყოს ათი, ოღონდ ჯერ იარეო. იარა. დასახლებულ პუნქტში რო შევიდნენ, ქალმა პისტოლეტი დაადო ოფლიან შუბლზე და გვარ-სახელ-მისამართი ათქმევინა. თურმე რომელიღაცა რაიონის გამომძიებელი ყოფილა, საქმეზე შეჰგვიანებია და ტრასაზე გამოსულა. იჭერდნენ, ხათაბალაში გაყო თავი, ძალადობასა და გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებდნენ. გადარჩა, ახლობლები ჩეერივნენ, მიდგნენ, მოდგნენ, ფული დააყაჭინეს და გამოაძვრინეს. არა, ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ ტრასაზე გამომძიებელ ქალს თუ გადაეყრებოდა, ვერასდროს წარმოიდგენდა. შეცდომა ვის არ მოსვლია? მაგის მერე ფრთხილობდა, მაგრამ გამორიცხვის მისეული პრინციპი მაინც ამართლებდა. რაში მდგომარეობს შაქროს გამორიცხვის პრინციპის შინაარსი? იმაში, რომ ცხოვრებაში შეიძლება მარტო ერთხელ შეგხვდეს ტრასაზე გამომძიებელი ქალი, ეგეთი აჯმობა ყოველდღე არა ხდება.

– წამო, ქააა, არა გშიან? – ჩასძახა ცოლმა ყურში.

– გასცი, შენი! – ამოსძახა შაქრომ.

– იიმეეე, ეგრე რამ გადაგაჯიშა?!

– კარქი... სასაფლაოზე არ მიშვებთ, მაშინ ვენახში უნდა ჩავიდე, აქა-იქა ბოძებია წაქცეული!

– არც ვენახში ჩასვლა შეიძლებაო.

– არც იქაო? აბა, სად შეიძლებაო?!

– არსადაო, სახლში დაყენდიო.

– დაყენდიო?!

– ჰო!

– არც ბაღჩაშიო?!

– ბაღჩაში ჩადი, ნეტა ვინა გხედამს?

– ღმერთო, გადმაიხედე, დარჩი ცოტახან ჩემთან, ამიხსენი, რა აჯმობა ხდება ქვეყნიერებაზე და მემრე ტაქსით გაგიშვებ! – აღმუვლდა შაქრო.

– რეებსა ჰბოდამ, კაცო, ღმერთთან ეგეთი ლაპარაკი როგო შეიძლება?! – ისევ შემოიყარა ხელები ფერდებზე ცოლმა.

– იგეთი რა ვთქვი, რო?!

– მა ღმერთი ტაქსით როგო უნდა გაუშვა, რათა მკრეხელობ?!

– დადექ!

ცოლი ისევ დადგა... უფრო სწორედ, ხელი ჩაიქნია და აკრიახებული ქათმებისკენ გაეშურა საკენკის დასაყრელად. შაქრომ კბილები გააკრაჭუნა, ორგანიზმი გარეთ გასვლასა სთხოვდა, რამე უნდა ელონა.

კარგი დრო იყო, მუხლიც უჭრიდა და მკლავიც, თოფსაც მიზანში არტყამდა და ბადესაც ზუსტად ისვროდა იორსა თუ ალაზანში. გამაანერინებდა ხოლმე თავმჯდომარეს „პუწიოვკასა“ და აუყვებოდა ხევსურეთის მთებში გაჭრილ გზებსა თავისი „გრუზავიკით“, ხორაგი და გოხი მარილი აჰქონდა მეცხვარეებისთვის. მემრე მწყემსები რო წააქცევდნენ ხოლმე ჭედილასა და შემოუსხდებოდნენ პურ-მარილსა, ცხონება იყო, ცხონება. ლებაისკარის გადაღმიდან ბაბალე გადმოიდოდა, „ბუშლატაზე“ ღილებად 3-კაპიკიანები ეკერა, გადმაიტანდა ჟიპიტაურსა და იყო ხორხოცი დილამდე, რა კორონა, რი ტყემალი?

– ქააა, მართლა არა გშიან? – დაადგა თავზე ისევ დოინჯშემოყრილი ცოლი.

– მშიან კი არა, ეგეთი კარგი რო არ ვიყო, თავ მოვიკლამდი!

– რათა?

– იმათა!

– არა, რათა?

– ისტორიაი არ ახსომს, დედაჩემი საფლავზე არ ავსულიყავ და ერთი ჭიქა არ წემექცივნა, წითელი კვერცხები არ გემეგორებინა, პასკა არ დემედო, მა თქვენ ხალხი ხართ?! – აღაპყრო დაკოჟრილი ხელები შაქრომ.

– წამო, შინ წააქციე ჭიქა, კვერცხებიც გააგორე და პასკაც დაჭერი.

– ეგრე მიუვა, რო?!

– მიუვა, მა არ მიუვა?

– არა მგონია!

– მიუვა-მეთქი, დამიჯერე.

– დაგიჯერო არა, ისა... იცოდე, თუ არ მიუვიდა, პასუხ შენ მოგთხოვ!

– ჰოოო, კარგი, მამთხოვე, ნეტა რანაირად უნდა გაარკვიო, მიუვა თუ არა?

– სიზმარში მეტყვის!

შაქრო წამოდგა. ცოტა ხანს იდგა გაშტერებული, ხან მიწას ჩააჩერდებოდა, ხან კიდე ცაში აიხედავდა. ვეღარ გაეგო, საიდან ამოსძახებდა თუ ჩამოსძახებდა დედა და შეატყობინებდა, შვილო, ყველაფერი მივიღე, არაფერზე ინერვიულოო. შაქრო შაღონდა, დაიღალა, გასავათდა, ამან თავისი, იმათ თავიანთი და მანქანა მაინც ვერ ამააქოქინა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, სახლში შევიდა და კარი მიიჯახუნა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რედაქტორი : ვახტანგ ხარჩილავა.
სარედაქციო კოლეგია: კობა არაბული, ლევან ბრეგაძე, ლაშა გვასალია, ანზორ სიფრაშვილი, ბათუ დანელია, ირაკლი ვაშაყმაძე, ზურაბ თორია, ერეკლე საღლიანი, გური ოტობაია.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონები: 593 44 04 01; 595 57 99 43.

რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ის ორი მუხლით უნდა გასამართლდეს – როგორც სახელმწიფო და როგორც სამხედრო დამნაშავე

● „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა ტერორისტული ორგანიზაციაა, „ქართული ალქაიდაა“.

● ლაფანყურის სპეცოპერაცია. საერთაშორისო ტერორისტების 9 კაციანი ჯგუფი თვითონ „ნაცმოძრაობამ“ შემოიყვანა საქართველოში. მიზანი: ამ ჯგუფს ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა, მაგრამ გეგმა ჩავარდა. ტერორისტების ჯგუფმა დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა და საქართველოდან წავიდა, სააკაშვილ-მერაბიშვილის ბანდამ კი მოწმეები მოიშორეს – მძინარე ქისტი ახალგაზრდები ჩახოცეს და მათ ის უდანაშაულო ქართველი თანამშრომლების მიაყოლეს, რომლებმაც ამ გეგმის შესახებ იცოდნენ.

ვაგრძელებთ ინტერვიუს კუდ-ის ყოფილ თანამშრომელთან ნიკა ბერიძესთან.

ნიკა ბერიძე: აგვისტოს დასაწყისში საგანგებო ვითარება, ე.წ. განგაში რომ გამოაცხადეს, გორიცხინვალის მაგისტრალზე, სოფელ კარალეთთან გზის ორივე მხარეს ორ მწკრივად გააჩერეს ტექნიკა და ტრანსპორტი, სულ ცოტა 200 მარტო სამხედრო ჰაილუქსი (პიკაპი) იყო, ამას გარდა, სამხედრო კავშირგაბმულობის მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, ტანკები, სამხედრო და სამოქალაქო მედიკოსების ავტომანქანები. 4 კმ სიგრძეზე მაინც იყო განლაგებული ეს ყველა ტრანსპორტი და ტექნიკა, რომელიც შვიდი საათის განმავლობაში დაქოქილი იდგა. მოგეხსენებათ, ყველას აქვს საწვავის ლიმიტი, გაუთავდათ საწვავი და გახდნენ უმოქმედო. ვითომ რაღაც სტრატეგიული ღონისძიება იგეგმებოდა და იმიტომ გახარჯეს ამდენი საწვავი. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ეს საწვავგამოლეული ტექნიკა ადგილზე დარჩა, თან ისე ყავდათ განლაგებული, რომ ვერც მივიდოდნენ ცისტერნები, რომ მათთვის საწვავი მიეწოდებინათ. მით უმეტეს, რომ უკვე შეიარაღებული შეტაკებები მიმდინარეობდა. მიატოვეს ჯარისკაცებმა და მედპერსონალმა ეს ყველაფერი და ფეხით წამოვიდნენ გორისკენ. თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სამსახურის ნებისმიერ თანამშრომელს რომ კითხოთ, ჩემს ნათქვამს ყველა დაადასტურებს. ეს ტექნიკა, რომელიც სულ მინიმუმ ათი მილიონი დოლარის ღირებულების მაინც იქნებოდა, სააკაშვილმა ადგილზე დატოვა. ზოგი მათგანი ვითომ გადამალეს, ნაწილი გორის ვაშლის ბაღებში გადაიტანეს, ზოგი სად, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერი მტერს დარჩა. არ გაინტერესებთ ვინ ხელმძღვანელობდა ამ კონკრეტულ „ოპერაციას“? თბილისის მაშინდელი მერი გიგი უგულავა. რა ესაქმება ქალაქის მერს სამხედრო საქმესთან, არავითარი შემხებლობა არ აქვს. მხოლოდ იმით შეიძლება დაეხმაროს, რომ საომარი მოქმედების დროს, ჯარისკაცებს საკვები მიაწოდოს. უგულავა რომ გვყავდა „სტრატეგიულ“ ხელმძღვანელად, იმიტომაც დადგა სავალალო შედეგი. ეს ტრაგიკული „ომობანა“ იმისთვის იყო გამიზნული, რომ ჩვენი მხრიდან, რუსეთთან შეთანხმებით პროვოკაცია მომხდარიყო და მოხდა კიდეც. სერიოზული დანაკარგი გვქონდა, საიდანაც რუსეთმა და სააკაშვილმა ძალიან დიდი ფული იშოვეს. ნაცმოძრაობა სანამ „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, ეს ყველაფერი მანამდე ჰქონდათ გაწერილი სად, რა და რამდენი დანაშაული უნდა ჩაედინა მიხეილ სააკაშვილს, იმისთვის, რომ საქართველო საბოლოოდ გაენადგურებინათ. სამწუხაროდ ასეც მოხდა, 50–60 წელი მაინც არის საჭირო, რომ ვითარება გამოვასწოროთ. ძალიან სეიოზული ბომბები აქვს ჩადებული სააკაშვილს, რომელთა განეიტრალებას დიდი დრო დაჭირდება. ბომბის ჩადებაში ვგულისხმობ, თავისი ხელმოწერით როგორ გააჩუქა ლამის ნახევარი საქართველო. მისი ნაავკაცარის დამტკიცებას და დაკარგულის დაბრუნებას, იმხელა ფინანსები და შრომა ჭირდება, რომ შეიძლება ნახევარი საუკუნეც არ ეყოს. და ამ ხალხმა, რომელმაც სამარცხვინოდ წააგო 2008 წელს ომი და ლანგრით მიართვა რუსეთს ძირძველი ქართული მიწები, მომდევნო წელს მორიგი სისხლიანი სპექტაკლი დადგა სახელწოდებით — „მუხროვანის ამბოხება“.

- რეალურად რა მოხდა მუხროვანის სამხედრო ბაზაზე 2009 წლის მაისში?

- მოგეხსენებათ, იმ პერიოდში დედაქალაქში მასშტაბური საპროტესტო აქციები, რუსთაველის გამზირზე კარვების ქალაქი იყო გაშლილი, რამაც სააკაშვილის რეჟიმი უკიდურესად დააფრთხო. ესენი დიდი ალბათობით ფიქრობდნენ, რომ მაგათ საწინააღმდეგოდ ძალიან სერიოზული რაღაც მოხდებოდა. ეს სინამდვილეში სრული აბსურდი იყო, მაგრამ ნაცების სატანურ აზროვნებაში, მორიგი ფარსის დადგმის იდეა გაჩნდა. ის ვითომდა ფარული ჩანაწერები რომ გამოაქვეყნეს, სინამდვილეში კუდ-ის დადგმული იყო, თავიანთ აგენტებს ელაპარაკებოდნენ. არავინ ყიდდა იარაღსა და საბრძოლო მასალას. ტელევიზიით რა იარაღიც გვაჩვენეს (ავტომატები და ა.შ), ვითომ „ამბოხებულებს“ რომ უნდა წაეღოთ და ვიღაცები დაეხოცათ, სინამდვილეში კუდიდან იყო წამოღებული და „ამბოხებულთა“ ბინებში ჩადებული. გენერალი კობა კობალაძე პოლიციაში როცა მიყავდათ, იარაღიც მაშინ ჩაუდეს. კობალაძე ძალით მიაკერეს ამ საქმეს, ის და მეორე მეთაური (მისი გვარი აღარ მახსოვს), ვითომდა ამბოხებული ჯარი რომ წამოვიდოდა თბილისისკენ, ადგილზე გაუწევდნენ ორგანიზებას. რაც შეეხება „ამბოხებულებს, აქ ძირითადი აქცენტი — კობა ოთანაძეზე, გია კრიალაშვილსა და ლევან ამირიძეზე კეთდებოდა. ამირიძე დღეს სამხედრო პოლიციაში მუშაობს, კაცს ლამის ოჯახი ამოუხოცეს, ოჯახებში შეუცვივდნენ საშინელი შეურაცხყოფები მიაყენეს და ხმას არ იღებენ, რაც ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია.

პირდაპირ ვამბობ, მუხროვანის ე.წ. ამბოხი იყო სააკაშვილის „შავნაბადის“ რეზიდენციაში დაგეგმილი ორგანიზებული დანაშაული. პირველ თუ არა, მეორე დღეს მაინც შევედი მუხროვანის ბაზაზე და ამბოხების მიმანიშნებელი არაფერი მინახავს. იქ მართლა ამბოხი რომ მომხდარიყო, ვერცერთი სამხედრო პირი, სპეცრაზმელი, ჯარისკაცი თუ სხვა, ფეხს ვერ შედგამდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბაზაზე ისეთი ნაღმტყორცნები ქონდათ, ცოცხალ ძალას მთლიანად გაანადგურებდა. ასე რომ, სისულელეა იმის თქმა, ამბოხება მოხდაო. მუხროვანის ბაზაზე სიწყნარე, ჩვეულებრივი სიტუაცია დაგვხვდა, ჯარისკაცები ე.წ. კურილკებში სიგარეტს ეწეოდნენ, ზოგი სადილობდა. სამხედრო გარნიზონის დამლაგებელი ქალბატონები ეზოებს ალაგებდნენ. მე იქ არცერთი შეიარაღებული ჯარისკაცი არ მინახავს, თუ არ ჩავთვლით სამხედრო ნაწილის შესასვლელ საკონტროლო პოსტს, სადაც აუცილებლად უნდა იდგნენ შეიარაღებული პირები. ჩემი იქ მისვლიდან ზუსტად საათნახევარში შემოვიდნენ მიხეილ სააკაშვილი, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, შს მინისტრი მერაბიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც ძალზე აგრესიული იყო, იქ ისეთ სიტყვებს ამბობდა, თმები ყალყზე დამიდგა. ამათ მოყვნენ ის ნაძირალა ვირთხა, დღეს უმცირესობის დეპუტატი ირმა ნადირაშვილი, მაშინ სააკაშვილის პრესსამსახურის უფროსი იყო, დათა ახალაია, თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით სიხარულიძე, სოდის უფროსი, „ნარკობარიგა“ ერეკლე კოდუა. შექმნეს პატარა შტაბის მაგვარი, ტელევიზიითაც აჩვენეს, ვითომ რაღაც დავალებებს რომ აძლევს სააკაშვილი, მაგრამ აქ მოკლე თათბირი ჰქონდათ, ძირითადი საუბარი ეზოში იყო. სააკაშვილმა უთხრა, არ მაინტერესებს თქვენ რა გეგმა გაქვთ, ჩვენ იქ რაც ვთქვით, ისე უნდა იყოსო, თან უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებდა კობა ოთანაძეს, გია კრიალაშვილსა და ლევან ამირიძეს. ეს სამი პიროვნება ლიკვიდირებული იქნეს, ადგილზე დახოცეთ. გადაიღეთ ყველაფერი, ტელევიზიით აჩვენეთ და გამოაცხადეთ, რომ ესენი იყვნენ სამშობლოს მოღალატეები, ამბოხების მონაწილეები, რუსეთთან თანამშრომლობდნენო. სააკაშვილის სიტყვებს ვიმეორებ, პირდაპირ ასე დაავალა „შტაბს“. სააკაშვილს მარცხენა მხარეს ედგა წრუწუნა ადეიშვილი, მას დაავალა, შენ მიხედავ საგამოძიებო თემასო. იქ ხომ დააკავეს ჯარისკაცები და სამხედრო ოფიცრები, რომელთა ნაწილი ვაზიანის ბაზის ტერიტორიაზე გადაიყვანეს, ნაწილი შსს-ს ორთაჭალის შენობაში, ზოგიც ჩიტაძის ქუჩაზე. კობა კობალაძისა და სხვა სამოქალაქო პირების დაკავებაც ბრძანა ვაი-მთავარსარდალმა.

სააკაშვილმა მერაბიშვილს დაავალა სპეცოპერაციის ხელმძღვანელობა, 24 საათს გაძლევ, ესენი მიწიდან რომ ამოიღოო, ამას რომ ამბობს, ეს ტელევიზიითაც აჩვენეს. ამ საუბრიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ სააკაშვილი წავიდა. მე ამ ყველაფერს მაქსიმუმ 5–6 მეტრი მანძილიდან ვუყურებდი და მათი საუბარიც კარგად მესმოდა. სააკაშვილმა რომ მართლაც გასცა ასეთი ბრძანება, ამას უამრავი ადამიანი დაადასტურებს, ყველა მათგანის ვინაობა და თანამდებობები ვიცი. მიშას წასვლის შემდეგ შემობრუნდნენ მერაბიშვილი, უგულავა და დანარჩენები. უგულავა საშინლად იგინებოდა, ამათ ჩვენი ქვეყნის გა-

16-17 გვ.

რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული

15 გვ.

დატრიალება უნდოდათო, არადა ეს იყო სრული სიცრუე. ბუნებრივია, ბაზაზე ოფიცრები და ჯარისკაცები იყვნენ, ზოგს ყაზარმაში ეძინა. მერაბიშვილმა უცებ გასცა ბრძანება, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ვინც არიან, ყველა გამოიყვანეთ და გადაანაწილეთო. სანამ აქაურ შემადგენლობას „მოდულში“, ვაზიანში და ა.შ. გადაიყვანდნენ, ჯერ ადგილზე მოუწყეს საზარელი ანგარიშს-

წორება. კოდუამ ექვსი ჯარისკაცი შენობების უკან, საპირფარეშოებთან გაიყვანა, მუხლებზე დააჩოქეს და კოდუას მოადგილემ, ნაძირალა ლევან გურგენიძემ და მისმა თანამშრომლებმა (მათი გვარ-სახელები არ ვიცი) ხელით ცემა არ აკმარეს, ავტომატების კონდახები ურტყეს, არადა ეს ბიჭები სრულიად უდანაშაულოები იყვნენ. „ნარკობარიგა“ კოდუა ისეთი სიტყვებით ლანძღავდა მათ, რუსი ჯარისკაცი რომ იკადრებდა. ეს ნაძირალა ჯარისკაცებს ემუქრებოდა ავტომატის კონდახით გაგაუპატიურებთ, ცოლებსაც გაგიუპატიურებთო, არარსებული დანაშაულის აღიარებას მოითხოვდნენ. სხვა ჯარისკაცებიც იყვნენ, მაგრამ ამათზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ საკუთარი თვალით ვნახე როგორ მოექცნენ, უფრო დამამახსოვრდანენ, რომ საშინელი ხმით ტიროდნენ, როგორია, ხელბორკილ დადებულ ვაჟკაცს ასეთ შეურაცხყოფას გაყენებენ და ვერაფერს აკეთებ. კოდუამ მერე დაავალა ნაძირალა გურგენიძეს, ესენი „მოდულის“ შენობაში გადაიყვანე და იქ მივხედავთო. ამ ჯარისკაცების დასჯის შემდეგ თქვა მერაბიშვილმა, ორი გვამი მჭირდებაო. ეს ნაძირალა გურგენიძე „ვარსკვლავად“ რომ ჰყავდათ ქცეული ნაცტელევიზიებს, ჩვეულებრივი ნარკობარიგის მოადგილე, სააკაშვილმა მერე რომელიღაც ქვეყანაში სამხედრო ატაშედ გააგზავნა. ეს „პროფესიონალი“ ახლაც უცხოეთში ცხოვრობს, იმდენი აქვს ნაშოვნი, აწყობილი აქვს ცხოვრება. ის მეორე ნაძირალა ე.წ. გენერალი, ვითომდა საჰაერო სივრცის „დამცველი“ დავითOნაირაშვილიც იქ ბრძანდებოდა, ეს კურირებდა საპატრულო ვერტმფრენებს, რომლებიც ჯარისკაცების ძებნას ახორციელებდნენ.

- მერაბიშვილმა როგორ ჩაატარა ეს ე.წ. სპეცოპერაცია?

- მან კოდუასა და დათა ახალაიას დაავალა რამდენიმე ჯგუფად ემოქმედათ, ფლანგები გავიყოთო. მე მერაბიშვილთან ერთად მომიწია ძებნაზე წასვლა, ის ფეხით დადიოდა, დაახლოებით სამი კილომეტრი ვიარეთ მუხროვანის ტერიტორიაზე ტყეში. იქ შეგვხვდნენ საცოდავი ჯარისკაცები, ექვსი თუ შვიდი კაცი. სააკაშვილის სამარცხვინო „გენერალიტეტმა“ ბაზაზე ის ამაზრზენი სადამსჯელო ოპერაცია და განაწილება რომ მოახდინა, ამათ შეეშინდათ, არ დაგვხოცონო და ტყეში წავიდნენ. მერაბიშვილმა გამოართვა გლოკ-17 მარკის პისტოლეტი თავის დაცვის წევრს და მისი კონდახით დაუხეთქა თავები ამ ჯარისკაცებს. გეკითხებით, რას ერჩოდა ამ ბიჭებს, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ. ვიმეორებ, ეს იყო სააკაშვილის

დაგეგმილი სპექტაკლი, რომელშიც დიდი წვლილი მიძღვოდა ბაჩო ახალაიას იმიტომ, რომ ეს იყო სიბინძურეების შემოქმედი. ციხის ბუნტიც ბაჩო ახალაიას დაგეგმილი იყო და აქაც ეს უფროსობდა, თავდაცვის მაშინდელ მინისტრს დავით სიხარულიძეს არავინ არაფერს ეკითხებოდა. სიხარულიძე ახლა ძალიან რომ იცავს ნაცებს, ეს იმის შედეგია, რომ ყველაზე, მათ შორის, სიხარულიძეზეც აქვთ კომპრომატები და რაც უნდათ ნაცებს, იმას ათქმევინებენ. სააკაშვილის რეჟიმისგან იყო იმის მცდელობა, რომ მოსახლეობასა და ძალოვანის სტრუქტურების წარმომადგენლებში, ცხადია, ჯარშიც ეროვნული სულისკვეთება, ღირსება ჩახშობილიყო და გადაეფარათ თავიანთი აწყობილი დანაშაულებრივი ქსელები. ცხვარიჭამიის ტერიტორიაზე ჩატარებულ ე.წ. ოპერაციას პირადად ესწრებოდა ერეკლე კოდუა. კობა ოთანაძე, ლევან ამირიძე და გია კრიალაშვილი ტყეში იყვნენ გახიზნულები, იმ მიზეზით, რომ სააკაშვილმა მათი დახოცვა დაავალა მერაბიშვილს. არავთარი არეულობის მოწყობა, სამივე თურქეთში აპირებდა გადასვლას. მერე მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე ძალიან სერიოზული ზეწოლები ხდებოდა, ერთ-ერთის ოჯახის წევრზე გავიდნენ და აიძულეს წაყოლოდა მათ მიკროავტობუსით. ეს ბიჭებიც ენდნენ ახლობელს, იქ უკვე სოდის თანამშრომლები იყვნენ ჩასაფრებული. სამივე აიყვანეს ცხვარიჭამიის შესასვლელთან, სხვა მიმართულებით წაიყვანეს და იქ ჩაცხრილეს სოდის თანამშრომლებთან ერთად. საჯაროდ ვადასტურებ, რომ კობა ოთანაძეს პირადად ესროლეს ნაძირალა გივი თარგამაძემ, ვანო მერაბიშვილმა და მისმა მოადგილემ, ცნობილმა მამათმავალმა ამირან მესხელმა. ამის შესახებ რომ დავწერე ფეისბუქში, იმიტომაც დამბლოკეს. კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე ცოცხლები იმიტომ გადარჩნენ, რომ მასმედიით როცა გავრცელდა ინფორმაცია ამ ე.წ. სპეცოპერაციის შესახებ, დასავლეთის პოლიტიკური წრეები და საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერივნენ, ასეთ სისულელეებს

რატომ აკეთებთო. ამან გააჩერა ნაცები, თორემ დარწმუნებული ვარ ორივეს მოკლავდნენ. რაც შეეხება გია კრიალაშვილს, მას სოდ-ის თანამშრომელმა ესროლა, კრიალაშვილს თავში მოხვდა ტყვია და ვეღარ გადაარჩინეს. ოთანაძეს და ამირიძეს უზარმაზარი სასჯელები გამოუტანეს, ოთანაძეს 27 წელი, ამირიძეს შედარებით ნაკლები და ხელისუფლების შეცვლამ გადაარჩინა მრავალწლიან პატიმრობას. ვიმეორებ, გაზრახვა იყო იმ ავადსახსენებელი რვა წლის მანძილზე, ქართული სულისკვეთება, ღირსება და ქართველი ერი განადგურებულიყო. ერი ნაცემი, დაბეჩავებული უნდა ყოფილიყო და ასეც იყო. ახლაც ხომ ხედავთ, პედერასტების უფლებებს იცავენ თავიანთი „ენჯეოებით“, ყველა „ენჯეო“ თავისი სალაძეებით, გიგაურებით და ა.შ. სსის დამნაშავეები არიან. ესენი არიან ჩვეულებრივი მოღალატეები, ბოდიში მომითხოვია, ვირთხები, ეკა გიგაური არის ჩვეულებრივი ქალი ჯალათი, ბადრი ბიწაძის კანტორაში „ფეხადგმული“ კადრი. ეს ქალბატონი ვითომდა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ სევდია უგრეხელიძის შვილია. ეს რომ დავწერე სოციალურ ქსელში, მოკლე დროში ათასი ნახვა მაინც ჰქონდა, არ ეგონათ კაპიტანი გიგაური ეროვნულობაზე პრეტენზიის მქონე მანდილოსნის ასული რომ იყო.

ვიმეორებ, მუხროვანის ე.წ. ამბოხი იყო ჩვეულებრივი ორგანიზებული დანაშაული, რომელიც პირდაპირ საკაშვილის დავალებით, ორგანიზებულად განხორციელდა. დავალება იუსტიციის მინისტრმა ადეიშვილმა, შს მინისტრ მერაბიშვილმა და მისმა დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა ერეკლე კოდუამ და დათა ახალაიამ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ შავი საქმეების შემსრულებელნი. იქ არავითარ ამბოხს ადგილი არ ჰქონია, ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი არ მინახავს, გარდა სამორიგეოსი, სადაც აუცილებლად უნდა იყოს შეიარაღებული ხალხი. პარტიული ტელევიზიის გამოქვეყნებული ინ-

ფორმაცია, რომ ვითომდა თავდაცვის მინისტრს არ უშვებდნენ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, არის სრული სიცრუე. როცა ასეთი შემთხვევა ხდება, მინისტრის დაცვა მაშინვე ახდენს რეაგირებას, აკავებენ ურჩ ჯარისკაცებს და შედის დანაყოფში მინისტრი, აქ ასეთი რამ არ ყოფილა. ის ჯარისკაცები და ოფიცრები, ვინც მუხროვანიდან წაიყვანეს, ყველა სასტიკის მოპყრობის ობიექტი გახდა. „მოდულისა“ და შსს-ს ორთაჭალაში მდებარე შენობებში, ავადსახსენებელ გლდანის ციხეში მიდიოდა ჯარისკაცების, მათი ოჯახის წევრების, მშობლების, მეუღლეების, ნათესავების მიმართ მუქარა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. კოდუა და დათა ახალაია პირდაპირ ეუბნებოდნენ ხელბორკილდადებულ ჯარისკაცებს, ცოლებს გაგიუპატიურებთო, რომლებიც იქ ყავდათ მიყვანილი. ამ ჯარისკაცებმაც იძულებით აღიარეს არჩადენილი დანაშაული, ყველა ღირსეული ადამიანი ასე მოიქცეოდა, რომელიც ოჯახის და საკუთარ ღირსებას პატივს სცემს.

- ნაცრეჟიმმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დათა ახალაია კუდ-ის უფროსობიდან გაათავისუფლეს და რა სტატუსით ღებულობდა მონაწილეობას ე.წ. სპეცოპერაციებში?

- დათა ახალაია არსად არ გაუშვიათ, იგი კურირებდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტს მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ხელმძღვანელი და ჩვეულებრივად გადაადგილდებოდა ორი მანქანით (მათი სახელმწიფო ნომრებიც ვიცი). ისე, არც ვასილ სანოძე გადაუყენებიათ, ნაცები გადაყენებას იმას ეძახდნენ, უბრალოდ სამსახურში რომ არ დადიოდნენ და თავიანთ კაბინეტებში არ შედიოდნენ. ახალაია-სანოძეც კაბინეტებში არ შედიოდნენ, თორემ ჩვეულებრივ ისხდნენ შსს-ს შენობაში და ყველაფერში მონაწილეობდნენ. რაც შეეხება ლაფანყურის სისხლიან სპეცოპერაციას, 2011 წელს, თავად სააკაშვილის რეჟიმმა შემოიყვანა ჩეჩენი ტერორისტები. არავითარი თვითნებური შემოპარვა, მით უმეტეს, ამ დაჯგუფების ჩეჩნეთიდან გადმოსვლა არის სრული სიცრუე. მოკლედ გეტყვით, ვინ და როგორ შემოიყვანა ეს ჯგუფი, ვისი დავალებით მოხდა ეს და რატომ გაჩნდა ამ ტერორისტების შემოყვანის იდეა. მოგეხსენებათ სახელმწიფოში რა რეჟიმიც ჩამოყალიბებული, ნაციონალები ყველას უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ, აქედან გამომდინარე, ყველა ინფორმაციას ფლობდნენ და ბუნებრივია, იცოდნენ რომ მათი რეიტინგი მკვეთრად ეცემოდა დანაშაულობების გამო, რასაც ძალზე გადაჭარბებულად სჩადიოდნენ. ამ სტატისტიკებს შიდა საშარეულოში იხილავდნენ ხოლმე. 2011 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელიღა იყო დარჩენილი, ნაცებმა იცოდნენ, რომ დედა აღარ ყავდათ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩატარდა თათბირები, ყურმოკრულ ამბებს კი არ გიყვებით ამ თათბირების ჩატარება-თემების შესახებ, ჩემი მეგობრებისგან მაქვს ეს ინფორმაციები, რომლებიც ამ მაღალჩინოსნების პირადი დაცვის სამსახურებში მუშაობდნენ. ეს კონკრეტული თათბირი „შავნაბადის“ რეზიდენციაში ჩატარდა, სადაც სააკაშვილს მსუბუქი ყოფაქცევის მდედრები რომ დაყავდა და ღრეობა-ორგიებს აწყობდა. სააკაშვილმა დაიბარა ბოკერია, მერაბიშვილი, ძმები ახალაიები და მერაბიშვილის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, ახლა უკრაინაში რომ ბრძანდება. მოგეხსენებათ, სააკაშვილიE ოდესის ოლქის გუბერნატორი როცა იყო, ლორთქიფანიძე ოდესის მილიციის უფროსად დანიშნა და რატომაც დანიშნა, ესეც კარგად ვიცი. მიშა-მთავარსარდალს უთქვამს, ხომ ხედავთ ჩვენი რეიტინგები ეცემაო და ბიძინა ივანიშვილზე გაუკეთებია აქცენტი, როგორც მათ მტერზე. ეს ის პერიოდია, როცა ბატონი ბიძინა ჯერ არ გამოჩენილა ღიად პოლიტიკაში. საზოგადოება მას იცნობდა, როგორც ქველმოქმედს, მაგრამ მოსახლეობის 70%, მათ შორის მეც, სახეზე არ იცნობდა, ვიცოდით მხოლოდ გვარ-სახელი იმ ადამიანის, ვინც ამ ქველმოქმედებას აკეთებდა. სააკაშვილმა პირდაპირ უთქვამს, ბიძინა ივანიშვილი ჩვენი მტერი გახდა, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მოდის, ამ შემთხვევაში ხომ იცით, რაც მოგველისო და დაგეგმეს ივანიშვილის ლიკვიდაცია. მსგავსი მარაზმი მაგათ ყოველთვის ჰქონდათ თავში, სისხლსა და აზროვნებაში, რადგან ყველა მათგანი ყმაწვილკაცობაში დაჩაგრული იყო. იგივე სააკაშვილის თურმე ისეთ რაღაცებს ეძახდნენ თანაკლასელები, ვერ გავიმეორებ. ესეც ამ უკანასკნელთაგან ვიცი, ერთი მათგანი ჩემი ახლობელია. მოკლედ, დაბოღმილი და გაბოროტებული კასტაა, ამათი მიზანი იყო (და არის) სისხლის დაღვრა, მკვლელობა, ხალხისთვის სულში ჩაფურთხება.

სააკაშვილს მერაბიშვილისთვის უკითხავს, ყავდა თუ არა ე.წ. გასაიდუმლოებული ხალხი, რომელიც ამ ოპერაციას შეასრულებდა, მერაბიშვილმა უარი თქვა, ოღონდ არა იმ მოტივით, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ გაიმეტა, შეეშინდა, რომ ქართველი ქართველს არ ესროდა, როცა ე.წ. სპეცოპერაციაზე მიდის პირი, ფოტოს აჩვენებენ ვისთან მიდის. მერაბიშვილს პირდაპირ უთქვამს, ეგ

თემა გამორიცხეო, ვანო ახლო ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილთან და არ დაუმალა. მაშინ რა ვქნათო, ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილს ტელეფონი ხმამაღლა მოლაპარაკეზე ჰქონდა ჩართული და ნაძირალა ბიძამისი თემურ ალასანია ღებულობდა „თათბირში“ მონაწილეობას, მაშინ თქვეს, ჩეჩენ ტერორისტებთან გავიდეთ კავშირზე და იმათი ხელით მოვიშოროთ ბიძინაო. მიშამ ერთი კვირა მისცა, ვინც ამას შეძლებდა. გია ლორთქიფანიძემ თქვა, რომ ყავდა კაცი, რომელიც უშუალოდ ახმედ ჩატაევზე გაიყვანდა. წარმოგიდგენიათ, რა „კონტიგენტთან“ გვაქვს საქმე, შს მინისტრის მოადგილე ეუბნება ქვეყნის პრეზიდენტსა და უმაღლესი თანამდებობის პირებს, რომ მისი „კაცი“ საერთაშორისო ტერორისტზე გაიყვანს ქვეყნის ხელისუფლებას, დაეხმარება ტერორისტების შემოყვანაში და მათ დავალებასაც გადასცემს. ეს ყველაფერი ცხადია „უანგაროდ“ არ მოხდებოდა, ფული გადაუხადეს ე.წ. შუამავლებს, შემოაყვანინეს ტერორისტები და ამ უკანასკნელთაც უამრავ ფულს ახარჯავდნენ იმ მიზნით, რომ ბიძინა ივანიშვილი გაენადგურებინათ. გია ლორთქიფანიძის ძმა დავითი იმ პერიოდში კახეთის კუდის უფროსის მოადგილე იყო. პანკისის ხეობაში ცხოვრობდა ჩეჩენი ეროვნების ზურაბ გოგიშვილი (ჩეჩნური გვარი გოგიშვილით შეიცვალა), საქართველოს მოქალაქეა, რომელიც ჩატაევის ახლო მეგობარი იყო. ზურა გია ლორთქიფანიძემ შსს-ში ვანო მერაბიშვილთან შესახვედრად დაიბარა. კაბინეტში მერაბიშვილი-გოგიშვილის შეხვედრა-გაცნობას დავით ლორთქიფანიძეც ესწრებოდა, ვანოს უთქვამს გოგიშვილისთვის, ვიცი კარგი კაცი ხარო. ამ ვაი-მინისტრმა ტერორისტების ძმაკაცის „კაი კაცობა“ იქიდან იცოდა, რომ ზურა ოფიციალურად ყავდათ გაფორმებული ამ ნაძირალებს შსს-ს თანამშრომლად, პოლიციელის მოწმობაც ჰქონდა და ასეთ „შავ საქმეებზე“ ამუშავებდნენ. მერაბიშვილმა საქმის კურსში ჩააყენა „თანამშრომელი“, საქართველოში შემოდის კაცი, რომელიც ქვეყნის ინტერესებს სერიოზულად აზიანებს, ამიტომ მოსაშორებელი გვყავს, რისთვისაც აუცილებლად გვჭირდება ჯგუფი, ვიცით, რომ ახმედასთან კავშირი გვაქვსო. როგორ მოგწონთ შს მინისტრის მხრიდან საერთაშორისო ტერორისტის მოხსენიების ფორმა, უბრალოდ, ახმედა და მორჩა. გოგიშვილს უარი არ უთქვამს ჩატაევთან ახლობლობაზე, ოღონდ დახმარება ითხოვა. მერაბიშვილმა უპასუხა, რომ სააკაშვილი საქმის კურსშია, მწვანე ჰქონდა ანთებული, მოქმედებაში თავისუფალი იყო, ოღონდ ჩამოეყვანა ტერორისტების ჯგუფი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ონგანიზაცია კი არა ტერორისტული ორგანიზაციაა, „ქართული ალქაიდაა“.

როცა ამხელა ხელშეწყობაა ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან, ყველაფერი უცებ გვარდება, გოგიშვილი უცებ დაუკავშირდა ჩატაევს, „კადრებიც“ ოპერატიულად მოძებნეს, ორ-სამ დღეში საქართველო-თურქეთის საზღვარიც გადმოაკვეთინეს და ბათუმში „დააბანაკეს“. ეს ცხრა კაცი მართლა „ბოევიკები“, ტერორისტები იყვნენ, იმ ადგილობრივი ქისტი ახალგაზრდებისგან განსხვავებით, რომლებიც ლაფანყურში ჩახოცეს. ჩატაევის შემოყვანილი ეს ჯგუფი გაიქცა, სააკაშვილის „არწივებმა“ ესენი ვერ დახოცეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ინფორმაცია არც იცის საზოგადოების დიდმა ნაწილმა. იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მასმედია ამახინჯებს ყველაფერს, არასწორ, ხშირად კი სრულ სიცრუეს ავრცელებენ, რასაც დაავალებენ მსოფლიო „გენდირექტორები“, იმას წერენ და ამბობენ. ვიმეორებ, ის „იმპორტირებული“ ცხრა კაცი, ვინც უმსხვერპლოდ გავიდა ლაფანყურიდან, ნაღდი ტერორისტები იყვნენ, რომლებიც მარტო ევროპაში კი არა, ლამის მთელ მსოფლიოში აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს. თურქეთშიც მაგათ მოაწყვეს რიგი ტერორისტული აქტები. კონკრეტულად ამ დაჯგუფებამ მოაწყო თურქეთის აეროპორტში აფეთქება. პირდაპირ ვადასტურებ, ესენი ახორციელებდნენ სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ აფეთქებებს და ხალხის ლიკვიდაციას. ჩატაევის ორგანიზებით შემოყვანილი დაჯგუფება „მერსედესის“ მარკის შავი დაბურულ მინებიანი „ვიტოვებით“ (მაღალი დონის ავტომანქანებია)

ჩამოიყვანეს ბათუმიდან თბილისში. რამდენიმე დღე ვითომ გასაიდუმლოებული ქონდათ მათი „ვიზიტი“, მაგრამ რამდენ ხანს დამალავდნენ, ამ ხალხს ხომ უნდა ემოძრავა. ეს ჯგუფი, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, „მოდულის“ შენობის სიახლოვეს ორი კონსპირსციულ ბინა ჰქონდათ აღებული და იქ დააბინავეს. ნაცმოძრაობა რომ ტერორისტული ორგანიზაციაა, ეს კონკრეტული მაგალითიც ადასტურებს — მთელი მსოფლიო ებრძვის ტერორისტებს, სააკაშვილმა და მის ბანდამ კი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიყვანა ტერორისტული დაჯგუფება. მერე გახმაურდა ეს ამბავი, მე რომ გავიგე, ე.ი. სხვებმაც იციან ხომ. ნაცების ლიდერ-შიფმა „გამოსავალი“ მოძებნა ტერორისტებს ინსტრუქტორები დაარქვეს, ვითომ ჩვენს ძალოვანებს ავარჯიშებენო. ესენიც როგორც ინსტრუქტორები დადიოდნენ იაღლუჯის პოლიგონზე, თეთრი სამხედრო ჰაილუქსებით (პიკაპი) ჩვეულებრივ

გადაადგილდებოდნენ სადაც მოეხასიათებოდათ, მათ შორის, პანკისშიც, ოღონდ უკან დაყვებოდნენ ოპერატიული მანქანები, მეტნაკლებად მაინც აკონტროლებდნენ. ეს ე.წ. ინსტრუქტორები ჩამოდიოდნენ იაღლუჯის პოლიგონზე და ჩვენი ანტიტერორისტული ცენტრის, სოდისა და კუდის თანამშრომლები ვითომ პრაქტიკას გადიოდნენ ამათთან, რომ გვყოლოდა „პროფესიონალების“ მომზადებული სპეცდანიშნულების რაზმი. სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ტყუილი. მეც მინდოდა ვყოფილიყავი მაგ ჯგუფში, მაგრამ ფეხზე რაღაც პრობლემა მქონდა და ვეღარ წავედი პოლიგონზე. ორი კვირის მერე, როცა დამთავრდა ე.წ. კურსი, ჩემი თვალით ვნახე იაღლუჯის პოლიგონზე ორმწკრივად მდგარი 18 კაცი, ცხრა შემოყვანილი ტერორისტი, დანარჩენი ადგილობრივი ჩეჩნები. ჩამოვიდა ვანო მერაბიშვილი თავისი დაცვით, ვანომ დაცვის უფროსს დავით ნაზარაშვილს დაავალა, ჩამოიღე პისტოლეტები, ამათ უნდა ვაჩუქოო და გლოკ-17 მარკის პისტოლეტები, ყველას სათითაოდ ჩამოურიგა, ჩვენი ბიჭები რომ გაწვრთენით და პატივი ეცითო, წარმოგიდგენიათ? ამ ჯგუფის მეთაური მაღალი, ზორბა აღნაგობის კაცი იყო, პირადად მაქვს ხელი ჩამორთმეული, ის ჩატაევზე მაგარი ტერორისტი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რაც იქნებოდა. „ინსტრუქტორები“ ჩვენს ბაზაზე გა-

ვიყვანეთ, ეგენი მუსულმანები არიან, ღორის ხორცს არ ჭამენ და ჩვენებმა ხარი დაუკლეს. ლეზერმანს ეძახიან, დანები, გასახსნელი, ბრტყელტუჩა და ასეთი რაღაცებია კომპლექტი, ძალიან მაგარი რაღაცაა, სააკაშვილის დროს შემოიტანეს და სპეცნაწილებს დაურიგეს, ესენიც აჩუქა მერაბიშვილმა. ხელქვეითებს დაავალა, რომ ეს ჯგუფი სადაც ცხოვრობდა, იქ დაეტოვებინათ.

- როდის დაერღვათ ნაცებს და ტერორისტებს „სიამტკბილობა“?

- რაც მოგიყევით, ყველაფერი 2011 წლის მიწურულს ხდება. 2012 წლის დასაწყისიდან ბიძინა ივანიშვილი უკვე აქტიურად გამოვიდა პოლიტიკაში და ნაცებიც აფუთფუთდნენ. ამათი გათვლა იყო რაზე — ბატონი ბიძინა შეხვედრებს აწყობდა რეგიონებში და გადაწყვიტეს მასზე თავდასხმა, გომბორის უღელტეხილზე მომზდარიყო. ჩვენი ბიჭები იმიტომ „მოამზადენინეს“ ამ ჩეჩნებს, რომ მათი სახეები გააცნეს. დავუშვათ, ჩეჩნები წამოსულიყვნენ მოლაპარაკებაზე, ანუ დათანხმებულიყვნენ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას, მაშინ მათ ჩაიყვანდნენ სააკაშვილის ხელქვეითები გომბორზე და ეტყოდნენ, აქ უნდა გამოიაროს ბიძინამო. ამ ჩეჩნების უკან დააყენებდნენ ჩვენს ძალოვანებს, როგორც კი ჩეჩნები დახოცავდნენ ბატონ ბიძინას თავისი დაცვით და თანმხლებებით, ჩვენებს გააზსნევინებდნენ ცეცხლს და ჩაახოცინებდნენ ჩეჩნებს. მერე მიშა „ოპერატიულად“ გამოვარდებოდა ტრიბუნით, რომ „შემოპარულ“ ტერორისტებზე „შური იძია“. რასაც გიყვებით, ეს არის უტყუარი ინფორ-

მაცია, ვიმეორებ, გვარ-სახელები ვიცი, ვინ იყო ამაში ჩართული, რამდენი კაცი იყო და როგორ იყო. იგივე ბაჩო ახალაიას იმიტომ ვასახელებ, რომ იმ დროს ეგ იყო თავდაცვის მინისტრი, ხოლო იაღლუჯის პოლიგონი ამ უწყებას ეკუთვნის. იქ რა შეიარაღებაც იყო, ავტომატები, ნაღმმტყორცნები, თავდაცვის სამინისტროს ბაზიდან გამოდიოდა, იქიდან მარაგდებოდნენ „ინსტრუქტორები“ ვითომდა სწავლების ვარიანტში. ვითარება რომ დაიძაბა, ანუ ბიძინა ივანიშვილი ძალზე სერიოზულად რომ შემოვიდა პოლიტიკაში, სააკაშვილმა დაიბარა გია ლორთქი-

ფანიძე და დაავალა, შეხვედროდა ჩეჩნების ჯგუფს და საქმის კურსში ჩაეყენებინა, ვის ლიკვიდაციაზე იყო საუბარი. ჯგუფის წევრებმა არ იცოდნენ ნაცებს ბიძინა ივანიშვილის მოკვლა რომ უნდოდათ, მოტყუებით შემოიყვანეს. მათ უბრალოდ ის იცოდნენ, რომ ვიღაც საქართველოს პრობლემას უქმნიდა და უნდა მოეშორებინათ, მაგრამ კონკრეტულად რომელ პიროვნებაზე იყო საუბარი, არ იცოდნენ. ლორთქიფანიძე ჯგუფის მეთაურს, ზურა გოგიშვილს და ჩატაევს შეხვდა, დიახ, შეხვედრას ჩატაევიც ესწრებოდა. როგორც ჩეჩნებისგან უარი მიიღეს ბატონი ბიძინას ლიკვიდაციაზე, გია ლორთქიფანიძემ ეგრევე ესროლა ჩატაევს ფეხში. ზურა გოგიშვილსაც ესროლეს, ამირიძე იყო „შავნაბადის“ ერთ-ერთი მეთაური, იმან ესროლა. ჩეჩნების ხელმძღვანელმა, რომ გითხარით ძალიან ძლიერი „ბოევიკი“ იყო-თქო, მაშინვე ამოიღო იარაღი და ლორთქიფანიძეს შუბლზე დაადო, თავს გაგიხვრეტავო. მან მხოლოდ იმიტომ არ მოკლა ლორთქიფანიძე, რომ დაჯგუფების წევრებიც იქ იყვნენ და ეს მკვლელობა სერიოზული განუკითხაობას გამოიწვევდა. ლორთქიფანიძე გაგიჟებული ჩამოდის „მეფის კარზე“ და იგეგმება ეს სისულელე, რასაც ლაფანყურის „სპეცოპერაცია“ ჰქვია. ჩეჩნებს ეუბნებიან, რომ იქ დაბანაკდნენ, მათ არსად არ უშვებდნენ. ვადასტურებ, ის 18 ადამიანი უბრალოდ დაბანაკებულები იყვნენ იქ, არსად წასვლას, მით უმეტეს გაქცევას არავინ აპირებდა. მათ წასვლის სტრატეგია იმიტომ აირჩიეს, რომ იცოდნენ ქართველები დახოცვას უპირებდნენ. ის სამი ქართველიც, ხვედელიძე, ჩოხელი და წიკლაური დიდი ალბათობით, ჩვენი მხრიდანაა მოკლული, რადგან სააკაშვილის დავალება იყო, მსხვერპლი აუცილებლად ყოფილიყო. ამას ღიად ვადასტურებ. რაც შეეხება დავალების შემსრულებლებს, დარწმუნებული ვარ, ამ სამ ადამიანს ტყვია ესროლეს თუ ჭურვი, ეს სააკაშვილს „შავი“ ჯგუფები რომ ყავდა, მათი გაკეთებულია. მათ დახოცეს ქართველი ბიჭები.

ვიმეორებ, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის შემოტყუებულმა ჩეჩნებმა წასვლა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეს, რომ დახოცვას უპირებდნენ. პროფესიონალი მებრძოლები, მით უმეტეს ტერორისტები იყვნენ, ტყეში უფრო ღრმად შევიდოდნენ, დაიმალებოდნენ და ნაცები ვერაფერს მოუხერხებდნენ. არ გახსოვთ, ქართველი ძალოვანების მხრიდან იქ ტყეში არავინ შესულა, მარტო ვერტმფრენი ბომბავდა ამ ხალხს. ვინმემ ამიხსნას, როგორ მოკვდა ჩოხელი, ხვედელიძე, ექიმი როგორ მოკვდა იქ, რა ექიმს ესროლეს? ჩოხელიც, წიკლაურიც და ექიმიც ნაცებმა მოკლეს. ადგილობრივ ქისტ ახალგაზრდებს მართლა ეძინათ, როცა დაბომბეს. ტელევიზიით ხომ აჩვენეს, საძილე ტომრებში რომ არიან, ესეც დადგმული სპექტაკლია, დახოცილები მიიყვანეს და ჩააწვინეს იქ. რა იარაღი და საბრძოლო მასალაც ეწყო ცხედრებთან, ეს ყველაფერი ჩვენი თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ს შეიარაღებაშია. წიგნებიც ხომ ჩანდა კადრებში, სულგაყიდული მოლების „შემოქმედებაა“, მართლა თავები აქვთ მოსჭრელი, ნაცებმა დაურეკეს და ამ მოლებაც მისცეს ეს წიგნები, რომ ვითომ ეს ბიჭები რადიკალი, ფანატიკოსი ისლამისტები იყვნენ და ყურანები ჰქონდათ თან. მერწმუნეთ, ყველაფერი მერე მიიტანეს იქ და დაალაგეს. ან ის მესაზღვრე რომ ამბობდა, რომ ამბობდა აქაოდა ტერორისტებმა მძევლად ამიყვანესო. მესმის, რომ მაშინ ნაცები იყვნენ ხელისუფლებაში და იძულებული იყო ტყუილი ეთქვა, ახლა რა უშლის ხელს, რომ სიმართლე თქვას. ტერორისტი ვინმეს მძევლად რომ აიყვანს, ნაღმები უწყობენ ამ ადამიანს, ისე არსად გაუშვებენ. ეს მესაზღვრე როგორ გამოვიდა უნაღმოდ, მას ახლახანსაც მივმართე სოციალური ქსელით, რომ სიმართლე ეთქვა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

P.S. ციხიდან გამოსულმა ქვეყნის ექს-„ხერხემალმა“ ვანო მერაბიშვილმა დაიწუწუნა, ძალიან მიჭირს, მშობლები რომ არ მეხმარებოდნენ, შიმშილით გამძვრებოდა სულიო.

„საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში მოგითხრობთ თუ რა უზარმაზარ ქონებას ფლობს „ღატაკი“ ვანო და რომელ „მოურავებზე“ აქვს გადაფორმებული თავისი ბიზნესები.

გამოყენებული „განდონი“





დანიშნეს, ხალხო, მაინც დანიშნეს, თანაც თავმჯდომარედ!

ვინა?

მიხო, ჩვენი ნაპრეზიდანტალი... შემდეგ ოდესის ნაგუბერნატორალი... შემდეგ სასტუმროს სახურავზე ნამორბენალი... უკრაინიდან განაძევები, ნაქარალი, ნაქორალი, დაჭრილი, დაფლეთილი, საზღვარზე ნაომარი, აბაზანაში ნაჩხუბარი... შემდეგ ნიდერლანდებში გახიზნული, ნასიდედრალი... შარშან დაბრუნებული, ორ მამულზე მოფიქრალი, უკრაინასა და საქართველოზე თავატკიებული, გულგასიებული.

მეცოდებაო, ჩემი სამშობლოვო, ნეტავ როდის აიკუწება წიბონი გველეშაპისაო? ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვექმნილო, იავარაქმნილოო... თუმცაო, გადმოსძახებს ხოლმე პერიოდულად ერისკაც გვარამიას, ნუ გეშინიათო, ქუდზე კაცი გამოვაო, აუცილებლად უნდა დავიხსნათ მამული ბიძინა ივანიშვილისგანო, რუსი ოლიგარქისგანო... კიდევაც დაიზრდებიანო, ნუგზარ წიკლაურიო, კობა ხაბაზიო, თინა ბოკუჩავაო, გუბაზ სანიკიძეო, ვალერი გელბახიანიო, დავით აქუბარდიაო... ვინ მოსთვლის, კიდევ ვინაო და ვინღა არაო!

ჰოდა... დანიშნეს-მეთქი, თავმჯდომარედ დანიშნეს, უკრაინაში რეფორმების კომიტეტს უნდა უხელმძღვანელოს, ორიდან ერთი მაინც უნდა გადაარჩინოს ამ ეტაპზე, შემდეგ მეორესაც მიხედავს.

როგორც კი დანიშნეს, მეორე დღესვე განაცხადა, ვეღარ მოითმინა, ოდესის გუბერნატორი დასაჭერიაო. ეტყობა, ძველი ბოღმა მოსდევს ამ პატრიოტ ოღრაშსა. მერე ისაო, დაიტრაბახა გვარამიას საკანალიზაციო არხზე, ზელენსკიმ თავმჯდომარედ რო დამნიშნა, ყვარლიდან წითელი ღვინო გამომიგზავნეს, ძაან მაგარი იყოვო. წინა დღეს სიცილით კვდებოდა, უკრაინიდან საქართველოს ელჩი რომ გაიწვიეს, თბილისში რანაირად უნდა დაბრუნდესო? ტაქსები არ არი, „ფიფრინავებიც“ ფაფუო. ის აღარ უთქვამს, ღვინო რანაირად გაუგზავნეს ყვარლიდან? ეტყობა, იმნაირი „პონტი“ იყო, ფილმ „შერეკილებში“ როა, კობა ხაბაზი და ნუგზარ წიკლაური აფრინდნენ, იფრინეს, იფრინეს, კიევს გადაუფრინეს და ტიკჭორა პირდაპირ მიხოს ეზოში ჩამოაგდეს. ჰო, ეგრე იქნებოდა, სხვა ვარიანტი უბრალოდ არ არსებობს.

არნო ხიდირბეგაშვილი ამბობს, „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი, საკაშვილი გამოყენებული პრეზერვატივია, რომელიც კიევის ხელისუფლებამ თავზე ხელმეორედ ჩამოიცვაო!

უი, უი, უი!

ძალიან მკაცრი შეფასებაა... თუმცა ზუსტი, წვეთი რომ არ გაუვა!

ოღონდ... ეჭვს მაინც გამოვთქვამ: იქნებ კიევის ხელისუფლებამ გამოყენებული „განდონი“ თავზე კი არ ჩამოიცვა, ძალით ჩამოაცვეს?

ვის შეიძლებოდა ჩამოეცვა?

ჯონ მაკკეინზე ეჭვი აღარ მაქვს, მოკვდა!

ჯო ბაიდენზეც ვერაფერს ვიტყვი, სძინავს!

დონალდ ტრამპს ვერ დავაბრალებ, მიხო ერთ ადგილას ჰკიდია!

ჰილარი დეიდა? გამორიცხულია, ისე დაბერდა, ზოგჯერ ბილისაც ვერ ცნობს!

პუტინი?

ააა... ვოვა, გამოდი, გიცანი!

რა გინდა, ბიჭოვ თუ კაცოვ, რას ათამაშებ ამ საცოდავსა? გასაგებია, რომ შენი აგენტია, მაგრამ ეგრე რათ ექცევი, ბოლო-ბოლო, რას ერჩი?!

არა, ტერიტორიები გინდოდა? მოგცა!

სტრატეგიული ობიექტები გინდოდა? გადმოგიფორმა!

უკრაინაში იმიტომ ჩაათესლე, რომ ახლა იქ უნდა მოგცეს და გადმოგიფორმოს? ხომ წაიღე ყირიმი? კიდე გინდა? ჰოდა, მიხო დაგეხმარება, მაგ საქმის სპეციალისტია.

აგე, ეხლა ვუყურე ტელევიზორში, ერთ-ერთ ე.წ. ქართულ არხზე და იძახის, უკრაინას რევოლუცია სჭირდებაო. სულ რევოლუცია აკერია პირზე!

მოკლედ, ხალხო, დანიშნეს მიხო თავმჯდომარედ... თუმცა ჯერ არც ოფისი ჰქონია, არც თავმჯდომარეობის დამადასტურებელი „კნიჟკა“ და არც ხელქვეითები ჰყავს. ერთ-ერთი არხის წამყვანს ეუბნება, ჯერ გეგმაზე ვმუშაობ, რომელსაც პარლამენტში (რადაში) წარვადგენ დასამტკიცებლადო. ჰა, ჰა, ჰა... გეუბნებით, ეხლა ეგ რადაში ისეთ მაზალო რაღაცებს წარადგენს, დაიხოცებიან სიცილით და არც დაუმტკიცებენ. ჰოდა, როცა არ დაუმტკიცებენ, ახტება მიხო, დახტება, ისევ ახტება და აღმოჩნდება რომელიმე შენობის სახურავზე.

წამყვანი ეკითხება, ოდესის ოლქის გუბერნატორი რომ იყავით, იქიდან რა ისწავლეთო?

ჰმ... რას ჰქვია, რა ვისწავლე, 233 კილომეტრიანი ტრასა ავაშენე, რომელიც პირდაპირ ევროკავშირს მივუერთეო. ამით ძალიან ვამაყობო.

სხვათა შორის, ჯავახეთშიც დავაგე ასფალტი და ასე შემოვიმტკიცე ეს კუთხეო. სიმართლეს თვალები გავუსწოროთო, მანამდე ჯავახეთი დაკარგული იყოვო.

გამოგიტყდებით, ვეღარ გავუძელ ამდენ მარაზმს და ტელევიზორი გამოვრთე... თუმცა მანამდე ერთ რამეს მივხვდი: ისე დამშვიდებულა მიხო, ისე გაწონასწორებულა, ისე შეუფერებია ახალი თანამდებობა, მთლად უშინაარსო გამხდარა. ადრე რაღაცას იტყოდა, ვიცინებდით, ჩავბჟირდებოდით, ან იმას გალანძღავდა, ან ამას... ეხლა არა, ეხლა სულ სხვანაირია. ეტყობა, ვიღაცამ ჭკუაზე დაარიგა, ცოტა ილაპარაკე და ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლე, როგორც დიდმა კაცებმა იციან ხოლმეო. ისე, მაგას ვინ დაარიგებდა ჭკუაზე, ხვდებით? თემურა ძია, დედის ძმა. არც ეგ არი მთლად დალაგებული, მაგრამ „კაკებეშნიკური“ გამოცდილება მაინც აქვს, აფერისტობა ეხერხება. პრინციპში, მიხოც მაგარი აფერისტია, მაგრამ ბიძა უფრო დიდი გველკუაა.

მიხოს კომიტეტში მოადგილედ ალექსანდრე ოლშანსკი დაუნიშნეს, ალი-კვალი გრიგოლეტო ვაშაძეა, ეგრე ტყუპისცალები თუ ემგვანებიან ერთმანეთს. ოლშანსკიმ თქვა, არანაირი ძალაუფლება ჩვენ არ გვაქვს, ყველაფერი ზემდგომებთან უნდა შევათანხმოთო. აი, ეგ ააბუნტებს მიხოს, ეგ ვერასოდეს იტანდა ზემდგომებსა და შეთანხმებებს!

რამდენიმე დღის წინათ ისევ გამოჩნდა თავმჯდომარე გვარამიას საკანალიზაციო სისტემაში, ბორჯომის „ბანკა“ ეჭირა ხელში, წრუპა და ყლურწა, ჩამოიცალა... თან გეგონება „ბანკა“ ცარიელი იყო. აი, ეს ის „ბორჯომია“, ნიკა გვარამიამ რო ჩააფსა შიგა.

გახსოვთ?

გვარამიამ საკუთარი პირით განაცხადა, ჩაგიფსით ღვინოში და „ბორჯომში“, რუსეთში რო გაგაქვთო. როგორ არ გაიტან, კაცო? „ბორჯომი“ რუსებისაა, კერძოდ, მიხაილ ფრიდმანისა, რომელიც მსოფლიოს 79-ე და რუსეთის მეშვიდე უმდიდრესი ადამიანია. ვინ მიჰყიდა ფრიდმანს ჩვენი მინერალური წყალი? „ერისკაცმა“ მამუკა ხაზარაძემ, დღეს მჯიღს რომ იცემს გულის ფიცარზე და ანაკლიის პორტის აშენებაზე ოცნებობს. ჰმ... ჯერ ერთი, ეგ ვერ ააშენებს და მეორეც, რომც ააშენოს, რა აზრი აქვს? მაინც რუსებს მიჰყიდის, ვითარცა „ბორჯომი“. აი, ამაშია საქმე!

მორჩა, მე ჩემი ვთქვი.. დანარჩენს შემდეგ მოგახსენებთ, მასხარა ზელენსკის რომ გაედება ბაირამდუდუკში. თუმცა აქვე ვიწინასწარმეტყველებ, მიხოსთან ბრძოლაში ზელენსკი გაიმარჯვებს, როგორც გაიმარჯვა პოროშენკომ.

საცოდავი უკრაინა!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

გურამ შარაძის ხსოვნას



უფალმა ინება ჩვენი სულიერი ძალებით შეკავშირება, რამეთუ ერთი სატკივარი გაგვაჩნდა, სხვათაგან განსხვავებული დოზით. ტკივილი სარწმუნოებისა, ტკივილი მოყვასთა, პატივის მიგება წინაპართა საძვალეთა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე მიიტანეს ერისა და სარწმუნოების სამსხვერპლოზე.

თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი და სიამაყე იყო: „ენა, მამული, სარწმუნოება“. დაუნდობლად ებრძოდით სარწმუნოების მტრებს, უკან დახევა თქვენ ბუნებაში ვერ ჯდებოდა. თქვენ ქართულ სულს იცავდით, სწორედ ამიტომ მიგიჩნიეს უდიდეს დაბრკოლებად ბნელ ძალთა მიზნების აღმსრულებლებმა.

ესროლეს დიდ ილიას, იმიტომ რომ ის ილია იყო.

გესროლეს თქვენ, იმიტომ რომ გურამ შარაძე იყავით.

თქვენ ბრძანდებით დარი დიდი ექვთიმესი (თაყაიშვილი), რამეთუ რკინის ქალამნები ჩაიცვით და მთელ მსოფლიოში მოიძიეთ ერისთვის მიუწვდომელი, უნიკალური მასალები და მიუძღვენით ჩვენს ხალხს.

თქვენ სიწმინდეს და ჭეშმარიტებას ეკლესიაში ხედავდით, ამიტომ იყავით ჩვენთან ახლოს, კიდევ ამიტომაც გვენატრებით ბატონო გურამ, ვაფასებთ, პატივს მივაგებთ თქვენ უდიდეს ღვაწლს ერისა და მამულის წინაშე და ყოველთვის ჩვენს გვერდით მოგიაზრებთ.

გთხოვთ, ილოცეთ ჩვენი ბედკრული ქვეყნისათვის, რათა შევინარჩუნოთ ოცსაუკუნოვანი მონაპოვარი, ილოცეთ, რათა გაუნათლდეს აზროვნება გონებადაბინდულ ვაიქართველთ, სასულიეროს თუ საეროს. ნუ იქნებიან ფსევდოპატრიოტები და ფსევდომორწმუნენი.

ბატონო გურამ, მშვიდად განისუენეთ, რამეთუ თქვენ გყავთ ღირსეული ქალიშვილი რუსუდანი, რომელიც თქვენებურად ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას. გყავთ ღირსეულ მშობელთა ხსოვნის პატივისმცემელი შვილიშვილები, რომლებიც იამაყებენ თქვენი პიროვნებით.

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა
ღმრთისმშობლის წინამძღვარი
მამა ბასილი (მკალავიშვილი),
მამა ვახტანგი (მარგიანი),
მრავალიცხოვანი მრევლი

გოჩა გვასალიას გახსენება



ერთი წელიწადი გავიდა, რაც დატოვე უნდობლობით და გულცივობით სავსე წუთისოფელი. გულიანი იყავი და კეთილი. ვერ იტანდი უსამართლობას, ადამიანთა შორის გაუტანლობას, საქართველოს უსიყვარულობას, რაც ბოლო წლებში უფრო და უფრო თვალნათელი ხდებოდა. მთელი შენი შრომით და მოღვაწეობით ჩვენი ქვეყნის აზრობრივი განვითარებისთვის იღვწოდი, ათენებდი ღამეებს უკეთესი მომავლის გზების ძიებაში, წერდი, აზროვნებდი, ფიქრობდი საქართველოზე, ჩვენს მომავალზე, თუმცა ისე არ ყოფილა, რომ შენი ფილოსოფიურ-ესსეისტური შემოქმედება მხოლოდ საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის ყოფილიყო მიძღვნილი. შენი შემოქმედება მსოფლიო აზროვნების ისტორიაში თავის დროზე, ალბათ, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. ამაზე უკვე საუბრობენ კომპეტენტური ადამიანები.

ნათელი ადამიანი იყავი თვითონ. ალალი, გულმართალი და პატარა ბავშვივით გულმოწყალე, ყურადღება და სიყვარული იყო ადამიანებისგან შენთვის ყველაზე დიდი საჩუქარი.

მწუხარებით გიგონებთ ახლა. ძნელია იმის დაჯერება, რომ უკვე ერთი წელია, აღარ ხარ ჩვენს გვერდით. საქებარი სიტყვებიც რომ მოგესმინა ჩვენგან, ალბათ, გაგვინაწყენდებოდი: ნუ შემაქებთ ამდენსო, მაგრამ ჩვენ კი არ გაქებთ, რაც იყო და რაც არის, იმას ვამბობთ.

გაივლის კიდევ დრო, წლები, თუმცა შენი მოგონება და მონატრება არასდროს წაიშლება შენი ახლობლების მეხსიერებაში, რადგან იმ ხანმოკლე სიცოცხლით, რაც დედამიწაზე გაატარე, დატოვე კვალი, რომელიც არ ქრება.

მარადიული ნათელი შენს სულს. არ გემშვიდობებით. ჩვენ ისევ შევხვდებით.

დედა — ნელი ფიცხელაური
და უახლოესი მეგობრები.

რომან, გამოდი დაფასთან!

რომან გოცირიძეს, ალ-კუპონედ წოდებულს, ქართული კუპონის მამას, ამჟამად პარლამენტარს და „ნაცების“ გოშიას

ათასად ლექსი დაფასდა
ათიათასად რომანი
ასიათასად რომანის
შეძრომა-გამოძრომანი.
ადრე სიგუას „ყვარობდა“,
მერე ვალავის სწყალობდა,
ხან ირანულად წვალობდა,
ხან ინგლისურად გალობდა,
მერე გაქრა და გაჩუმდა
აწ არავისთან დაობდა
და რომ გვეგონა, ქართული
ეკონომიკა დაობლდა.
კვლავ მოგვევლინა მესიად
მისისიპ-გულანშაროდან
რომ საქართველო აქციოს
მონრო-ვალავთა ოფისად,
რომანს ცალ ფეხზე კიდია
ვაება ჩვენი ყოფისა.
სულ არ აწუხებს იღბალი
ამ დანგრეული სოფლისა.
რატომ გონია რომანის
სხვებზე ჭკვიანი რომ არის,
რატომ გონია, არ გვახსოვს,
ის საკუპონო ნდომანი,
ხალხის გაყვლეფა, გაძარცვა,
გადაგდებ-გადახტომანი.
ის ალ-კუპონედ ხმობილი,
აჩი-ბაჩების ძმობილი,
ვითომდა კეთილშობილი,
ვითომ უბრალოდ გმობილი,
ამ დროს კუპონთა დასტები
თაროზე შემოწყობილი
ქვეყნის ბედი და იღბალი,
სისხლის ცრემლებით ლტობილი.
ძმაო, რომანო, არ გეყო,
რაც შენ გვტანჯე და გვატირე,
კუჭი შიმშილით გაგვიხმე.
გვატყუე, გამოგვატვინე,
რაც გვქონდა, უცებ წაგვართვი,
ცივ ოფლად გამოგვადინე.
ლექსი დაფასდა ათასად,
რომანი ძვირად დაფასდა.
ყველას ღვაწლი და ნაღვაწი
აიწონა და აფასდა.
დღეს გოცირიძის ჯერია:
– რომან, გამოდი დაფასთან!

„იმუნო-ჰერბი“ – კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება

ვესაუბრებით ექიმ-ჰომეოპათს კახა საბახტარიშვილს.

— ბატონო კახა, როგორც ვიცით, ჰომეოპატიურ ცენტრში თქვენ ამზადებთ ანტივირუსულ პრეპარატს „იმუნო-ჰერბს“, რამდენად ეფექტური იქნება „იმუნო-ჰერბი“ კორონა ვირუსის წინააღმდეგ?

— რამდენიმე წლის წინათ მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოები წერდნენ: ქართველმა აკადემიკოსმა კახა საბახტარიშვილმა ღორის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნაო.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზირებულ ანტივირუსულ და იმუნიტეტის გამაძლიერებელ ბუნებრივ პრეპარატს „იმუნო-ჰერბს“ გააჩნია ფართო სპექტრის ანტივირუსული მოქმედება. ის არ ასხვავებს გრიპის და ფილტვის პნევმონიის გამომწვევ რომელ ვირუსთან გვაქვს საქმე. „იმუნო-ჰერბი“ ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტს და აძლიერებს მის უნარს შეებრძოლოს ნებისმიერი სახის ვირუსს.

ვინც ღებულობდა ამ პრეპარატს პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით, “ღორის გრიპის“ პანდემიის პერიოდში, ეს გრიპი არ ემართებოდა, რადგან ის ასრულებდა ბუნებრივი აცრის ფუნქციას. ვისაც „ღორის გრიპი“ უკვე ჰქონდა, გამოჯანმრთელება ხდებოდა უმოკლეს დროში ყოველგვარი გართულებების გარეშე, „იმუნო-ჰერბის“ გამოყენება სრულიად უსაფრთხო იყო ორსულებისთვის, მეძუძური დედებისთვის და ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვისაც, „იმუნო-ჰერბი“ თავსებადი იყო აბსოლუტურად ყველა ქიმიურ ანტივირუსულ და ნებისმიერ სხვა პრეპარატთან.

მცენარეული წარმოშობის ჰომეოპათიური პრეპარატი „იმუნო-ჰერბი“ ეფექტური აღმოჩნდა გრიპის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. იყო ასეთი შემთხვევაც: ცნობილი გინეკოლოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას ინიციატივით, აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის კლინიკაში „იმუნო-ჰერბს“ პროფილაქტიკის მიზნით იღებდნენ, როგორც მედპერსონალი, ასევე ორსული ქალბატონებიც და მეძუძური დედებიც. იმ ხანებში კლინიკაში გაციებით მიმდინარე დაავადებები თითქმის ნულამდე იქნა დაყვანილი. პრეპარატს დიდი მოწონება ხვდა აშშ-ში, სადაც მას დღემდე იყენებენ.

— გამოდის, რომ „იმუნო-ჰერბი“ პანაცეა ყოფილა...

— სკეპტიკოსები მრავლად არიან, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ 2005–09 წლებში, მთაწმინდის რაიონის მე-13 პოლიკლინიკის დირექტორობის პერიოდში, ინტენსიურად ვმუშაობდი ანტივირუსულ პრეპარატებზე და შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ იმუნიტეტის გასაძლიერებლად, გრიპის ნებისმიერი შტამის, გაციების, სურდოსა და ანგინის საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ საუკეთესო საშუალება ჰომეოპათიური მედიცინა.

1918–1921 წლებში, როცა მსოფლიოში „ესპანური გრიპი“ („ისპანკა“) მძვინვარებდა და სიკვდილიანობა 30 პროცენტს აჭარბებდა, გერმანიასა და შვეიცარიაში, ეს ქვეყნები, მოგეხსენებათ, ჰომეოპათიის სამშობლოდ ითვლებიან, ეს რიცხვი ერთ პროცენტს არ ასცილებია, რადგან ავადმყოფებს ჰომეოპათიური პრეპარატებით მკურნალობდნენ. ამ ფაქტით დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი დაინტერესებული და ჩემს კოლეგასთან, ექიმ სოფიკო მარგალიტაშვილთან ერთად, “ისპანკასთან“ ბრძოლის გამოცდილების საფუძველზე, შევქმენი ჰომეოპათიური პრეპარატი, რომელსაც, ყველა სიკეთესთან ერთად, უმძლავრესი იმუნომოდულატორული თვისებებიც გააჩნია. ეს პრეპარატი, უკვე გაუმჯობესებული და მოდერნიზებული სახით, ჯანდაცვის სამინისტრომ დაარეგისტრირა სამკურნალო წამალ „იმუნო-ჰერბის“ სახელწოდებით.

„იმუნო-ჰერბში“ შემავალი პირველი კომპონენტია ჰომეოპათიური აკონიტი, რომელიც ორგანიზმს ვირუსებისაგან იცავს და მის გამრავლებას ბლოკავს. თუ ეს ბარიერი მაინც გადაილახა და

კორონა ვირუსმა უჯრედებს შეუტია, მას იქ ხვდება მეორე კომპონენტი — ბრიონია, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა ფილტვის პნევმონია არ განვითარდეს. ხოლო, თუ ვირუსმა ეს ზღუდეც გადალახა და ფილტვებში ანთება განვითარდა, მესამე პრეპარატი — ბელადონა ყველაფერს გააკეთებს, რომ ფილტვის ანთებამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიაროს. „იმუნო-ჰერბში“ შედის კიდევ სხვა კომპონენტებიც, რომლებიც ამ პროცესს აძლიერებენ. ასე რომ, პრეპარატები, რომლებითაც „ისპანკის“ დროს შვეიცარიაში მილიონები გადაარჩინეს, ყველა „იმუნო-ჰერბშია“ გაერთიანებული.

— ასაკობრივი შეზღუდვა ხომ არ აქვს ამ წამალს?

— “იმუნო-ჰერბის“ პროფილაქტიკური მიზნით მიღება განსაკუთრებით საჭიროა 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, რადგანაც მათ იმუნურ სისტემას უჭირს წინ აღუდგეს ვირუსულ ინფექციებს. „იმუნო-ჰერბის“ დღეში 3–4-ჯერ მიღება მნიშვნელოვნად ზრდის ორგანიზმის უჯრედულ იმუნიტეტს, ამ დროს გამომუშავებული ინტერფერონი ანადგურებს ორგანიზმში გარედან შეჭრილ ნებისმიერ ინფექციურ აგენტს, მათ შორის „კოვიდ-19“ დაავადების გამომწვევ კორონა ვირუსს. 2009-2010 წლებში ვინც ღებულობდა „იმუნო-ჰერბს“ „ღორის გრიპი“ საერთოდ არ დამართნიათ ან მოიხადეს ყოველგვარი გართულებების გარეშე.

„იმუნო-ჰერბი“ და „გულის-ელექსირი“ უკვე ყველა სააფთიაქო ქსელშია.
ბახტრიონის ქ. 10ბ, „ლაზიკა-ფარმა“.
დირექტორი:
კახა საბახტარიშვილი
593 31-70-34

ირანდა კალანდაძე

ჩვენი სალომე და პაატა



ჩვენს ქუჩაზე ერთ პატარა მაღაზიაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სალომე კურკუმული და პაატა კახაძე მუშაობენ.

ერთი შეხედვით ამაში განსაკუთრებული არაფერია. დღეს ბევრი მუშაობს მაღაზიაში, ბევრი ვაჭრობს ტანსაცმლით, ხილით ან ბოსტნეულით, მაგრამ სალომე და პაატა საოცარი ადამიანები არიან. მათი ყოველი დღე გაჭირვებულის დახმარების სურვილით და სიკეთის კეთებით იწყება.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ხილით და ბოსტნეულით ვაჭრობს, თუმცა ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, გვერდით, სურსათის მაღაზიაში უყიდიათ პროდუქტები და თავიანთი მაღაზიის ხილთან და ბოსტნეულთან ერთად მიუტანიათ მათთვის, ვისთვისაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო, ვისთვისაც თითოეული ლუკმა გადარჩენის ტოლფასი იყო.

სალომე და პაატა უბრალო ადამიანები არიან. არც სხვებზე ბევრი აქვთ, არც სხვებზე უკეთესად ცხოვრობენ, მაგრამ ისინი სიკეთით არიან განათებულები.

როცა ადამიანი ცხოვრებაში მადლს თესავს, ამით იმ საზოგადოებასაც და იმ ქვეყანასაც აბრწყინებს და ალამაზებს, სადაც თვითონ ცხოვრობს.

ჩვენს ქვეყანას — საქართველოს ასეთი უჩინარი პაატა და სალომე, ალბათ, ბევრი ჰყავს, მაგრამ ჩვენ გვინდა ჩვენს სალომეს და პაატას მოვეფეროთ, ჩვენი გაჭირვებულების გულშემატკივრებს, მოხუცების შველას და საქართველოს იმედს. მადლობა მათ, სიხარული და გამრავლება.

მადლიერი მოსახლეობის სახელით,
ნუნუ მახარობლიძე

საერთო ფაფქეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983